პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმომწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ეგვიპტის ყოფ. პრემიერი ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ.
- გამოქვეყნდა ინგლისის მუშათა პარტიის საარჩევნო პროგრამა.
- განხეთქილება გერმანელ ნაციონალისტების პარტიაში.
- დაიხურა გემოკვების მუშათა ინტერნაციონალის კონგრესი.
- სუნ-იატ-სენის ნეშტი პეკინიდან ნანკინში გადააქვთ.
- დიდი გრიგალი გერმანიაში და პოლონეთში.
- ავღანისტანის ფადიშახის სამადლობელი წერილი ამხ. კალინინს.
- მოსკოვში ჩავიდა ნორვეგიის, დანიის, შვეციისა და ფინეთის სტუდენტთა დელეგაცია.

კვირა, 8 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 157 (2200)

მეტი და შეუნელებელი ყურადღება საშეფო მუშაობას

მთელი რიგი გამოკვლევანი, რომელნიც ჩაატარა პარტიისა და საბჭოთა ორგანოებმა სოფლად, ცხადჰყოფს, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ბევრ რაიონებში მნიშვნელოვნად შესუსტდა ქალაქისა და სოფლის დამაკავშირებელი ორგანიზაციების მუშაობა. კერძოდ და განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საშეფო ორგანიზაციათა საქმიანობაზე.

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად მოდუნებულია საშეფო მუშაობა უკანასკნელი წლების განმავლობაში, საკმარისია დასახელებულ იქნას ისეთი ფაქტი, როცა პარტიის ზოგიერთ ორგანიზაციებმა არც კი იციან ქალაქისა და სოფლის დამაკავშირებელ საზოგადოებათა არსებობის შესახებ და, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ და ვერც გაუწევენ საშეფო საზოგადოების მუშაობას.

პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ასეთმა უყურადღებობამ საშეფო საკითხებისადმი შესაფერი გავლენა იქონია მუშათა მასებზე. შემჩნეულია, რომ ფართე მუშურ მასებში მნიშვნელოვნად იკლო ინტერესებმა სოფლისა და ქალაქის დამაკავშირებელ საზოგადოებათა საქმიანობისადმი.

ასეთი მდგომარეობა მოსათმენი არაა. მეხუთმეტე ყრილობის დადგენილებანი პარტიისა და ხელისუფლების წინაშე სახავენ მთელ რიგ მორიგ ამოცანებს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში. ამ ამოცანათა სწორად და დროულად გადაწყვეტა ბევრად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად გავაღრმავებთ, რამდენად კიდევ უფრო განვამტკიცებთ სოფლისა და ქალაქის კავშირს.

საშეფო ორგანიზაციებს კი ამ საქმეში საპატიო ადგილი უჭირავთ.

სწორედ აქედან გამომდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკა, რომელმაც სპეციალური წერილით მიმართა პრესას იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქნას აგიტაცია-პროპაგანდა საშეფო მუშაობის გაცხოველებისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს საშეფო ორგანიზაციათა არა მარტო რიცხვობრივად შემცირებას. იქ, სადაც გრძელდება კავშირი სოფლისა და ქალაქს შორის, სადაც განაგრძობს არსებობას საშეფო ორგანიზაცია, ხშირად მუშაობა წინანდელთან შედარებით ხარისხობრივადაც უკანაა ჩამორჩენილი.

აქედან თავისთავად იბადება ჩვენს წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა სწარმოებდეს მუშაობა საშეფო საზოგადოებათა საქმიანობის გასაცხოველებლად. საჭიროა ერთი მხრივ ვიზრუნოთ ამ ორგანიზაციათა რიცხობრივად გამრავლებისათვის და მეორე მხრივ კი უკვე არსებულ საშეფო საზოგადოებათა მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებისათვის.

ადგილობრივ პარტიულ და ყველა სახის მასიური საბჭოთა ორგანიზაციებმა თავიანთ უახლოეს მუშაობის გეგმაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაუთმონ სოფლისა და ქალაქის დამაკავშირებელ საზოგადოებათა ორგანიზაციისა და პოპულიარიზაციის საკითხებს. მთავარია ამ შემთხვევაში ის, რომ მუშაობა საშეფო საზოგადოებათა დაარსება— გაძლიერებისათვის მთლიანად ეყრდნობოდეს ნებაყოფლობით პრინციპს. საჭიროა აქაც მტკიცედ გვახსოვდეს ბელადის რჩევა: „სჯობს მცირე, მაგრამ უკეთესი". ადგილობრივ ორგანიზაციების მიღწევები ამ მიმართულებით იმით განიზომება, თუ რამდენად ნებაყოფლობითი ხასიათის იქნება საშეფო მუშაობა, რამდენად განვითარდება ის მასის თვითმოქმედების საფუძველზე. ამიტომ მუშაობის ძველი პრაქტიკა, როცა საშეფო საზოგადოებათა [illegible] ბევრგან მექანიკურ ხასიათს ატარებდა, სასტიკად უნდა აღიკვეთოს.

ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშეფო საზოგადოებათა პრაქტიკულ საქმიანობის გაჯანსაღებას. ამ მიზნით ყოველნაირად უნდა ვერიდოთ სოფლისა და ქალაქის ფორმალურ კავშირს. ბიუროკრატიული ხასიათის მუშაობამ ამ შემთხვევაში ადგილი უნდა დაუთმოს სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხების მოგვარებას. შეფი მომავალშიაც აქტიურ დახმარებას უნდა უწევდეს სოფელს. თავისთავად ცხადია, რომ ეს დახმარება არ უნდა ატარებდეს ქველმოქმედების ხასიათს. სრულიად აუცილებელი არაა, რომ შეფი მატერიალურად უწყობდეს ხელს სოფელს. ეს კლავს თვითმოქმედებას ორივე მხრიდან. საჭიროა შეფის დახმარება უმთავრესად იდეურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაში გამოიხატებოდეს, იმ აუცილებელი პირობით, რომ ხელმძღვანელობას ექნება სისტემატიური და არა შემთხვევითი ხასიათი.

ღარიბთა ჯგუფების მუშაობა, კოლმეურნეობათა ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცება და სოფლის სხვა საჭირ-ბოროტო საკითხების პრაქტიკული განხორციელება სხვა მრავალ პირობებთან ერთად დიდ ორგანიზაციულ გამოცდილებას მოითხოვს. შეფს აქ დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლია სოფლისათვის.

ზაფხული, შვებულებისა და სასწავლებელთა არდადეგების დროა, როცა სოფლად დაქსაქსულია მუშებისა და მოსწავლე მშრომელი ახალგაზრდობის დიდი რიცხვი. საშეფო მუშაობის გამოცოცხლების ამოცანა უნდა დაუკავშიროთ მუშა-მოსამსახურეთა მასიურ შვებულებებს. რაც შეიძლება დაუგვიანებლად და მიზანშეწონილად უნდა გამოყენებულ იქნას ზაფხულის სასეზონო ხელსაყრელი პირობები. მეტი და შეუნელებელი ყურადღება საშეფო მუშაობას.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

საბჭოთა კოოპერაციის მშენებლობის გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ბედზე.

ჩვენი კოოპერატიული მუშაობის დეფექტებმა ვერ დაჩრდილეს ის წარმატებები და მიღწევები, რომლებმაც საშუალება მოგვცეს რამდენიმე წლის განმავლობაში დიდად გაგვეწრო უცხოეთის კოოპერაციისათვის, რომელიც კაპიტალისტურ საფუძველზე მუშაობს მასების ჩაბმისა და საქონლის ბრუნვის გაფართოების დარგში, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის დარგში ჩვენ ვიძლევით მშენებლობის თვალსაჩინო გაკვეთილს პროლეტარული დიქტურის პირობებში.

ჩვენი კოოპერაციის დეფექტები ჩვენ არ მოგვიჩქმალავს. კოოპერატორთა დელეგაციებმა (მათი რიცხვი კი დიდი იყო),—რომელთაც სხვადასხვა დროს, საბჭოთა კავშირი ინახულეს შენიშნეს ჩვენი მშენებლობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, თავიანთ მოხსენებაში დელეგატებმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა კოოპერატორები თვითონ აკრიტიკებენ თავიანთ მუშაობას, ამასთან აკრიტიკებენ „საქებურის გულახდილობით"

მეგობრები და მტრები სწავლობენ ჩვენ მუშაობას. ერთნი—მასების რევოლიუციონური შეგნების ასამაღლებლად, რევოლიუციონური მოძრაობის პერსპექტივების გასათვალისწინებლად და კავშირის გასამტკიცებლად საბჭოთა ქვეყანასთან და საბჭოთა კოოპერაციასთან. მეორე—მასების მოსატყუებლად და ასამხედრებლად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც საბჭოთა ნიშანი აზის. კაპიტალისტურ დასავლეთში კოოპერატიულ „ბელადებს" და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ხელისუფლების შორის დიდი ხანია დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც წლითი წლობით იზრდება და მაგრდება.

ბურჟუაზიას საუცხოვოდ გამოადგნენ რეფორმისტული კოოპერატორები რომლებიც ბურჟუაზიასთან ერთად უსწორდებიან კოოპერატიულად შეკავშირებულ მასის რევოლიუციონურ ელემენტებს და სდევნიან კომუნისტ კოოპერატორებს და იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საქმის გაძღოლა რევოლიუციონური იდეების მომხრეებს მიანდვეს.

სულ სხვა გავლენა მოახდინეს საბჭოთა კოოპერაციის იდეებმა მუშათა ფართო მასებზე ჩვენი კოოპერატიული მშენებლობის ყოველი მიღწევა ახალ ძალას მატებს კომუნისტ კოოპერატორების საერთაშორისო მოძრაობას, აფართოებს და ამაგრებს მოძრაობის ბაზას მშრომელთა მასებში და კოოპერაციის რევოლიუციონურ ელემენტებს უკავშირებს მუშათა კლასის საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კოოპერატიული მშენებლობის განვითარება საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის არსებითი ფაქტორი ხდება.

საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ კოოპერაციის მნიშვნელობა და როლი საკმაოდ არის შეფასებული. მუშებისა და გლეხების მილიონობით ჩაბმა კოოპერაციაში, უზარმაზარი ქვეყნის საქონლის ბრუნვის ნახევრის დაპყრობა და სხვა მომენტები თავის თავად ლაპარაკობენ. მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობა კოოპერატიული მოძრაობის ბედისთვის ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში გვაიძულებს დაწვრილებით ავწონოთ მიღწევები და განვსაზღვროთ მათი ხასიათი და განვითარების პირობები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს იმასთან შედარებით, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერაციამ მიაღწია მრავალი წლის განმავლობაში, მიუხედავად ამისა, ჩვენ თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმ სიძნელეებისა და და დაბრკოლებების წინაშე, რომლებიც ჩვენ გვეღობებიან.

სხვადასხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციების ქსელით ჩვენ დავიპყარით სოფლის მეურნეობის საქონლის ბრუნვის მრავალი დარგი. ჩვენ გამოვნახეთ პრაქტიკული ფორმები სოციალისტური მრეწველობის დასაკავშირებლად გლეხურ მეურნეობასთან და. გენერალურ ხელშეკრულებათა სისტემის, წინასწარი დაკვეთების, კონტრაქტაციის და სხვა ღონისძიებების სახით, აღმოვაჩინეთ ახალი საშუალებები და გზები ჩამორჩენილი ინდივიდუალური წარმოების გადასაქმნელად საზოგადოერივ წარმოებად. კოოპერაციის სხვადასხვა დარგი, კერძოდ კოლმეურნეობა იძლევა კოოპერატიული ფორმების შემდგომი განვითარების პრაქტიკულ შესაძლებლობას: გასაღების, მიწოდების და საკრედიტო ოპერაციების დაპყრობიდან საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანებამდე და შრომისა და წარმოების განსაზოგადოებამდე. ეს ფორმები ცხოვრებამ წამოაყენა მილიონიან მასების შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. ერთად აღებული, ეს ფორმები იძლევიან ლენინის კოოპერატიული გეგმის თანდათანი განხორციელების სურათს.

მაგრამ ყველაზე უფრო საძნელო სამუშაო წინ არის. რაც უფრო ღრმად იჭრება კოოპერაცია გლეხურ მეურნეობაში, მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევენ, სოფლის კაპიტალისტური ელემენტები. სოფლის მასების ჩამორჩენილობა, რომელიც ადვილი დასაძლევი არ არის, ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს კულაკის საბრძოლველად კოოპერაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების და კოლექტივიზაციის ფორმების წინააღმდეგ. ილიჩის აღთქმა—წინ უნდა გავსწიოთ გლეხობის მრავალმილიონიან მასასთან ერთადო, სავსებით ძალაში რჩება. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ არ გადაგვიჭრია გლეხური მეურნეობის საბაზრო ფუნქციების კოოპერატიულად მოწესრიგების ამოცანა. წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა კიდევ საკმაოდ დიდხანს დარჩება სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის საფუძვლად. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა განვითარება დაუკავშიროთ სოციალისტური კოოპერაციის განვითარების ამოცანებს გლეხურ მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ზრდის საფუძველზე. კერძოდ, კოლმეურნეობათა განვითარების მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა პარტიის მე-15 ყრილობამ.

საჭიროა ღრმად მოფიქრებული და მტკიცედ გატარებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის განსავითარებლად. საჭიროა, პარტიისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უდიდესი ყურადღება მიაქციონ სოციალისტური სექტორის საჭიროებას. ხოლო ყურადღებასთან ერთად საჭიროა ფხიზელი მიდგომა და კოოპერატიული მშენებლობის იმ გზების მხედველობაში მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალმილიონიანი გლეხური მეურნეობის ნამდვილად მოზიდვას, მათ განვითარებას კოოპერატიული შეკავშირების უმაღლეს ფორმებამდე, სრულ განსაზოგადოებამდე.

ვანხორციელებთ რა ლენინურ ხაზს გლეხურ მასების მიმართ და ვაძლიერებთ რა კოლექტივიზაციის განვითარებას, კოოპერაციის სახით ხელთ გვაქვს ქვედა საფეხურის საზოგადოებრივობის შემდგომი განვითარების და მასების კულტურული და ტექნიკური აღზრდის საშუალება და ამასთან ერთად უძლიერესი იარაღი ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო დაძლევისთვის.

„პრავდა", 7 ივლისი.

უთანხმოება პოლონეთ-ლიტვის კონფერენციაზე

ჩან-სუე-ლიანი არჩეულია მანჯურიის მართველად.—ხმები მანჯურიის ავტონომიის გამოცხადების შესახებ

ინგლისის მუშათა პარტიამ საარჩევნო ლოზუნგად წამოაყენა ურთიერთობის განახლება საბჭ. კავშირთან

პოლონით-ლიტვის მოლაპარაკება

უთანხმოება

კოვნო, 6 ივლისი. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს არა ოფიციალური ცნობის თანახმად, პოლონეთ-ლიტვის უშიშროების კომისიის 6 ივლისის პლენარულ სხდომაზე პოლონეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მისთვის პროექტი თავდაუსხმელობის ხელშეკრულებისა მიუღებელია ორი მიზეზით: ლიტვის პროექტი სცილდება ერთი ლიგის დეკემბრის რეზოლიუციის ფარგლებს და არღვევს პოლონეთის ტერიტორიალურ ხელშეუხლებლობას.

ამის საპასუხოდ ლიტვის დელეგაციამ განაცხადა, რომ თუ პოლონეთის მთავრობას მიუღებლად მიაჩნია ლიტვის პროექტი, ლიტვის მთავრობას მით უმეტეს არ შეუძლია მიიღოს პოლონეთის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს განამტკიცოს პოლონეთის ეხლანდელი საზღვრები.

პოლონეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ ან შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილება პოლონეთის პროექტში, ან ლიტვის კონტრ-პროექტი შეიცვალოს ახლით. ლიტვის დელეგაციამ განაცხადა, რომ შემდეგ სხდომაზე გასცემს პასუხს პოლონეთის დელეგაციას. (ადს)

ინგლის-ამერიკის ნავთის ტრესტების ბრძოლა გრძელდება

ბერლინი, 6 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის აზრით, ცნობები, „სტანდარტ ოილის" და „როიალ შელის" მორიგების შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან ცნობა საბჭოთა ნავთის ხარჯზე შეთანხმების მიღწევის შესახებ არასოდეს არ დადასტურებულა ავტორიტეტული წყაროებიდან. გაზეთის სიტყვით, ყველა ასეთი ცნობები გამომდინარეობს დეტერდინგის განცხადებიდან ჰოლანდიის ნავთის კომპანიის უკანასკნელ კრებაზე, რომ კონფლიქტის საჯაროთ განხილვის დრო გავიდა. ასეთი ცნობები ჩვეულებრივად ვრცელდება ისეთი წყაროებიდან, რომლებიც ინფორმაციას ღებულობენ „როიალ დეჩ შელისაგან".

ყველა ეს ცნობა ტენდენციურია, ვინაიდან სინამდვილეში არ მომხდარა არავითარი შეზღუდვა ამერიკის მიერ ნავთის ყიდვა-გაყიდვის საქმეში, ისევე, როგორც, არ არის დადებული შეთანხმება „როიალ დეჩ შელისთვის" სასურველ საკონპესაციო თანხების შესახებ. პირიქით, გაზეთის ცნობით, უკანასკნელ დრომდე სწარმოებდა მოლაპარაკება ნავთის სინდიკატთან სტანდარტ ოილის კონტრაქტების გაფართოვების შესახებ. ის გარემოება, რომ სტანდარტ ოილსა და როიალ დეჩს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ნავთის ფასების პოლიტიკის შესახებ ინდოეთში, სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ზემოდ დამახასიათებელ მდგომარეობას. (ადს).

ინგლისი და ეგვიპტე

ინტერვიუ ნახას—ფაშასთან

ლონდონი, 6 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ქაირელმა კორესპონდენტმა ეგვიპტის ყოფილ პრემიერის ნახას-ფაშასაგან მიიღო ინტერვიუ მისი კაბინეთის იძულებითი გადადგომის მიზეზების შესახებ. ნახას-ფაშამ განაცხადა, რომ ეხლანდელი კრიზისის მთავარი მიზეზები სცილდება ეგვიპტის შინაური პოლიტიკის ფარგლებს.

„ჩვენი პარლამენტის მუშაობის შეწყვეტა, რაიც წინასწარი ნაბიჯია მისი დათხოვნისათვის —განაცხადა ნახას-ფაშამ,— წარმოადგენს ეგვიპტის კონსტიტუციის უხეშად დარღვევას, და ისეთი კაცი, როგორიც არის ეხლანდელი პრემიერი მახმუდ-ფაშა, ვერასოდეს ვერ გაბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას, მას რომ ინგლისელების დახმარების იმედი არ ჰქონდეს. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, ყველა ეგვიპტელის აზრი.

რაც შეეხება თვით მახმუდის პიროვნებას, ის არ არის არც მუსოლინი და არც ქემალ-ფაშა. პოლიტიკურად ის ეკუთვნის იმ პარტიას, რომელიც, გარდა იმისა, რომ ყველას სძულს, რიცხვობრივადაც სრულიად უმნიშვნელოა.

ეხლანდელი კრიზისის დამახასიათებელი თვისება —განაგრძო ნახას-ფაშამ,— არის ის, რომ ჩვენი კონსტიტუციის შელახვისათვის პარდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ინგლისის პოლიტიკას. განათლებულ მსოფლიოს ისტორიაში ჯერ არასოდეს არ მომხდარა, რომ სამინისტრო, რომელიც არსებითად ორივე პალატის ერთსულოვანი ნდობით სარგებლობს, გადაეყენებინათ იმ მიზეზით, რომ მთავრობის კოალიცია დაიშალა. ნუ თუ ასეთი პოლიტიკა შეეფერება ბრიტანულ ტრადიციებს, რომლებიც ვითომ თავისუფლებით და „პატიოსანი თამაშით", ხასიათდება? ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მივაღწევდით მეგობრულ ურთიერთობას ეგვიპტესა და ინგლისს შორის. მაგრამ ინგლისის ეხლანდელი დამოკიდებულება ეგვიპტისა და მისი პარლამენტისადმი საშუალებას ართმევს ეგვიპტის ხალხის ყოველ პასუხისმგებელ წარმომადგენელს განაგრძოს ასეთი პოლიტიკა".

ახალი პრემიერი მახმუდ-ფაშა უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს შესცვალოს საარჩევნო კანონი და დაითხოვოს პარლამენტი. (ადს)

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

კლამაიუსის არჩევის გაბათილება

პარიზი, 6 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „დეპუტატთა პალატამ გააბათილა ხენდენის დეპუტატის, კომუნისტ კლამაიუსის არჩევა".

ორენის მანდატის კანონიერების საკითხი

პარიზი, 6 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „დეპუტატთა პალატამ განიხილა ორენის მანდატის კანონიერების საკითხი. მომხსენებელმა აღნიშნა ორენის არჩევის ზოგიერთი უმართებულობა და განაცხადა, რომ ორენმა უარი სთქვა დეპუტატობაზე. კომუნისტმა დეპუტატმა პიკმალმა სთქვა, რომ დეპუტატობაზე უარის თქმის საკითხი კამათის საგნად არ უნდა გადაიქცეს, ვინაიდან გადაწყვეტილება უარის შესახებ გამოიტანა მე-3 ინტერნაციონალის ფრანგულმა სექციამ სადისციპლინო ხასიათის მოსაზრებით. 886 ხმის წინააღმდეგ 167 ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა პიკმალის შესწორება, რომელიც მოითხოვს ორენის მანდატის დამტკიცებას, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ ორენი დაიცავს თავის განცხადებას დეპუტატობაზე უარის თქმის შესახებ". (ადს).

წერილი საფრანგეთიდან

დიდი საფრანგეთი და პატარა ფრანკი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ერთი კომედიის გმირი რიხით ამბობს სცენაზე: „ბოლოს ჩვენ გავკოტრდებითო"... დაახლოებით ასევე შეუძლია წამოიძახოს საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას. სტაბილიზაციის აჩრდილმა, რომელიც ომის შემდეგ დიდხანს თავს დასტრიალებდა საფრანგეთის ეკონომიკასა და პოლიტიკურს ცხოვრებას, ბოლოს კონკრეტიული ფორმა მიიღო. ფრანკმა დაკარგა ომის წინანდელი ღირებულების ოთხი მეხუთედი ანუ 80 პროცენტი. სხვანაირად: კაპიტალიზმი ოთხ მეხუთედს აცლის ჯიბიდან ყველას, ვინც ომამდე და ომის დროს მას სრული ნდობა გამოუცხადა და ჩააბარა ხანგრძლივი მომჭირნეობით დაზოგვილი თანხები. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთი წვრილი მეპატრონეების კლასიკური ქვეყანაა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი მეპატრონე, სულ ცოტა, 7-8 მილიონი მაინც იქნება.

სტაბილიზაცია სასწრაფო წესით მოხდა. მთავრობა აპირებდა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მოემზადებია ეს სტაბილიზაცია. მაგრამ ბანკებმა მოითხოვეს ამ ზომის დაუყონებლივ განხორციელება. რაკი [illegible] ბანკირებმა უცხოეთის ვალიუტის მრავალი მილიარდი მიიღეს ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ქაღალდების ნაცვლად, რომლებიც შეუზღუდველად იბეჭდებოდა მთავრობის ნებართვით და იმ პირობით, რომ ამ ქაღალდებით შესყიდულიყო უცხოეთის ვალიუტა, — მათ გადაწყვიტეს, დროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქაღალდების კვლავ ბეჭდვას აუცილებელი გაკოტრება მოჰყვებოდა.

უკანასკნელ დრომდე მთავრობა მალავდა ახალი ფრანკის ფასს. რათა ბირჟაზე პანიკა არ გამოეწვიათ, პალატასა და სენატს სხდომები ჰქონდათ დღე-და-ღამ შაბათიდან და კვირაობით, როდესაც ბირჟა დახურულია. პალატაში თითქმის ტრაგიკული განწყობილება გამეფდა. კაცს ეგონებოდა, თითქო მისი წევრები ცხედრის დაკრძალვაზე ყოფილიყვნენ. მართლაც, ეს იყო ფრანკის დაკრძალვა. 125 წლის განმავლობაში ფრანკს ჰქონდა ოქროს განსაზღვრული ღირებულება, რომელმაც გადაიტანა ომები, დამარცხებანი, რევოლუციები, მე-70 წლის დარბევა, 1971 წლის კომუნა, მსოფლიო ომი. ახლა კი მან ასე სავალალოდ მოუღო თავის თავს ბოლო და ხელი აიღო თავისი რეალური შინაარსისა ოთხ მეხუთედზე. ამასთან სავსებით გამომჟღავნდება კლასების მძაფრი ანტაგონიზმი. როდესაც მსხვილი კაპიტალისტები და მათი მდიდარი ბანკები აურაცხელ მილიარდებს იძენდნენ ქვეყნის გაკოტრების წყალობით იმ დროს წვრილი თანხების პატრონებს, რამდენიმე მილიონ კაცს და მუშათა მთელ მასას მრავალი წლის განმავლობაში უნდა გადაეტანათ ყოველგვარი გაჭირვება: ცხოვრების სიძვირე, დიდძალი გადასახადების სიმძიმე და დაზოგვით შეგროვილი წვრილი თანხების დაკარგვა. ამის საუკეთესო დამადასტურებელია შემდეგი ფაქტი: როგორც კი სტაბილიზაციამ კანონიერი ძალა მოიპოვა, ძირითადმა სახელმწიფო ფასიანმა ქაღალდებმა (სახელმწიფო რენტამ) ჩამოქვეითება იწყეს, ბანკების აქციებმა კი სწრაფად აიწიეს.

სოციალისტები ცდილობდნენ თავიანთ დამნაშავე კისრიდან ყოველგვარი პასუხისგება მოეხსნათ. ჩვენ ამა და ამ დროს ამა და ამ წინადადებას ვიძლეოდით, ამა და ამას ვამბობდითო. მაგრამ მთავრობამ მათ საფუძვლიანად უპასუხა, რომ ომის დროს სოციალისტები ხელისუფლების წევრები იყვნენ და მთავრობის ყოველ ზომას კვერს უკრავდნენ. ამგვარად, სოციალისტების დახმარებით მსხვილმა ბურჟუაზიამ მოახერხა, რომ ომისა და ომის შემდეგი დროის ფინანსიური პოლიტიკის მთელი სიმძიმე მუშათა კლასისათვის დაეკისრებიათ. ომმა მდიდრებს სიმდიდრე შესძინა, ღარიბებს კი—სილატაკე. სოციალისტებმა ვერც კი გაბედეს, რომ სტაბილიზაციის წინააღმდეგ ხმა მიეცათ, მათ ვაჟკაცურად თავი შეიკავეს. მხოლოდ კომუნისტები ებრძოდნენ ბოლომდე კაპიტალისტურ ძარცვა-გლეჯას და აღნიშნავდნენ მის ნამდვილ მიზეზებს. როგორც ვიცით, კაპიტალიზმს არასოდეს არ ეთაკილება ექსპროპრიაცია, როდესაც ეს მისთვის სარფაა. იგი ამგვარად გზას უჩვენებს პროლეტარიატს, რომელიც, როდესაც დასავლეთშიაც საათი ჩამოჰკრავს, მოიგონებს ამ გაკვეთილს და თანახმად მარქსის მოძღვრების, კანონიერი რევოლიუციონური გზით მოახდენს „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას".

ასეთი ცინიზმით გაძარცული და მითვისებული სიმდიდრე უნდა დაუბრუნდეს კანონიერ პატრონს: მუშასა და გლეხს.

ჟ. რაპოპორტი.

პარიზი, 1928 წ. 26 ივნისი.

მდგომარეობა ჩინეთში

ფინ-იუ-სიანის განცხადება

პეკინი, 6 ივლისი. ფინ-იუ-სიანი მოულოდნელად პეკინში მოვიდა. მან ჩან-კაი-შისა და ენ-სი-შანთან ერთად მონაწილეობა მიიღო საზეიმო ცერემონიაში სუნ-იატ-სენის საფლავზე.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, ფინ-იუ-სიანმა განაცხადა, რომ ზემეტი არმიების დათხოვნა, თუ ეს როგორმე მოხერხდა დიდათ შეამსუბუქებს სახელმწიფოს მდგომარეობასო. გარდა ამისა ფინ-იუ-სიანმა განაცხადა, რომ კომუნისტები მიზნად ისახავენ სახელმწიფოს დანგრევას. ამიტომ სამხრეთელმა და ჩრდილოეთელებმა მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოონო.

ჯარების რიცხვი ჩინეთში

პეკინი, 6 ივლისი. „პეკინ-ლიდერ"-ს მოჰყავს ერთი უცხოელი ექსპერტის აზრი ამ ექსპერტმა განაცხადა, რომ ამჟამად რიცხვში 1.200.000 ჯარისკაცია. ამ რიცხვში შედიან მუკდენის ჯგუფის ჯარები, რომლებშიაც 230.000 ჯარისკაცი ითვლება. (ადს)

ჩუან-სუე-ლიანის არჩევა

ხარბინი, 6 ივლისი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ ჩინეთის სამი პროვინციის უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ჩან-სუე-ლიანი აირჩიეს მანჯურიის დუბანად და მუკდენის ჯარების მთავარ სარდლად. 4 ივლისს ჩან-სუე-ლიანი შეუდგა თავის მოვალეობათა ასრულებას. დუბანის თანამდებობაზე არჩევის გამო ჩან-სუე-ლიანმა მიმართა დეპეშით ჩან-კაი-შის, ენ-სი შანს, ფინ-იუ-სიანს და სხვა პირებს და დაწესებულებებს. დეპეშაში ნათქვამია:

„სურვილს გამოვსთქვამ, რომ დაუყოვნებლივ შესწყდეს სამხედრო მოქმედება და რაც შეიძლება ჩქარა მოწვეულ იქნეს სრულიად ჩინეთის სახალხო კრება უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაჭრელად".

შემდეგ დეპეშა იუწყება, რომ ჩუან-სუე-ლიანმა გაგზავნა წარმომადგენლები მოლაპარაკების დასაწყებად მუკდენსა და ნაციონალურ მთავრობის შორის (ადს).

იაპონელ ჯარის კაცების რიცხვი ჩინეთში

შანხაი, 6 ივლისი. ჩინური გაზეთების ცნობით, მუკდენში არის 18.000 იაპონელი ჯარის კაცი. ამას წინად აღლუმის დროს იაპონელი ჯარის კაცები ქუჩებში დადიოდნენ სიმღერით: „სამხრეთ მანჯურია—ჩვენი სამშობლოა". (ადს).

არეულობა ცზიანსის პროვინციაში

შანხაი, 7 ივლისი. ჩინეთის პრესის ცნობით, ცზიანსის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო „არეულობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები". გაზეთების სიტყვით, ცზიანსის მთების მახლობლად გაჩნდნენ შეიარაღებული რაზმები კომუნისტების მეთაურობით. შეიარაღებულმა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს მაო-ცზე-ტუნი, დაიკავა ქალაქი იუნსიანი და უუნგუა.

ცზინანის ჯარები სასწრაფოდ გაიწვიეს ჩრდილოეთის ფრონტიდან (ადს).

საპროტესტო ნოტა

შანხაი, 6 ივლისი. ჩინეთის გაზეთების ცნობით, იაპონიის კონსულმა შანხაიში ჩინეთის ხელისუფლებას გადასცა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ იაპონელთა ბოიკოტის კომიტეტმა გამოაქვეყნა განკარგულება იაპონიის საქონლით მოვაჭრეთა დასჯის შესახებ. ნოტა აცხადებს, რომ კომიტეტის განკარგულება ბარბაროსული და უკანონოა და მას ზიანი მოაქვს იაპონიის ინტერესებისათვის. ნოტა მოითხოვს კომიტეტის განკარგულების გაუქმებას და კომიტეტის დაშლას (ადს).

სუნ-იატ-სენის ნეშტის გადატანა ნანკინში

შანხაი, 6 ივლისი. ნანკინის მთავრობამ დაადგინა, გაგზავნოს პეკინში საგანგებო კომისია სუნ-იატ-სენის ნეშტის გადასატანად ნანკინში. (ადს).

გაფიცვის შეწყვეტის პირობები შანხაის აბრეშუმის სართავ ფაბრიკებში

შანხაი, 6 ივლისი. უცხოეთის პრესა აქვეყნებს იმ შეთანხმების პირობებს, რომლის ნიადაგზე შესწყდა გაფიცვა აბრეშუმის სართავ-ფაბრიკებში. ფაბრიკის პატრონებმა ბანკში შეიტანეს 8.000 დოლარი. ამ თანხის პროცენტები მიეცემა მოკლული მუშის ოჯახს. მწარმოებლები უბრუნებენ კავშირს 1,700 დოლარს, რაც კავშირმა მოკლული მუშის დაკრძალვის დროს დახარჯა. მუშების ხელფასი გადიდებულია დღეში 2 ცენტით. გაფიცულებს მიეცემათ ხელფასის განსაზღვრული ნაწილი გაფიცვის დროისათვის. (ადს).

იაპონელები პროტესტს აცხადებენ ბოიკოტის წინააღმდეგ

შანხაი, 6 ივლისი. იაპონიის კონსულმა უხუში ჩინეთის საგარეო საქმეთა კომისარს პროტესტი განუცხადა ჩინეთის იმ ბანკების მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც უარი სთქვეს იაპონიის ფირმებთან საქმის დაჭერაზე.

ცზინანის ინციდენტის შედეგები

შანხაი, 6 ივლისი. ჩინეთის სპეციალურმა კომისიამ ცზინანის ინციდენტის გამოძიების დროს გამოარკვია, რომ სულ მოკლულია 3.625 ჩინელი, დაჭრილია 1.455. განადგურდა 25.900.000 ჩინური დოლარის ქონება. 254 კაცი მოჰკლეს ხანჯლით, 105 დაჭრეს, 147 მოჰკლეს ტყვიამფრქვევებით, დანარჩენების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. კომისია აცხადებს, რომ იაპონიის ოკუპაციის გამო, რომელიც ეხლაც გრძელდება, შეუძლებელია სწორი ცნობების შეგროვება მოკლულთა, დაჭრილთა და ზარალის რაოდენობის შესახებ.

ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ ცზინანში იაპონიის ჯარის კაცები ყოველდღე უპატიურებენ ჩინელ ქალებს. (ადს).

მანჯურიის სრული ავტონომია

ხარბინი, 6 ივლისი. იუწყებიან, რომ მუკდენში გადაწყდა გამოაცხადონ მანჯურიის სრული ავტონომია.

იაპონიის სააგენტოს ტოხოს ცნობით, მუკდენის უმაღლეს ორგანოების წარმომადგენელთა თათბირმა დაადგინა, „შეინარჩუნონ მანჯურიის ტერიტორიალური და ადმინისტრატიული დამოუკიდებლობა და არ დაუშვან არავითარი ჩარევა მანჯურიის საქმეებში". (ადს).

იაპონიის მადა შანდუნში

ტოკიო, 6 ივლისი. იაპონიის პრესის ცნობებით, იაპონიის სამხედრო წრეები, „სამხრეთელების არაგულწრფელი მოქმედების" გამო, დაჟინებით მოითხოვენ შანდუნის პროვინციის რკინის გზის ქსელის მართვა-გამგეობის იაპონიის გზის გადასვლას, რკინის გზის შემოსავლის გამოყენებას შანდუნში მყოფ იაპონელი ჯარების შესანახად, იაპონიის ჯარების დატოვებას შანდუნში იმ დრომდე, სანამ სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება იაპონიის რეზიდენტების სიცოცხლისა და ქონების დაცვა. მოითხოვენ აგრეთვე თუ აუცილებელი იქნება, მაღაროებისა და რკინის-გზების მართვა-გამგეობისა და გადასახადების აკრეფის საქმის იაპონიის სარდლობის ხელში გადაცემას. (ადს).

ხუნხუზების თავდასხმა აღმოსავლეთ რკინის გზაზე

ხარბინი, 6 ივლ. 5 ივლისს დილის 6 საათზე შეიარაღებული ხუნხუზების ბანდა თავს დაესხა საფოსტო მატარებელს, რომელიც სადგურ პოგრანიჩნაიადან გავიდა ხარბინისაკენ. ბანდიტებმა გაძარცვეს მგზავრები, წაართვეს საცვალი და ჭურჭლეულობაც კი და თან წაიღეს მთელი ბარგი. ოთხი მგზავრი მოჰკლეს, 7 მძიმედ დასჭრეს. 40-მდე ჩინელი და რუსი მთებში წაიყვანეს. მოკლულთა შორის არის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სკოლის მასწავლებელი ქალი სალნიკოვა. დაჭრილია ცნობილი გეოლოგი პროფესორი ანერტი.

თავდასხმასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ დღეებში ჩინეთის სამხედრო პატრულმა დააკავა 3 რუსი სადგურ დაიმაგოუს მახლობლად, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის იმავე ხაზზე. დაკავებულები დადიოდნენ ერთ-ერთ გვირაბის მახლობლად. შტაბში დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ ერთი მათგანი, უვაროვი, არის ხუნხუზების ბრბოს მეთაური და ამავე დროს სემიონოვის გენერალის საველიევის თეთრგვარდიელთა ბანდის წევრი. გენერალი საველიევი ცნობილია იმით, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული იაპონელებთან ჯერ კიდევ ინტერვენციის დროს. უკანასკნელ წლებში ბანდამ ბინა გაიჩინა სადგურ პოგრანიჩნაიას რაიონში, ხშირად გადმოდიოდა საბჭოთა ტერიტორიაზე, და ხოცავდა ხალხს, პრიმორიეს სანაპირო სოფლებში, დანარჩენი ორი, ფომიჩევი და კორნიაკოვი, ხარბინის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. სამივე შეიარაღებული იყო სასროლი და ცივი იარაღით, თან ჰქონდათ დიდ-ძალი თოფისწამალი.

აშკარაა, რომ ბანდას განზრახული ჰქონდა აეფეთქებინა მეტად მნიშვნელოვანი მესამე გვირაბი დაიმაგოუს რაიონში. აღნიშნული პირების დაპატიმრებამდე რკინის-გზაზე დააკავეს თეთრგვარდიელები რუტკოვიჩი და სოკოლოვსკი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ მაუზერებით და ხმლებით. (ადს).

ინგლისი არჩევნების წინ

ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკური პროგრამის პროექტი

ლონდონი, 6 ივლისი. ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა თავის პოლიტიკური პროგრამის საბოლოო ტექსტი, რომელიც განხილული იქნება ოქტომბერში, მომავალ პარტიულ ყრილობაზე. პროგრამა შედგენილია იდეალური რეფორმიზმის პრინციპების მიხედვით. საბჭოთა კავშირის შესახებ პროგრამის პროექტში ნათქვამი: „თუმცა მუშათა პარტია განწყობილია იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა მთავრობა სხვა ხალხებს შინაურ საქმეებში ერეოდეს, მაგრამ **მუშათა პარტიის მთავრობა დაუყოვნებლივ გადასდგამდა ნაბიჯებს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად**". (ადს)

კომუნისტების წინადადება უარყვეს

პარიზი, 6 ივლისი. პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ საბჭოს ბურჟუაზიული და სოციალისტური წევრების ხმებით უარყო კომუნისტების წინადადება— ავტობუსებზე მომუშავეთა გაფიცვის დროს ტრანსპორტის დათხოვნილი მუშების უკან მიღების შესახებ.

კომუნისტმა დეპუტატებმა ხმა მისცეს ლოუშერის პროექტს საბინაო საკითხის შესახებ. მათ ეს ნაბიჯი დაასაბუთეს შემდეგნაირად: კომუნისტების აზრით, არის დამაკმაყოფილებელი— მასთან დაკავშირებით აუცილებელია სპეკულიაცია და ბინის ქირის ზრდა, მაგრამ ისინი მაინც აძლევენ ხმას პროექტს. ვინაიდან კომუნისტები ყოველთვის მოითხოვდენ საბინაო მშენებლობის განხორციელებას, ამიტომ ისინი ხმას მისცემენ ყოველ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს თუნდაც ერთი სახლის აგებას. (ადს)

პრაღა—სამხედრო ბანაკი

პრაღა, 6 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: წითელი დღის აკრძალვასთან დაკავშირებით 6 ივლისისთვის დანიშნული კომუნისტური დემონსტრაციები არ გაიმართა. (ადს)

პრაღა, 6 ივლისი. პრაღა წარმოადგენს სამხედრო ბანაკს. ჟანდარმები დაბანაკებულნი არიან ქუჩებში, მთავარ ფოსტის შენობაში და სხვ. ბურჟუაზიული პრესა გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს კომუნისტების წინააღმდეგ. გაზეთები „ნაროდნი ლისტი" და „ლიდოვე ლისტი" მოითხოვენ კომპარტიის აკრძალვას. (ადს)

ჩხრეკა

პრაღა, 6 ივლისი. უკანასკნელ დღეებში პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის საოლქო სამდივნოები, სადაც ფიქრობდა „წითელი დღის" შესახებ გამოშვებული არა ლეგალური მოწოდებების აღმოჩენას. ჩხრეკა პოლიციის მარცხით დამთავრდა. (ადს)

გემოკვების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი

ვენა, 6 ივლისი. მოხდა გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესის საბოლოო სხდომა. ამ სხდომაზე კვლავ გაიმართა კამათი იმ მოხსენებათა ირგვლივ, რომელიც შეეხებოდენ ალმას. მოქმედებას, რვა საათის სამუშაო დღეს და ღამის მუშაობას. სხდომას ახასიათებდა რეფორმისტების გალაშქრება საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ. გერმანიისა, ავსტრიისა, საფრანგეთისა და პოლონეთის დელეგატებმაც გაილაშქრეს საბჭოთა პროფკავშირების წინააღმდეგ. მათ გადაჭრით ის აზრი გამოსთქვეს, რომ სასურველი არ არის გემო-კვების საბჭოთა კავშირის მუშაკთა კვლავ დარჩენა ინტერნაციონალშიო. გერმანიის დელეგატმა შიფერშტეინმა, სხვათა შორის, აშკარად განაცხადა: ინტერნაციონალში გემო-კვების საბჭოთა მუშაკების შესვლის საკითხი რომ სწყდებოდეს ამ ყრილობაზე. იგი ხსენებულ საკითხს უეჭველად უარყოფით გადასწყვეტდაო.

საბჭოთა დელეგაციამ ენერგიული პროტესტი განაცხადა ამ გამოლაშქრების წინააღმდეგ და აღნიშნა,—გალაშქრება გამოწვეულია იმ სურვილით, რომ საბჭოთა კავშირს სახელი გაუტეხონო. საბჭოთა დელეგატებმა კატეგორიული პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ უარყოფილ იქნა წინადადება კამათის გახსნის შესახებ საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლიუციების ირგვლივ (ამ რეზოლიუციათა შორის იყო ალმასკომისთვის უნდობლობის გამოცხადება, წინადადება 6—7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ საბჭოთა კავშირის მსგავსად და წინადადება საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის საკითხის გამო).

საბჭოთა დელეგატმა ვეინბერგმა აღნიშნა: ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სასურველი არ არის საბჭოთა გემო-კვების მუშაკების დარჩენა ინტერნაციონალში, ადასტურებს ინტერნაციონალის რეფორმისტი ლიდერების განზრახვას— ახალი გათიშვა გამოიწვიონ გემო-კვების მუშაკთა რიგებში.

„საბჭოთა დელეგაცია,—სთქვა ვეინბერგმა,—მათ ამ მუშაობას არ გაუადვილებს. საბჭოთა მუშები მოახერხებენ, რომ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალონ".

საბჭოთა დელეგატების მკაცრი კრიტიკის შედეგად შიფერშტეინი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საბჭოთა დელეგატების სიტყვები გასაგებია, ვინაიდან საბჭოთა კავშირში, წინააღმდეგ სხვა ქვეყნებისა, ძალაუფლება მართლაც მუშათა კლასის ხელშია".

საბჭოთა დელეგაციის პრინციპიალური ხასიათის ყველა რეზოლიუცია ყრილობამ უარჰყო. საბჭოთა დელეგაციის და ნაწილობრივ ნორვეგიის დელეგაციის ხმების წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო ინტერნაციონალის ალმასკომის ყველა რეზოლიუცია, აგრეთვე ალმასკომისადმი ნდობის ვოტუმი, რომელიც წარადგინა პოლონეთის დელეგაციამ.

ალმასკომის რეზოლიუციაში (პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ) ნათქვამია, რომ მთლიანობისაკენ მისწრაფება „[illegible] პროფინტერნის მოქმედების გავლენით".

არჩეულ ალმასკომში მოჰყვა წინანდელი შემადგენლობა—ვილშელმის თავმჯდომარეობით და შიფერშტეინის მდივნობით. საბჭოთა დელეგაციას ალმასკომში დაუთმეს 3 მანდატი. უარყოფილ იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ ალმასკომში შეეყვანათ გემო-კვების საბჭოთა მუშაკების წარმომადგენელი (ადს).

გერმანელ ნაციონალისტების ბანაკში

ახალი მიმდინარეობა

ბერლინი, 6 ივლისი. გერმანიის ნაციონალისტურ პარტიაში უკანასკნელ დროს ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობა, რომელიც საჭიროდ სთვლის პარტიის ძირითადი პოლიტიკური შეხედულებების გადათვალიერებას და მოითხოვს, რომ ნაციონალისტები ბურჟუაზიული რესპუბლიკის პლატფორმაზე დადგნენ არა მარტო დე-ფაქტო, არამედ არსებითადაც. ამ მიმდინარეობის სათავეში სდგას რეიხსტაგის დეპუტატი ლამბახი; მას მხარს უჭერს „ახალგაზრდა ნაციონალისტთა კავშირი", რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დაარსდა ნაციონალისტების პარტიასთან. ნაციონალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წარსულ სხდომაზე ლამბახის შეხედულებები სასტიკად გააკრიტიკეს პარტიის ხელმძღვანელებმა. ამ სხდომაზე დაისვა საკითხი ლამბახის ცნობილ წერილის შესახებ, რომელშიაც გადმოცემული იყო ახალგაზრდა ნაციონალისტთა შეხედულებები. სხდომამ დაგმო ლამბახის წერილის როგორც ფორმა, ისე შინაარსი. (ადს)

საფრანგეთ-საბჭოთა საპარლამენტო ჯგუფი

პარიზი, 6 ივლისი. შესდგა საფრანგეთ-რუსეთის საპარლამენტო ჯგუფის საორგანიზაციო კრება. ხსენებული ჯგუფი, რომელიც მომხრეა საბჭოთა კავშირთან დაახლოების, კვლავ იწყებს მუშაობას ფილიპოტო ბერჟერის ინიციატივით. (ადს)

იტალიელ კომუნისტების ჯგუფის საქმე

რომი, 6 ივლისი. სპეციალურმა ტრიბუნალმა დაამთავრა იმ კომუნისტების ჯგუფის საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალდებოდათ მონაწილეობა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულებაში და რევოლიუციონურ პროპაგანდაში. 9 კაცს, იტალიის კომპარტიის საქალაქო პროვინციალურ და საოლქო ორგანიზაციების მდივნებს, მიუსაჯეს დაპატიმრება 4 წლით და 11 თვიდან 9 წლ. და ათ თვემდე და სხვადასხვა ფულადი ჯარიმა 3 ათას ლირამდე (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

არ ასვენებთ კომუნისტების მანდატები

ახალი გაფიცვები საფრანგეთში

მოსკოვი, 7 ივლისი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი გაბრიელ პერი იტყობინება: საფრანგეთის ბურჟუაზია ვერ შერიგებია კომუნისტური პარტიის მანდატებს პარლამენტში ბურჟუაზიული პარტიების დეპუტატები ამტკიცებენ, თითქოს ორენმა, რომელიც კომპარტიის სიით იქნა არჩეული პარლამენტში მოიპოვა დეპუტატის მანდატი ცილისწამებით და სხვა დაუშვებელ საშვალებებით.

კომფრაქციის ორატორმა ამხ. პიკმალმა მოითხოვა, რომ ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად წარდგენილი ყოფილიყო კონკრეტული დამარწმუნებელი საბუთები. პიკმალის ეს მოთხოვნილება უპასუხოდ დარჩა.

პიკმალმა სხვათა შორის განაცხადა, რომ კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა ორენისაგან, რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა დეპუტატობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევა სრულიად კანონიერად მოხდა. ორენისადმი ასეთი მოთხოვნილების წარდგენა გამოწვეული იყო შინაპარტიულ დისციპლინის მოსაზრებით, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ორენის კანონიერად თუ არაკანონიერად არჩევის საკითხთან.

კამათის დასასრულს, ხმის დიდი უმრავლესობით, მიღებულ იქნა ამხ. პიკმალის წინადადება: პარლამენტმა დაამტკიცა ორენის მანდატი და მიიღო ამავე ორენის განცხადება დეპუტატობაზე უარის თქმის შესახებ.

ამის შემდეგ გაბრიელ პერი ეხება საფრანგეთის მუშათა მოძრაობას უკანასკნელ ხანებში და აღნიშნავს:

ყოველ დღე აქა-იქ იწყება ახალი მასიური გაფიცვები. კვირას, 8 ივლისს მოილიან დიდ საპროტესტო მიტინგებს როშის მაღაროებში მომხდარ კატასტროფის გამო.

საბჭოთა ისტორიკოსების კვირეული გერმანიაში

მოსკოვი, 7 ივლისი. გაზეთ „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი იტყობინება:

7 ივლისს ბერლინში დაიწყო საბჭოთა ისტორიკოსების კვირეული, რომელიც მოაწყო აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ გერმანელების საზოგადოებამ.

კვირეული დიდ ინტერესს იწვევს მეცნიერთა წრეებში, რომელნიც გამოსთქვამენ რწმენას, რომ გერმანელ და საბჭოთა მეცნიერების მჭიდრო მეგობრული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება. ისტორიკოსების ყრილობაზე ბერლინში გამოვლენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ისტორიკოსები.

რით აღნიშნავს მოსკოვი კოოპერაციის დღეს

მოსკოვი, 7 ივლისი. კვირას, 8 ივლისს კოოპერაციის დღის გამო მოსკოვის ქუჩებში გაიმართება გრანდიოზული კარნავალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 150.000 კაცი.

გარდა ამისა ამ დღეს გაიხსნება ორი დიდი კოოპერატიული უნივერსალური მაღაზია და რამდენიმე ჩვეულებრივი მაღაზიები. ზოგიერთი ბაზრები კი ამ დღეს მთლიანად გადავა კოოპერაციის ხელში.

ავსტრიელი მუშკორები

მოსკოვი, 7 ივლისი. დღეს მოსკოვში ჩამოვიდნენ ავსტრიელი მუშა კორესპონდენტები, რომელთაც განზრახვა აქვთ გაეცნონ მუშკორთა მოძრაობას საბჭოთა კავშირში.

მოსკოვის მუშკორები ემზადებიან ავსტრიელ ამხანაგების ღირსეულად შეხვედრისათვის.

სექტანტები-ექსპლოატატორები

მოსკოვი, 7 ივლისი. მოსკოვის გარეუბან ჩერკიზოვოში მცხოვრებ სექტანტებს შორის შრომის ინსპექციის ორგანოებმა აღმოაჩინეს მოზარდთა დაუზოგავი ექსპლოატაციის იშვიათი შემთხვევები. აქ ცხოვრობენ მომეტებით შინამრეწველი სექტანტები, რომელნიც, როგორც სარწმუნოებრივი სექტის მიმდევარნი, ერთგვარ ხელშეუხლებლობის უფლებით სარგებლობენ. მათ ბოროტად გამოიყენეს ეს უფლება.

ათასზე მეტი მცირეწლოვანი მუშა 12 საათზე მეტს მუშაობდა დღეში. ეს ახალგაზრდობა იდეოლოგიურადაც დამონებული ყავს მოხუც და მორწმუნე სექტანტებს.

ხელისუფლების ორგანოებმა სასწრაფო ზომები მიიღეს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

ამიერ-კავკასია რიცხოვნობით პირველ რიგში მიდის საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 7 ივლისი. გამორკვეულია, რომ ამიერ-კავკასიის ფიზიკურ კულტურის ორგანიზაციები საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეთა შორის, თავისი რიცხოვნობით პირველ ადგილს დაიჭერენ ყველა რესპუბლიკათა შორის.

მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ა. ენუქიძე, მსაჯთა შორის არის სხვების გარდა წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი—ამხ. კამენევი.

საკავშირო სპარტაკიადასთან ერთად წითელ არმიათა შორის შესდგება შეჯიბრება პირველობაზე.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ბერლინი, 7 ივლისი. გერმანიის კომპარტიის ცეკას გაფართოებულმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა ბერლინში, განიხილა მთელი რიგი საკითხები. პირველად პლენუმმა მოისმინა მერკერის მოხსენება კომინტერნის მეექვსე კონგრესის შესახებ. პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხს წარმოადგენდა კომინტერნის პროგრამის პროექტის განხილვა. პლენუმმა შემდეგ მოისმინა ამხ. ტელმანის მოხსენება რეიხსტაგის არჩევნების შედეგებისა და გერმანიის კომპარტიის აქტუალურ ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა ამომწურავი ანალიზი გაუკეთა არჩევნების საერთო შედეგს. შეეხო რა მიმდინარე მომენტს და მთავრობის შედგენას, ტელმანმა აღნიშნა, რომ მიულერის მთავრობა ყველა დარგში გაატარებს ბურჟუაზიულ ბლოკის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ; ამიტომ კომპარტიის ამოცანას შეადგენს გაძლიერებული ბრძოლა სოციალ-დემოკრატების კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს).

გერმანიის პრესა შახტის პროცესის შესახებ

ბერლინი, 7 ივლისი. „როტე ფანე", ეხება რა შახტის პროცესს, სწერს: „შახტის პროცესმა საერთაშორისო პროლეტარიატს დაუმტკიცა, რომ არსებობს სოციალიზმის სახელმწიფოზე თავდასხმის კონტრ-რევოლუციონური იმპერიალისტური გეგმები. სოციალიზმის ცოცხალი, ახალგაზრდა ძალები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მიერ წამოყენებული და არა ერთხელ მის მიერ ნაცადი დამანგრეველი ძალები. ჩვენ შევისწავლეთ მტერი და ამავე დროს ვიგრძენით ჩვენი კლასობრივი სიძლიერე".

ბერლინი, 7 ივლისი. ბურჟუაზიულ პრესას შახტის საქმეში საერთოდ პროცესის და, კერძოდ განაჩენის მიმართ მეტად აგრესიული პოზიცია უკავია. პრესა იმეორებს უკვე ცნობილ შეხედულებებს პროცესის მიზნებისა, კლასობრივი იუსტიციისა და სხ. შესახებ. ყველა გაზეთები სხვადასხვა ფორმულირებით აყენებენ მოთხოვნილებებს საბჭოთა კავშირში მომუშავე გერმანელ მოქალაქეების უშიშროების გარანტიის შესახებ. ყველაზე უფრო მკაცრ მოთხოვნილებებს ამ საკითხზე „ფორვერტს"-ი აყენებს (ადს).

არაჩვეულებრივი სიცხე

სევასტოპოლი, 7 ივლისი. არაჩვეულებრივი სიცხეებია. მზეზე ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღწევს (ადს).

ლუნდბორგი

სტოკჰოლმი, 7 ივლისი. კაპიტან ლუნდბორგის გადარჩენის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა. ერთად-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ლუნდბორგი გადაარჩინეს პირველად ვალიერის ჯგუფიდან, ალბად, იმაში მდგომარეობს, რომ მისი მონაწილეობა ნობილეს ჯგუფის გადარჩენის საქმეში მეტად საჭიროა (ადს).

ოსტროვსკის საქმე

ვარშავა, 6 ივლისი. ვილნოს სასამართლომ 2 თვის დაპატიმრება მიუსაჯა ბელორუსის საზოგადო მოღვაწეს ოსტროვსკის, ვინაიდან მან აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლების ორგანოებს, რომელნიც შეეცადნენ ბელორუსების დახურული გიმნაზიის ბინის დაკავებას. ოსტროვსკი ცნობილია ბელორუსთა გრომადის პროცესით (ადს).

რადიო „მალიგინ"-იდან

ყინულის მჭრელი „მალიგინ"-ი, 7 ივლისი. 6 ივლისს „მალიგინ"-მა ისარგებლა ყინულების დაშლით, თავი დააღწია ყინულებს და მიდის კარლისის მიწისაკენ. აეროპლანი კვლავ მზად არის ბაბუშკინის გაფრენისთვის ნობილეს ჯგუფის დასახმარებლად. (ადს).

საბერძნეთის მეთამბაქოეთა გაფიცვა დამთავრდა

ათინა, 6 ივლისი. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შრომის კონფედერაციამ დამთავრებულად გამოაცხადა მეთამბაქოეთა და სხვა მუშების გაფიცვა. მოსალოდნელია აგრეთვე შეთანხმება სანაოსნო კომპანიებსა და მეზღვაურებს შორის (ადს).

80 კომუნისტის საქმე რომში

ბერლინი, 6 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, რომ რომის სპეციალურ ტრიბუნალში დაიწყო 80 კომუნისტის საქმის გარჩევა. ბრალდებულთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები ჩრდილოეთ იტალიის რაიონებიდან (ადს).

„კელნიშე ცეიტუნგ"-ი შახტის საქმის გამო გამოტანილი განაჩენის შესახებ

ბერლინი, 6 ივლისი. „კელნიშე ცეიტუნგ"-ი ეხება რა შახტის საქმის განაჩენს კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანელების მიმართ გამოტანილი განაჩენის გამო და აცხადებს: „უთანხმოების მიზეზი აშორებულია. გაწმენდილია გზა მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად" (ადს).

საცდელი მობილიზაცია პოლონეთის 4 მაზრაში

ვარშავა, 6 ივლისი. პოლონეთის სამხედრო ხელისუფლებამ დანიშნა ჯარების და ცხენების საცდელი ნაწილობრივი მობილიზაცია რუეშოვსკის, დუბნოვსკის, იაროსლავსკის და პრუჟანოვსკის მაზრებში (ადს).

მაქს ჰელცის საქმე და ამნისტია

ბერლინი, 6 ივლისი. რეიხსტაგის [illegible] კომისიამ სპეციალურ სხდომაზე განიხილა მაქს ჰელცის საქმე. კომისიამ გადასწყვიტა—თავი შეიკავოს და მაქს ჰელცის საქმის გამო განსაზღვრული გადაწყვეტილება არ გამოიტანოს, სანამ რეიხსტაგი არ გადასწყვეტს საკითხს პოლიტიკურ პატიმართა საერთო ამნისტიის შესახებ.

როგორც ცნობილია, მთავარმა პროკურორმა ვერნერმა გადასწყვიტა, მიიღოს განსახილველად დამცველთა შუამდგომლობა ჰელცის საქმის გადასინჯვის შესახებ. საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია სისხლის სამართლის მეოთხე სენატზე, მაგრამ სენატის თავმჯდომარეს ლორენცს განზრახული აქვს დაუცადოს რეიხსტაგის მიერ საყოველთაო ამნისტიის განხილვის შედეგებს. თუ საყოველთაო ამნისტიის საკითხი დადებითად გადაიჭრა, ჰელცის საქმის გადასინჯვა საჭირო აღარ იქნება. (ადს).

დახმარება როშ ლია-მოლიერის კატასტროფის მსხვერპლთ

პარიზი, 6 ივლისი. რკინისგზელთა უნიტარულ პროფკავშირების ფედერაციის ყრილობამ, რომელიც მოწვეულია პარიზში, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს როშ ლია მოლიერში მომხდარ კატასტროფის დროს დაზარალებულთ. ყრილობამ დაადგინა დაიწყოს შემოწირულებათა შეგროვება დაზარალებულთა სასარგებლოდ.

შრომის უნიტარული კონფედერაციის სახელით ყრილობას მიესალმა მონმუსო. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

ლუნდბორგი გადარჩენილია

სტოკჰოლმი, 6 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ნობილეს დამხმარე შვეციის ექსპედიციის უფროსმა 6 ივლისს რადიოთი აცნობა შპიცბერგენზე, რომ შვედი მფრინავი ლუნდბორგი, რომელიც იმყოფებოდა ვილიერის ჯგუფში, გადარჩენილია. (ადს)

რადიო „კრასინი"-დან

ყინულის მჭრელი „კრასინი", 7 ივლისი. „კრასინი" დაიძრა ადგილიდან იმ მიზნით, რომ შეძლებისდაგვარათ წაიწიოს წინ და გამონახოს ყინულებში მოედანი, სადაც მოეწყობა ბაზა ჰაეროპლანების ასაფრენად. (ადს).

დემონზის განცხადება

პარიზი, 6 ივლისი. სენატორმა დემონზიმ, მადრიდში ყოფნის დროს, გაზეთ „ჰერალდო"-ს კორესპონდენტთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ეტაპებია: საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება და საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში. (ადს)

გრიგალი

ბერლინი, 6 ივლისი. 4 ივლისს ზემო-სილეზიაზე ძლიერმა გრიგალმა გადაიარა. დაიღუპა 10 კაცი, 23 მძიმედ დაშავდა.

ვარშავა, 6 ივლისი. 4 ივლისს მთელ პოლონეთზე ძლიერმა გრიგალმა გადაიარა. გრიგალმა დიდი ზარალი მოიტანა. დაიღუპა 37 კაცი. 20 სოფელში ხანძარი გაჩნდა. ვარშავის ჰაეროდრომზე გრიგალმა აიტაცა 15 ჰაეროპლანი, რომელთაგან ზოგი დაზიანდა, ზოგი სრულიად დაიმსხვრა. მეხმა მოჰკლა ერთი კაცი, შვიდი დააშავა. ვარაუდით ზარალი ერთ მილიონ ზლოტს უდრის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. მეჟლაუკის დანიშვნა

მოსკოვი, 7 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა—დანიშნოს ამხ. მეჟლაუკი საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. თავისი გადაწყვეტილება სახკომსაბჭომ დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს. (ადს).

ამხ. ანიკიევი მოსკოვში

მოსკოვი, 7 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. ანიკიევი, ის ინახულებს იმ იაპონური ფირმის წარმომადგენლებმა, რომელიც ფლობს საკონცესიო სათევზაო ადგილებს და საკონსერვო ქარხნების უმრავლესობას კამჩატკაზე. (ადს).

„ინტერნაციონალის" ავტორი მოსკოვში

მოსკოვი, 7 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა რევოლუციონური ჰიმნის „ინტერნაციონალის" ავტორი, მოხუცი ფრანგი მუშა დეჟეიტერი, რომელიც მოთავსებული იქნა რევოლუციის ვეტერანთა სახლში. (ადს).

სტუდენტობის დელეგაცია

მოსკოვი, 7 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის, დანიის, შვეციის და ფინეთის სტუდენტობის დელეგაცია. დელეგაციაში 18 კაცი შედის. (ადს).

ავღანისტანის ფადიშახის მადლობა

მოსკოვი, 7 ივლისი. ამხ. კალინინმა ქაბულიდან ავღანისტანის ფადიშაჰისა და მისი ცოლისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ფადიშაჰი და მისი ცოლი, იგონებენ რა გულითად შეხვედრას და ყურადღებას საბჭოთა კავშირში, გულწრფელ მადლობას უძღვნიან ამხ. კალინინს და საბჭოთა მთავრობას მეგობრული დამოკიდებულებისათვის. (ადს)

შეღავათი აღმოსავლეთელ ვაჭრებს

მოსკოვი, 7 ივლისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე დააწესა სხვადასხვა საბაჟო შეღავათი იმ საქონელზე, რომელიც თურქეთიდან, სპარსეთიდან, ავღანისტანიდან, დასავლეთ ჩინეთიდან, მონღოლეთიდან და ტანუტუვიდან საბჭოთა კავშირის ხმელეთის საზღვრით და კასპიის ზღვის ნავსადგურებით იგზავნება 1928 წლის ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე. კერძოთ, სახკომსაბჭომ ნება დართო უბაჟოთ შემოიტანონ მატყლი და ბეწვეული. ცხვრისა, თხისა და ბატკნის ტყავებზე დაწესებულია დაკლებული საბაჟო ნიხრი. ამასთან ერთად სახკომსაბჭომ დაადგინა—დაბრუნებულ იქნეს თურქეთიდან, სპარსეთიდან და ავღანისტანიდან შემოტანილ საქონელზე გადახდილი ბაჟი იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი არ გაიყიდა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე და უკანვე იქნება გატანილი. ბაჟის დაბრუნება უნდა ხდებოდეს ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის კომიტეტის მოწმობებით.

მეცნიერი ქიმიკოსები ამხ. ჩუბართან

ხარკოვი, 7 ივლისი. ცნობილ უკრაინელ მეცნიერ-ქიმიკოსების, აკადემიკოსების, პროფესორების და ინჟინერების დელეგაციამ ინახულა უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩუბარი და გადასცა მას მოხსენება ქიმიის მნიშვნელობის შესახებ უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩუბარმა, ზატონსკიმ და სუხომლინმა.

ამხ. ჩუბარმა შემდეგი პასუხი გასცა მეცნიერებს:

„ნება მიბოძეთ უკრაინის მთავრობის სახელით მადლობა გამოგიცხადოთ თქვენ და თქვენი სახით ქიმიის ყველა მუშაკს. ეს მუშაკები არაერთხელ დახმარებიან მთავრობას იმ საკითხების დამუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან. ამჟამად, ჩვენი მრეწველობის აღდგენის დამთავრებასა და მასების კულტურული დონის ზრდასთან დაკავშირებით, ჩვენ ახალი ამოცანები უნდა დავისახოთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების, კერძოდ მისი ქიმიზაციის საქმეში. ის კონკრეტიული მორიგი ამოცანები ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია თქვენს მოხსენებაში, მე მგონია საფუძვლად უნდა დაედონ იმ კომიტეტის მუშაობას, რომელიც უნდა დაარსდეს სახკომსაბჭოსთან. ვფიქრობ, რომ მუშაობა ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციის დარგში კიდევ უფრო დააკავშირებს მეცნიერებს გლეხურ მასებთან სოციალური აღმშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის". (ადს).

შახტის კონტრ-რევოლუციონერთა საქმე

ამონაწერი შახტის საქმეზე გამოტანილ განაჩენიდან

მოსკოვი, 6 ივლისი. შახტის საქმეზე გამოტანილ განაჩენში, სხვათა შორის, ნათქვამია (განაჩენის პირველ ნაწილში):

დონბასის თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლების შემდეგ დონის როსტოვში სათათბიროდ შეიკრიბნენ ქვა-ნახშირის სამრეწველო კომპანიების ყოფილი მონაწილენი და აქციონერები. თათბირზე მაღაროს მრავალი ინჟინერი და ტექნიკოსიც გამოცხადდა. თათბირზე დაისახა მოქმედების ძირითადი პროგრამა უახლოესი დროისათვის, რომელიც იმ ვარაუდით იყო შედგენილი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ იარსებებს და მალე დაემხობა.

ამ პროგრამის დედა აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ განეგრძოთ მუშაობა ძველი მეპატრონეების სასარგებლოდ, დაუზიანებლად დაეცვათ მაღაროები და მოწყობილობა, არ შეემცირებინათ მათი ღირებულება და არ გამოეჩინათ ახალი ხელისუფლებისათვის წიაღის სიმდიდრენი, რათა ყოფილი მეპატრონეების დაბრუნებისას შესაძლებელი ყოფილიყო მათთვის საწარმოთა ხელშეუხებლად დაბრუნება. ეს პროგრამა სავსებით შეეფერებოდა ამ ტექნიკური პერსონალის ზედა ფენის იდეოლოგიურ განწყობილებას, რადგან იგი გამსჭვალული იყო ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური იდეებით. ასეთი განწყობილება მაჩვენებელი იყო იმის, რომ ტექნიკური ინტელიგენციის ამ ნაწილს არ სწამდა პროლეტარიატის და პროლეტარული ხელისუფლების შემოქმედებითი ძალა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კაპიტალისტური წყობილება ურყევია და რომ მას უპირატესობა აქვს სოციალისტურ წყობილებასთან შედარებით. ეს სპეციალისტები ღრმად იყვნენ აგრეთვე დარწმუნებული, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არ შესწევს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის უნარი. ქვა-ნახშირის კაპიტალისტურ მრეწველობაში მომუშავე ადმინისტრატიულ - ტექნიკური პერსონალის ამ რწმენას დაერთო თავისი უპირატესობის შეგნება, რომელიც იქიდან გამომდინარეობდა, რომ მას მრეწველობაში პრივილეგიური მდგომარეობა ეჭირა და კაპიტალისტურ საწარმოო „იმპერ-ოფიცრების" როლს ასრულებდა.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც, თეთრი არმიების საბოლოო განადგურების შემდეგ, საზღვარ-გარეთ გაქცეულ მესაკუთრეებს და აქციონერებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ იმედი, რომ დაიბრუნებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეულ წარმოებებს. მათ თავი ჯერ კიდევ მიაჩნდათ ნამდვილ მეპატრონეებად, რომლებმაც მხოლოდ დროებით დაკარგეს საკუთრების უფლება. ამიტომ მათ კავშირი გააბეს მაღაროების უმაღლეს ადმინისტრატიული და ტექნიკური პერსონალის ნაწილთან, აძლევდნენ მას სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო დირექტივებს, ღებულობდნენ მისგან საინტერესო ცნობებს მაღაროების მოწყობილობის მდგომარეობის და საწარმოთა ექსპლოატაციის გეგმების შესახებ და, ამრიგად, ცდილობდნენ ფაქტიური ხელმძღვანელობა გაეწიათ მისთვის.

ამავე დროს ყოფილი მესაკუთრეები თავიანთ რწმუნებულების განკარგულებაში გზავნიდნენ დიდძალ თანხებს. ეს უკანასკნელნი კი ამ თანხებს უნაწილებდნენ ყველა იმათ, ვინც მონაწილეობას იღებდა ყოფილ მეპატრონეთა ინტერესების დაცვაში.

სასამართლო გამოძიებამ გამოარკვია, აგრეთვე, რომ ყოფილი კაპიტალისტები — ქვანახშირის საწარმოთა მესაკუთრეები და აქციონერები — მოქმედებდნენ არა პირადად, საკუთარი ინიციატივით და აქტივობით, არამედ, როგორც უცხოეთში შექმნილ და მოქმედ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წევრნი. ასეთი იყო, მაგალითად, „სამხრეთ რუსეთის ქვა-ნახშირის ყოფილ მრეწველთა გაერთიანება", „ყოფილი ძველი რუსეთის კრედიტორების საზოგადოება", „დონბასის სამთომადნო საწარმოთა ყოფილი დირექტორებისა და მესაკუთრეების პოლონური გაერთიანება" და სხვა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ „სამხრეთ - რუსეთის სამთამადნო მრეწველთა გაერთიანება", რომელსაც მეთაურობდნენ ვაჭრობა - მრეწველობის ყოფილი მინისტრი ფონინი, პრიატკინი, ხოკლოვიჩი, შტეინბერგი და სხვები, ხოლო მეორე მხრივ —„პოლონური გაერთიანება", რომელსაც მეთაურობდა დვორჟანჩიკი.

„გაერთიანების" როლი მით უფრო სერიოზული იყო, რომ ამ სახელით მოქმედებდა ოქტომბრის რევოლუციის მიერ განადგურებულ „ყრილობათა საბჭოს" ნაშთი. ხოლო ეს ყრილობათა საბჭო წარმოადგენდა იმ ცენტრს, რომელიც პარიზიდან უწევდა ხელმძღვანელობას კონტრ-რევოლუციონურ დამაზიანებელ ორგანიზაციას. ეს უკანასკნელი კი უკვე 1923-24 წელს ჩამოყალიბდა დონბასში.

პარიზის ცენტრის ამოცანას შეადგენდა არა მარტო სხვადასხვა ხასიათის ცნობების მიღება საბჭოთა კავშირიდან დონეცის ბასეინის მაღაროების მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ, არამედ აგრეთვე ხელმძღვანელობის გაწევა იმ კონკრეტულ დამაზიანებელ მუშაობისთვის, რომელიც სწარმოებდა ქვა-ნახშირის ამოღების (ახალი მშენებლობის პროექტების შედგენა - დამტკიცების, მაღაროების მოწყობილობის შეცვლისა და მექანიზაციასთან დაკავშირებულ სამშენებლო ოპერაციების ეტაპების [illegible] რაციონალიზაციის გატარების დროს.

პარიზის ცენტრმა განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობა 1926-27 წელს, როდესაც მისი მუშაობა დაუკავშირდა ზოგიერთ უცხოელ სახელმწიფოს ზოგიერთ სპეციალურ დაწესებულებათა მოქმედებასა და ინტერესებს.

როგორც სასამართლო გამოძიებამ გამოარკვია, პარიზის ცენტრი თავის გავლენას დონბასში არსებულ დამაზიანებელ ორგანიზაციის მუშაობაზე ზურგს უმაგრებდა მნიშვნელოვანი ფულადი [illegible], რომლებიც სისტემატიურად იგზავნებოდნენ უცხოეთიდან ხსენებული ორგანიზაციის განკარგულებაში.

ანალოგიურ როლს თამაშობდა „პოლონური გაერთიანება", რომელსაც დვორჟანჩიკი ხელმძღვანელობდა. ამ გაერთიანებამ დონბასში არსებულ დამაზიანებელ ორგანიზაციასთან კავშირი გააბა ჯერ კიდევ 1923 წელს. ამ დროიდან მოყოლებული ამ კავშირის განხორციელებას ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ არა მარტო ჩვენი ქვა-ნახშირის მრეწველობის ცალკე მოსამსახურენი, არამედ ის პირნიც, რომელნიც ემსახურებოდნენ უცხოელთა ზოგიერთ დაწესებულებას (როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ-გარეთ).

მაგრამ განსაკუთრებით მოხერხებულ ფორმას კავშირის გასაბმელად, დამზიანებელთა ორგანიზაციის და უცხოეთში არსებულ დაწესებულებებს შორის წარმოადგენდა დამზიანებელი ორგანიზაციის წევრ - ინჟინერების მივლინება საზღვარ-გარეთ სამსახურის საქმეების გამო.

დამზიანებელი ორგანიზაციის განვითარების ეტაპების აღნუსხვის შემდეგ განაჩენი გადადის ხარკოვის ცენტრის დახასიათებაზე.

„ხარკოვის ორგანიზაცია, — ნათქვამია განაჩენში, — რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა გაბმული დვორჟანჩიკთან და მოქმედებდა მისგან მიღებული დირექტივებისა და ინსტრუქციების მიხედვით, ერთ-ერთ თავის უმთავრეს ამოცანად ისახავდა დონბასის მაღაროების მეურნეობის ისეთ წარმოებას, რომელიც მაქსიმალურ შესაძლებლობას შექმნიდა იმისათვის, რომ ყოფილ მეპატრონეებს დაბრუნებოდათ ოქტომბრის რევოლუციით დაკარგული საწარმოები, თუნდაც ეს დაბრუნება მომხდარიყო საკონცესიო ხელშეკრულებათა სახით. მხოლოდ ეს ხელშეკრულებები ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო კონცესიონერებისათვის.

დამზიანებელი ორგანიზაციის პროგრამის ეს პუნქტი ერთ-ერთმა ბრალდებულმა საკმაოდ გამომზეურებულ და ცინიკურ ფორმაში ჩამოაყალიბა. ამ პუნქტში ნათქვამია: „დონბასის მაღაროების მეურნეობა ისეთ მდგომარეობამდე უნდა იქნას მიყვანილი, რომ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდეს კონცესიით გადასცეს მაღაროები უცხოელებს, ან საერთოდ იარაღი დაჰყაროს კაპიტალის წინაშე".

გარდა ამისა, ხარკოვის ცენტრის სამოქმედო პროგრამაში ვპოულობთ ისეთ პუნქტებს, როგორიც არის „პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ", ომის დროს საბჭოთა კავშირის მტრებისათვის დახმარების გაწევა ზურგის დაშლით, ქვა-ნახშირის ამოღების შეწყვეტით, მაღაროების დანგრევით ან მათში წყლის შეშვებით და პირდაპირი სადივერსიო აქტებით.

„მუშათა საკითხი" დამზიანებელთა პროგრამაში იმით განისაზღვრებოდა, რომ უკმაყოფილება გამოეწვიათ მუშებში, გაეღიზიანებინათ ისინი უსამართლო ნორმების დაწესებით, ხელფასის შემცირებით, კონფლიქტების გაზვიადებით, საქმის გაჭიანურებით, კოლექტიური ხელშეკრულებათა განხორციელების დაგვიანებით — ერთის სიტყვით ისეთი მწვავე ურთიერთობის შექმნით მუშათა მასის და მის პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს შორის, რომ უკანასკნელთა ავტორიტეტი თანდათან შერყეულიყო და შესუსტებულიყო.

დამზიანებელი მუშაობა ახალი კაპიტალური მშენებლობის დარგში მდგომარეობდა პროექტების შედგენის ხელოვნურად გაჭიანურებაში, მრავალი ზედმეტი ვარიანტის შედგენასა, პროექტების [illegible] შედგენასა და უკვე შედგენილი პროექტების დაუსრულებელ გადაკეთებაში.

მუშაობის ასეთი მეთოდის მეოხებით, მრავალი პროექტი არ მთავრდებოდა მთელი წლების განმავლობაში, რის გამოც მრავალ მაღაროს ექსპლოატაცია ხანგრძლივად ფერხდებოდა.

გარკვეულ საზიანო ხასიათს ატარებდა დონბასის მექანიზაციის განყოფილების მუშაობა, ვინაიდან ეს განყოფილება ხელში ჩაიგდეს დამზიანებელი ორგანიზაციის წევრებმა.

სავსებით გასაგებია აგრეთვე, რომ ასეთი ფართო დამაზიანებელი მუშაობის განხორციელება, ორგანიზაციას შეეძლო მხოლოდ ფულადი სახსრების მუდმივი და რეგულარული მიღებით საკმაოდ ძლიერი წყაროებიდან.

სასამართლო გამოძიებამ ამომწურავი სისრულით გამოარკვია არა მარტო არხები და გზები ამ თანხების მოძრაობისა, არამედ ამ სახსრების ძირითადი წყაროებიც. ასეთ წყაროებს, ერთის მხრივ, წარმოადგენდნენ ემიგრანტების მიერ შექმნილი სხვადასხვა კაპიტალისტური გაერთიანებანი, რომლებიც სახსრებს აწვდიდნენ დამზიანებელ ორგანიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ — ზოგიერთი კაპიტალისტური წრეები და ზოგიერთი უცხოელ სახელმწიფოთა ზოგიერთი დაწესებულებანი.

დამზიანებელ ორგანიზაციას ფული მოსდიოდა 1924 — 1927 წლების განმავლობაში. ამ ფულის რაოდენობამ მიაღწია რამდენიმე ასეულ ათას მანეთს ჩერვონული გამოანგარიშებით. შემდეგ როგორც სასამართლო გამოძიებამ გამოარკვია, ეს ფული მოსდიოდათ ან პირადად ორგანიზაციის წევრებს, — როგორც, მაგალითად, მატოვს და ბუსევიჩს, — უცხოეთიდან დაბრუნებისას, ან ამ ფულის გადმოგზავნას ხელს უწყობდნენ ზოგიერთი უცხოელი სახელმწიფო დაწესებულებანი.

დამზიანებელი ორგანიზაციის ერთ-ერთ ფინანსიურ წყაროს წარმოადგენდა პროცენტული ანარიცხები იმ დაკვეთებიდან, რომლებიც ეძლეოდა გერმანულ ფირმებს ორგანიზაციის წევრების მეშვეობით.

ხარკოვის ჯგუფის მსგავსად 1926 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა და მუშაობა დაიწყო მოსკოვის ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სახალხო კომისარიატებსა და ტრესტებში შექმნილი მთელი რიგი დამზიანებელი უჯრედებისათვის".

თვითეული ბრალდებულის დანაშაულის კვალიფიკაციას მოჰყვება განაჩენის რეზოლუტიური ნაწილი. (ადს).

შუამდგომლობა პატიების შესახებ

მოსკოვი, 7 ივლისი. ინჟინერ გორლეცკის, იუსევიჩის, ბოიარინოვის, ბუდნის და კრჟიჟანოვსკის დამცველებმა საბჭოთა კავშირის ცაკში შუამდგომლობა აღძრეს მსჯავრდადებულთათვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეცვლის შესახებ. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა გუშინ ზოგიერთი მსჯავრდადებულის ცოლმა. (ადს)

დამზიანებელთა მუშაობით გამოწვეული ზარალის გამორკვევა

დონის როსტოვი, 7 ივლისი. შახტის რაიონში არკვევენ დამზიანებელი მუშაობით გამოწვეულ ზარალს ქვანახშირის 11 ფენის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ამ ფენებს უკანასკნელ დრომდე მალავდნენ „პროლეტარსკაია დიქტატურის" მაღაროში. შახტის პროცესზე ბრალდებული კალგანოვი და ბაბენკო ამტკიცებდნენ, რომ უაზრობაა ფულის დახარჯვა ამ მაღაროს კაპიტალურ მშენებლობაზეო. ამ 11 ფენის წყალობით შესაძლებელი იქნება მაღაროში მუშაობის გაგრძელება და ქვანახშირის ღირებულების შემცირება. (ადს)

შორდებიან ოპოზიციას

მოსკოვი, 7 ივლისი. ყოფილმა კომკავშირელებმა რუმიანცევმა, ტარასოვმა და კატალინოვმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიმართეს განცხადებით, რომლის დასკვნით ნაწილში ნათქვამია:

„იმ დროს, როცა კომკავშირში და პარტიაში გამწვავებული ბრძოლა იყო, ჩვენ ვაწარმოებდით ფრაქციულ მუშაობას, გადავლახეთ პარტიული საზღვრები და დავუშვით მრავალი შეცდომა, დავარღვიეთ პარტიისა და კომკავშირის წესდება და დისციპლინა. ბრძოლის ასეთ გამწვავებას ობიექტიურად შეეძლო მოვეყვანეთ ორი პარტიის შექმნამდე. მაგრამ ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ მეორე პარტიის შექმნის გზას. ასევე გადაჭრით უარვყოფთ კომკავშირის დაპირისპირებას პარტიისათვის. მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობით შეიძლება განვითარდეს ლენინური კომკავშირი. ჩვენი გზა მხოლოდ ლენინის პარტიასთან არის, მის რიგებში. მთელ ჩვენ ძალებს ჩვენ ვაძლევთ პარტიასა და კომკავშირს ლენინიზმისათვის საბრძოლველად, ჩვენ უსათუოდ ვემორჩილებით მე-15 ყრილობას და პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებებს. ვემორჩილებით რა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებას, ვხსნით ხელმოწერას 13-სა და 83-ის დოკუმენტებზე".

რუმიანცევის, ტარასოვის და კატალინოვის განცხადებას შეუერთდნენ ყოფილი კომკავშირელები ალექსეევი, ილინი, კანკიცი და ლოლიანოვი, აგრეთვე ს.კ.პ. (ბ) ყოფილი წევრები ვორობეიჩიკოვი, ვავილოვი, ვასილიევი, ვინოგრადოვი, ბრედე, ითხელი, ხევეროვი, ტარასოვი, უგონსკი და ხანკი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ყოფილმა წევრმა ალექსანდროვმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიმართა განცხადებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობიდან მე-15 ყრილობამდე, მე ვეკუთვნოდი ლენინგრადის ყოფილი ოპოზიციის შეხედულებებს და მონაწილეობას ვღებულობდი მის ფრაქციულ მუშაობაში. მე-15 ყრილობის შემდეგ პარტიის გადაწყვეტილებები სავალდებულოდ მიმაჩნდა ჩემთვის და გადაჭრით ვგმობდი ტროცკის ჯგუფის ცნობილ „ორ დოკუმენტს". პარტიის გარეთ დარჩენის შემდეგ, ვასრულებდი საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა დირექტივებს, ვინაიდან ის ჩემს პარტიად მიმაჩნდა. მხოლოდ გადამეტებულად მკაცრად მიმაჩნდა მე-15 ყრილობის მიერ ყოფ. ოპოზიციონერებისათვის წარდგენილი მოთხოვნილებები. მაგრამ ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ მე, როგორც ბოლშევიკი, უნდა დავემორჩილო პარტიის ყრილობის ყველა პირობას, კერძოდ ხელი უნდა ავიღო პარტიის ხაზის დაპირდაპირებაზე ფრაქციულ პლატფორმისათვის (83-ის განცხადება, 13-ის პლატფორმა) და უნდა მოვხსნა ჩემი ხელმოწერა ამ დოკუმენტებზე".

„გთხოვთ დამაბრუნოთ, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — პარტიის რიგებში და მომცეთ საშუალება, როგორც მუშას, როგორც პროლეტარული რევოლუციის ჯარის კაცს, მივიღო მონაწილეობა ლენინური პარტიის დიად მუშაობაში და მის ბრძოლაში შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მოუწოდებ ყველა ამხანაგებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ საჭირო ნაბიჯები პარტიაში დასაბრუნებლად, გადადგან დაუყოვნებლივ".

ასეთივე ხასიათის განცხადება შეიტანეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ლენინგრადის მუშებმა, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა აგრეთვე თარხანოვის ისეთივე განცხადება, როგორიც საფაროვის, ვარდინისა და სხ. განცხადება იყო. (ადს).

კოოპერაციის საერთაშორისო დღე თბილისში

კოოპერატივებში

7 ივლისს დილიდან ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები და მაღაზიები სადღესასწაულოდ იყო მორთული. კოოპერატიული მოღვაწეების სურათები და კოოპერაციის მუშაობის დამახასიათებელი დიაგრამები ამკობდენ კოოპერატიული მაღაზიების ვიტრინებს.

ყველგან, ყველა კოოპერატივებში დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. ნოქრები ვერ აუდიოდნენ მყიდველებს. ბევრგან მიმდინარეობდა ახალ წევრთა მიღება.

მუშკოოპის № 1 მაღაზიაში, ჩვენი თანამშრომლის მიერ მიღებული ცნობით მაღაზიამ ივაჭრა 4 ჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ.

ქუჩებში

დილიდანვე ქუჩებში დადიოდენ სხვადასხვა კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ გამოშვებული სადღესასწაულოდ მორთული ავტომობილები.

„დედებო, ჩაეწერეთ კოოპერატივში" „ჩვენ ვართ მომავალი კოოპერატორები" და სხვა მსგავსი ლოზუნგები და პლაკატები ამკობდენ ბავშვებით დატვირთულ ავტომობილებს.

განსაკუთრებით იპყრობდა ყურადღებას საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების მიერ გამოშვებული ავტომობილი-ვაგონები, რომლებიც მატარებლის შთაბეჭდილებას ქმნიდენ.

მუშკოოპის ლატარია

საღამოს 8 საათზე ყველა დანიშნულ ადგილებზე დაიწყო მუშკოოპის მიერ მოწყობილ ლატარიის გათამაშება.

სულ გათამაშებულ იქნა 4.000 მან. ღირებული სხვადასხვა საქონელი. ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 20.000-ზე მეტმა მომხმარებელმა.

ბევრ მაღაზიაში ლატარიის ბილეთები უკვე გასაღებული იყო საღ. 6 საათამდე.

კოოპერატიული რადიო-მიტინგი

გუშინ შედგა დიდი რადიო-მიტინგი კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრენ თბილისის მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, წარმოებიდან გამოგზავნილი მუშები და გლეხთა სახლში დაბინავებული გლეხები.

მიტინგი გახსნა „ზაკსოიუზის" წარმომადგენელმა ამხ. ქ. ბაქრაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობა და საბჭოთა კოოპერაციის როლი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ცეკავშირის „ზაკვოენპოს", საგზაო-სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების, მუშკოოპის, „ტყეების კავშირის" და სხვა კოოპერატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

სიტყვების შემდეგ მიტინგს მიესალმენ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები.

მიტინგი გადაცემულ იქნა რადიოთი. მიტინგს მთელს ამიერ-კავკასიაში ისმენდა 300.000-ზე მეტი კაცი.

გეოლოგიური ექსპედიციების მუშაობა

ფლორიდინი და ბიტუმი

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ცნობებით, ამჟამად გეოლოგიური ექსპედიციები გაგზავნილია ქუთაისის მაზრაში ფლორიდინის და შავი ზღვის სანაპიროებზე ბიტუმის მადნების გამოსაკვლევად. ფლორიდინის მადნების გამოკვლევას ქუთაისში ხელმძღვანელობს ინჟ. კამპანიონი.

აღნიშნულ ექსპედიციას სამთო სამმართველოსაგან დავალებული ჰქონდა, გარდა ფლორიდინის მარაგის გამორკვევისა შეესწავლა აგრეთვე ფლორიდინის მადნის დამუშავების პირობები და გამოერკვია მადნის ამოსაღები კარიერების ადგილი.

მეორე გეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც მივლინებულია ბიტუმის მადნების შესასწავლად, დავალებული აქვს გამოარკვიოს ბიტუმის მადნების მდებარეობის ადგილები ნატანების რაიონში, და შეადგინოს გეგმა აღნიშნულ მადანის საექსპლოატაციო სამუშაოების დასაწყებად.

ახალი მადანის აღმოჩენა

ქუთაისის მაზრაში, წყალტუბოს რაიონში ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოსგან მივლინებულმა ექსპედიციამ გეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების დროს აღმოაჩინა ახალი მადანი — გლაუკონიტი. გლაუკონიტი წარმოადგენს ლურჯ თიხას, რომელსაც მრეწველობაში იყენებენ ძვირფასი საღებავების დასამზადებლად და ნიადაგის გასანოყიერებელ მასალად.

გლაუკონიტების არსებობა საქართველოში ცნობილი იყო დღემდეც, მაგრამ მათი მარაგისა და რაოდენობის შესახებ არავითარი ცნობები არ იყო დამუშავებული. გეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ინჟ. კამპანიონმა მოახდინა აღნიშნული მადნის წინასწარი გამოკვლევა; მისი ცნობებით ეს მადანი საუკეთესო ღირსებისაა და იგი სავსებით გამოსადეგია სამრეწველო მიზნებისათვის.

გლაუკონიტების მადნის ნიმუში გადაგზავნილია ს. მ. უ. ს. ცენტრალურ ქიმიურ-ტექნიკურ ლაბორატორიაში შესაფერი ანალიზების ჩასატარებლად, ანალიზების შედეგის გამორკვევის შემდეგ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გამოარკვიოს აღნიშნული მადნის მდებარეობა და შეუდგეს მის ექსპლოატაციას.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

9 მილიონ ამომრჩევლის მოტყუება.—პილსუდსკი ახალ გადატრიალებას ამზადებს.—უშიშროების კომიტეტის სესია.—ერთა ლიგის „კაცთმოყვარეობა".—მაკდონალდი ინგლისის იმპერიალიზმის სადარაჯოზე

მიულერის დეკლარაცია და მის გარშემო რეიხსტაგში გამართულ კამათმა ცხადყო, რომ სოციალ-დემოკრატები სავსებით იმყოფებიან ბურჟუაზიულ პარტიების ტყვეობაში. პრესა საერთოდ აღნიშნავს დეკლარაციის კომპრომისულ ხასიათს; ხოლო „ბერლინერ ტაგებლატ"-ის თქმით, მასში კომპრომისული ხაზი „ადგილ-ადგილ გადამეტებული სიფრთხილით არის გატარებული". ასეთი შეფასება, რომელიც არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ, თუმცა იგი თავისთავად ნაკლებად ლაპარაკობს მენშევიკების სასარგებლოდ. კომისიაში, თუნდაც „გადამეტებული სიფრთხილით გატარებული კომპრომისი", გულისხმობს სერიოზულ ურთიერთ დათმობას მხარეთა შორის. აქ კი არსებითად საქმე გვაქვს სოციალ - დემოკრატების სრულ კაპიტულიაციასთან. თავის ბურჟუაზიულ პარტნიორების წინაშე.

დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეხება, გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ გაგრძელებული იქნება შტრეზემანის კურსი. სრულიად არაფერია ახალი იმაში, რომ მიულერი მოითხოვს რეინის განთავისუფლებას, რეპარაციების საკითხის გადასინჯვას და აღიარებს დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის საჭიროებას. ეს შტრეზემანის მიერ არა ერთხელ გაკეთებულ განცხადების უფერული განმეორებაა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ, ახალი კანცლერის დეკლარაციის თანახმად, გერმანია ოფიციალურად ხელს იღებს რევანშის იდეაზე, რაც, ცხადია, ნაკარნახევია არა მიულერის მშვიდობის მოყვარეობით, არამედ პუანკარეს ნდობის დამსახურების და ამ გზით მისგან მოწყალების მიღების სურვილით.

ხაზგასასმელია, რომ მიულერი ერთი სიტყვით არ შეხებია საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას. რით აიხსნება ასეთი „გულმავიწყობა"? ცხადია, მიულერს არ შეეძლო მტრული პოზიციის აშკარად დაკავება საბჭოთა კავშირის მიმართ, — ეს ხომ მუშათა მასებში აღშფოთებას გამოიწვევდა. ამავე დროს საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტები მოითხოვენ გერმანიისაგან გარკვეულ ანტისაბჭოთა გეზის აღებას. სოციალ-დემოკრატიის ზედა ფენები, კომუნიზმისადმი სიძულვილით დაბრმავებულნი, არსებითად მათ უჭერენ მხარს. გავიხსენოთ თუ გინდ „ფორვერტს"-ის საგარეო განყოფილების რედაქტორის შიფის განცხადება პუანკარესთან გამართულ ინტერვიუს შემდეგ: გერმანიამ ეჭვები უნდა გაფანტოს, რომ ის თითქოს საბჭოთა კავშირის ორიენტაციას ადგას, რათა შესაძლებელი გახდეს საფრანგეთთან შეთანხმება. მიულერმა კი დუმილი არჩია საბჭოთა კავშირის შესახებ, რომ არავისთვის „ეწყენინებია", და ამითაც დაამტკიცა თავისი მთავრობის პოლიტიკის გაურკვევლობა.

ამ მხრივ უფრო საყურადღებოა მიულერის კაბინეტის დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც საშინაო საკითხებს ეხება. სრული ბუნდოვანება და მთავარი საჭირბოროტო საკითხებისათვის გვერდის ავლა, — აი, რა ახასიათებს მას. მიულერი ზოგადად ლაპარაკობს კონსტიტუციის შეცვლის საჭიროებაზე, რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ უნდა შეიქმნას გერმანიის ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლება. დღეს ესაა მოთხოვნილება ტრესტებში გაერთიანებულ გერმანიის კაპიტალის, რომელსაც სწადია თავის ეკონომიური კონცენტრაცია პოლიტიკურ სფეროშიც ჩამოაყალიბოს, რომ მთლიანი და მძლავრი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით აღკვეთოს რევოლიუციონური მოძრაობა. მიულერს საჭიროდ მიაჩნია საარჩევნო სისტემის „დემოკრატიული" რეფორმის მოხდენა, ესე იგი არსებითად ისეთი საარჩევნო წესების შემოღება, რომლებიც გამოყენებულ იქნა საფრანგეთის უკანასკნელ არჩევნებში. ასეთი რეფორმა ცხადია, ისევ რევოლიუციონურ ელემენტების წინააღმდეგაა მიმართული. ახალი მთავრობა, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე, კაპიტალის დაბეგვრაზე და სხვა ასეთ რამეებზე, რის შესახებ მენშევიკები უხვ დაპირებებს იძლეოდენ არჩევნების დროს მასების მოსატყუებლად.

ამნაირად, ახალი კაბინეტი სოციალ-დემოკრატების მეთაურობით მსხვილ კაპიტალის მისწრაფებათა გამტარებლად გვევლინება, როგორადაც არ უნდა იყოს ეს დაფარული „კომპრომისული" შენიშვნებით. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზია მხოლოდ პირობით უცხადებს მას ნდობას. პარტიები ფორმალურ პასუხისმგებლობას არ კისრულობენ მთავრობაში წარგზავნილ დელეგატების მოქმედებისათვის. ბურჟუაზიული პარტიები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამ მთავრობას უცერემონიოდ ჩამოაგდებენ, — თუ მენშევიკები გაბედავენ კაპიტალის ინტერესების ოდნავ შელახვას.

მშრომელ მასებისათვის აქედან გარკვეული დასკვნები გამომდინარეობენ. მოტყუებული დარჩა 9 მილიონი ამომრჩეველი, რომლებმაც სოციალ-დემოკრატიას მისცეს ხმა. თავის მდგომარეობის გაუმჯობესება მშრომელთ შეუძლიათ არა საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით, არამედ რევოლიუციონური ბრძოლით. სოციალ-დემოკრატების შემდგომი მუშაობა მთავრობაში ამას უფრო ნათელს გახდის.

⁂

პრესაში უკვე გამოქვეყნებული იყო პილსუდსკის ინტერვიუ თავის გადადგომის მიზეზების შესახებ. ეს ინტერვიუ უაღრესად საყურადღებოა არა მარტო პოლონეთის, არამედ მთელი ბურჟუაზიულ მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობის დასახასიათებლად. პოლონეთის დიქტატორმა სეიმს მეძავ ქალების ორგანიზაცია უწოდა. საუკეთესო შეფასებაა საერთოდ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის! მართლაც, ვითომდა ხალხის ნებისყოფის გამომხატველ უზენაეს წარმომადგენლობით ორგანოებში მოკალათებული ბურჟუაზიული დეპუტატები ისევე ვაჭრობენ თავისი უფლებებით, — რა თქმა უნდა, მასების საზიანოდ, — როგორც მეძავი ქალები თავისი სხეულით.

ასეთი მდგომარეობიდან სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს, ჯგუფებს თუ ცალკე პირთ, თავისი ინტერესების მიხედვით, სხვადასხვა დასკვნები გამოყავთ. მშრომელი მასები იბრძვიან მათი ნებისყოფის პროფანაციის ამ სისტემის მოსასპობად და თავისი ნამდვილი წარმომადგენლობის შესაქმნელად, ესე იგი პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. „სოციალისტები" და ბურჟუაზიულ - დემოკრატიული პარტიები ცდილობენ პარლამენტარიზმის შენარჩუნებას, რომ მისი საშუალებით მასები კვლავ ატყუონ და სძარცვონ, თვითონ „თბილად მოეწყონ" და განაგრძონ „მეძაობა". უკანასკნელებთან შედარებით პილსუდსკები უფრო მაგარ პოლიტიკას ადგანან და ანხორციელებენ. კაპიტალის ბატონობის დაცვისათვის მათ საკმარისად არ მიაჩნიათ პარლამენტარული რეჟიმი და აუცილებლად სცნობენ ფაშისტური დიქტატურის განხორციელებას.

ამავე დროს პილსუდსკის არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, თუ სეიმი ამ დიქტატურის ერთ-ერთი იარაღი იქნებოდა. მაშინ ფორმალურად ის დემოკრატიულ სათნოებასაც დაიცავდა და თავის მიზნებსაც გაატარებდა. ამიტომაც იყო, რომ სეიმის არჩევნებში გასამარჯვებლად მთელი თავისი პოლიტიკური და ფაშისტური აპარატი აამოქმედა. თითქო სასურველ შედეგებსაც მიაღწია. ახალ სეიმში მან შეაგროვა თავის მომხრეების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაგრამ იმედი მაინც გაუცრუვდა. მისი დასაყრდენი ბაზა სეიმში არ გამოდგა მტკიცე; პილსუდსკის მომხრე დეპუტატების შემადგენლობა სოციალურად მეტად ჭრელია და მასში თავი იჩინა ღლევის პროცესმა.

ამის შემდეგ პილსუდსკიმ დასტოვა პრემიერის თანამდებობა. მაგრამ ის კვლავ ინარჩუნებს სამხედრო მინისტრის პოსტს და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას. როგორია მისი ზრახვები, რამდენადაც საქმე ეხება ქვეყნის შინაურ პოლიტიკას? მარშალი მოითხოვს კონსტიტუციის გადასინჯვას და პრეზიდენტის უფლებების გაფართოვებას, რაც ნიშნავს სეიმის სრულ სალაყბო, — პრეზიდენტის ნებისყოფის დამადასტურებელ ორგანიზაციად გადაქცევას. თუ სეიმი დასთანხმდება ასეთ თვითლიკვიდაციაზე მაშინ პილსუდსკი ფიქრობს მოევლინოს ქვეყანას პრეზიდენტის სახით. ამის მოლოდინში ის ეხლა ისვენებს და ემზადება ახალი გადატრიალების მოსახდენად. „მეძავმა ქალებმა" პილსუდსკის განცხადების გამო მორთეს ბუზღუნი. მაგრამ აშკარაა, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს ქედს მოიდრეკენ. მხოლოდ პოლონეთის მშრომელი მასები შესძლებენ პილსუდსკის დიქტატურის მოსპობას, რაც ამავე დროს იქნება ბურჟუაზიის, მის მოკავშირე სოციალისტების და გაბახებულ სეიმის განადგურებაც.

⁂

ჟენევაში დამთავრდა, ეგრედწოდებული უშიშროების კომიტეტის მესამე სესია. სესიის დასრულებისას გერმანიის დელეგატმა სიმონსმა განაცხადა, რომ „კომიტეტის მუშაობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა საჭიროება განიარაღებისა, რომელიც უშიშროების განხორციელების ძირითადი პირობაა". იმპერიალიზმის გზაზე შემდგარ, მაგრამ ვერსალის ხელშეკრულების ძალით განიარაღებულ გერმანიის მესვეურებს თავისი მოსაზრება აქვთ, როცა ისინი სიტყვიერად განიარაღებას უჭერენ მხარს. ისინი ეხმრობიან განიარაღების ლოზუნგს, რადგან მათ მშვენივრად იციან, რომ დანარჩენი იმპერიალისტური ქვეყნები მის გატარებაზე არასდროს არ დასთანხმდებიან. აქედან — სიმონსების პოზიცია აიხსნება არა სამშვიდობო განზრახვებით, რა თქმა უნდა, არამედ გერმანიისათვის შეიარაღების უფლების მოპოების მისწრაფებით.

მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყოს, სიმონსის განცხადება თავისთავად გვიჩვენებს იმ ერთად-ერთ გზას, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილ მშვიდობიანობას, გზას, რომლისკენ საბჭოთა კავშირი მიუთითებს, — ესაა საყოველთაო განიარაღება, რომლის პროექტი საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში.

მაგრამ, განა განმარტება უნდა, რომ იმპერიალისტებს ამის მოგონებაც არ სურთ, ან უკეთ, ისინი მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეთა განიარაღებაზე ოცნებობენ. სამაგიეროდ ისინი დაუსრულებლივ ლაყბობენ ისეთ გარანტიების შექმნაზე, რომლებმაც ვითომდა შესაძლებელი უნდა გახადონ განიარაღების განხორციელება. ლაპარაკია უშიშროების უზრუნველყოფაზე. ჯერ უშიშროების უზრუნველყოფა, შემდეგ განიარაღება, — ასეთია, მაგ., საფრანგეთის თვალსაზრისი. მაგრამ როგორ შეიძლება უშიშროების მიღწევა, როცა სახელმწიფოები თავიდან ფეხამდე იარაღში სხედან. აქ, ცხადია, საქმეს ვერ უშველის ვერც სხვადასხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი საგარანტიო ხელშეკრულებები, რომლებიც უშიშროების კომიტეტმა გამოიმუშავა, ვერც კელოგის პროექტი ომის აკრძალვის შესახებ. კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობა იმდენად გარდუვალი და ღრმაა, რომ ისინი თავისთავს ხელსაყრელ მომენტში ქაღალდის ნაგლეჯად აქცევენ ყოველგვარ სამშვიდობო ხელშეკრულებებს და ერთმანეთს წვდებიან ყელში, რა კი ამისათვის ფიზიკური საშუალებები მოეპოვებათ.

ამ წინააღმდეგობამ თავი იჩინა უშიშროების კომიტეტის ახლანდელ სესიაზეც. ერთმანეთს დაეჯახნენ ერთი მხრივ საფრანგეთი და მისი ხელქვეითი ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია) და მეორე მხრივ ინგლისი და გერმანია. კერძოდ უარყოფილ იქნა საფრანგეთის ცდა, რომ ერთა ლიგას ფართე უფლებები მინიჭებოდა, რომ მიემართა, ე. წ. სანქციებისათვის, ე. ი. დამსჯელ ზომებისათვის მშვიდობიანობის „დამრღვევლის" წინააღმდეგ. აგრეთვე უკუგდებულ იქნა მისი მოთხოვნა ომის ამტეხ ქვეყნის წინააღმდეგ საგარანტიო ხელშეკრულებათა მონაწილეების მიერ ურთიერთი დახმარების განხორციელების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისი არავითარ ვალდებულებებს არ კისრულობს საფრანგეთის უშიშროების დაცვის საკითხში და ამავე დროს მცირდება ერთა ლიგის, როგორც საფრანგეთის იმპერიალიზმის იარაღის როლი. ამგვარად ინგლისმა (და ამ შემთხვევაში გერმანიამაც) გაიმარჯვა საფრანგეთზე.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ინგლისის მეცადინეობით უკუგდებულ იქნა გერმანიის წინადადება ომის დაწყების შემთხვევაში, არსებულ მდგომარეობის აღდგენის და ჯარების მობილიზაციის შეჩერების შესახებ. ეს აშკარად ამხელს ლონდონის „მშვიდობის - მოყვარეობის" ხასიათს.

უშიშროების კომიტეტის ეხლანდელი სესია, ისე როგორც ყველა მსგავსი კონფერენციები, ნათლად მოწმობს, რომ უშიშროებაზე და განიარაღებაზე ლაყბობა იმპერიალისტებისათვის მხოლოდ ფანდია მასებში პაციფისტურ ილიუზიების შესაქმნელად და თავისი საომარ მზადების დასაფარავად. უშიშროების კომიტეტი განიარაღების მარტივ საკითხს აბნელებს და ართულებს უშიშროების უზრუნველყოფის ლოზუნგის წინ წამოყენებით და ამასთან დაკავშირებულ სქოლასტიური ვარჯიშობით. ამიტომაც საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე უარყოფითად ეკიდება ამ ორგანიზაციას და არ ღებულობს მასში მონაწილეობას..

⁂

ერთა ლიგასთან არსებობს შრომის ბიურო, რომლის სათავეში დგანან 6 რეფორმისტი, ვითომდა მუშების წარმომადგენელნი, და 18 კაცი —მეწარმეებელთა და კაპიტალისტურ მთავრობათა დელეგატები. ეს ინსტიტუტი შეიქმნა მსოფლიო ომის დამთავრებისას. ფორმალურად მისი დანიშნულება იყო მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვ. ნამდვილად კი კაპიტალისტებს განზრახვა ჰქონდათ ამ დაწესებულების საშუალებით შეექმნათ მასებში ილიუზია, თითქო თვითონ ისინი ზრუნავენ მუშების ინტერესებზე და ამისათვის სოციალისტებთან თანამშრომლობენ. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო იმ დროს, როცა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის ტალღა წალეკვით ემუქრებოდა ძველ სამყაროს. შრომის ბიურო მოწოდებული იყო ეს ტალღა დაეცხრო.

ამ ამოცანას ერთა ლიგის შრომის ბიურო მართლა პირნათლად ასრულებს. არავის გაუგონია, რომ მას სერიოზულად ხმა ამოეღოს მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მისი იშვიათი უწყინარი გამოსვლები ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილების (რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ) განხორციელების საჭიროებაზე ხომ სათვალავში არ არის მისაღები.

⁂

და აი, ეს მკვდრად შობილი ორგანიზაცია, რომელიც სდუმს, როცა საქმე ეხება მუშების დახვრეტას და მათი შრომის აუტანელ პირობებს, უცბად გამოცოცხლდა და მოგვევლინა თეთრგვარდიელთა დამცველის როლში. ამას წინედ მან მიიღო კონვენცია, რომელიც ცდილობს საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ თუ გაძევებულ კონტრ - რევოლიუციონერებისათვის შექმნას ერთგვარი უფლებრივი მდგომარეობა საზღვარგარეთ; გადაწყვეტილია დაარსებულ იქნეს ინსტიტუტი ლიგის საბჭოს ლტოლვილთა საქმეების კომისარის წარმომადგენლებისა სხვადასხვა ქვეყნებში — თეთრგვარდიელთა უფლებების და ინტერესების დასაცავად. ამგვარად, ერთა ლიგა აშკარა მფარველობას უწევს თეთრ-ემიგრაციას და ხელს უწყობს მის შეკავშირებას. რომ ერთა ლიგა ანტისაბჭოთა პოლიტიკის იარაღია იმპერიალისტების ხელში, — ეს იმ თავითვე ცნობილია; მრავალ ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ეხლა ერთიც მიემატა. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთა ლიგის შრომის ბიუროს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების ლოცვა - კურთხევით განაგებს ალბერ ტომა, რომელმაც, აქვე აღვნიშნავთ, ამას წინად ხოტბა შეასხა მუსოლინის და მის ფაშისტურ რეჟიმს. მაშასადამე, ხსენებული კონვენციის მიღება ლიგასთან ერთად სოციალ-გამცემლების მხრივ ანტისაბჭოთა აქტს წარმოადგენს.

მაგრამ ერთა ლიგის და რეფორმისტების ზრუნვა თეთრგვარდიელებზე ამაოა: ისტორიისაგან განწირულ ხალხს ისინი, ცხადია, ვერ გადაარჩენენ სრული გახრწნისა და დაღუპვისაგან.

⁂

ლონდონში ამჟამად მიმდინარეობს, ე. წ. „მუშათა საიმპერიო კონფერენცია", რომელშიაც, ინგლისის მუშათა პარტიის და გენსაბჭოს წარმოადგენლებთან ერთად, მონაწილეობენ ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილების მუშათა ორგანიზაციების დელეგატები. კონფერენცია მოწვეულია ინგლისის მუშათა პარტიის ინიციატივით. მისთვის სჯობდა კი იგი სრულებით არ მოეწვია.

მაკდონალდმა გაილაშქრა კოლონიების განთავისუფლების წინააღმდეგ; მან სიტყვა - სიტყვით განაცხადა შემდეგი: „ეს ერები (კოლონიალური ერები. გ. კ—ლი) მერყევ წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფებიან და ჩვენი წასვლა კოლონიებიდან ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათ ბედს ვანდობთ ყოველ ტალღას, რომელიც მიეხეთქება მათ ნაპირს". თვალთმაქცი მაკდონალდი, წარმოიდგინეთ, ზრუნავს კოლონიებზე, ის შიშობს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის მფარველობის გარეშე ისინი დაიღუპებიან. ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა. მაკდონალდი აქ მოსჩანს მთელი თავისი არსებით, როგორც ჩემბერლენის აგენტი, როგორც კოლონიების დამონების იდეოლოგი.,

ინგლისის მუშათა პარტიამ თავის დროზე ყოველი ღონე იხმარა კოლონიების მუშათა ორგანიზაციებში თავის გავლენის განსამტკიცებლად. ამ მიზნით, მაგ., პერსელმა სპეციალურად იმოგზაურა ინდოეთში. მაკდონალდებს ალბად ეგონათ, რომ ამ მხრივ სასურველ შედეგს მიაღწიეს, სხვათა შორის, ნიადაგი მოამზადეს „მუშათა საიმპერიო კონფერენციისათვის" და მაზე თავის იმპერიალისტურ თვალსაზრისის გასატარებლად. მაგრამ სასტიკად მოსტყუვდნენ. კოლონიების დელეგატებმა გარკვევით მოითხოვეს თავისუფლება თავის ხალხებისათვის და სასტიკად ამხილეს ინგლისის მუშათა პარტიის იმპერიალისტური პოლიტიკა. ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა: „მუშათა პარტია, რომელიც სისტემატიურად არღვევს თავის პრინციპებს და ვალდებულებებს ინდოეთის მიმართ, სრულებით არ განსხვავდება ლიბერალებისა და კონსერვატორებისაგან. სინამდვილეში მუშათა პარტია უფრო მავნებელია, ვინემ ლიბერალები და კონსერვატორები, ვინაიდან ინდოეთის ხალხმა, ყოველ შემთხვევაში, იცის, თუ რას უნდა მოელოდეს ის ლიბერალებისა და კონსერვატორებისაგან".

ამგვარად, მაკდონალდების იმპერიალისტური ბუნება სავსებით გამოაშკარავებულია. ჩემბერლენი ცდილობს კოლონიალურ მოძრაობის „მოშინაურებას" ინგლისის მუშათა პარტიის საშუალებითაც. მაგრამ კოლონიალური ხალხები სულ უფრო იგებენ, რომ მაკდონალდი ისეთივე მტერია დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების, როგორც ჩემბერლენი. ეს შეგნება დააჩქარებს ბრიტანეთის იმპერიის დაშლის უკვე მიმდინარე პროცესს.

გ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

კოლეგიალური თუ ერთპიროვანი მართველობა

(თბილისის კომუნალური ბანკი)

ჩვენ გვინდა აქ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ თბილისის ერთ-ერთ დაწესებულების მუშაობაზე. ეს არის თბილისის კომუნალური ბანკი. ოთხი წელიწადია რაც მან დაიწყო მუშაობა. ეს ბანკი უმთავრესად ემსახურება კომუნალურ აღმშენებლობას, სახელმწიფო, კოოპერატიულ ვაჭრობას და სხვა. კომუნალური ბანკი დღეს შედარებით კარგ მდგომარეობაშია: პატარა თანხით დაწყებული ოპერაციები გაიზარდა. ბანკის დაარსების პირველ წელს (1922-23 წ.) ბალანსი უდრიდა 125.000 მანეთს. 1927 წელში ეს თანხა გაიზარდა 20.000.000 მანეთამდე. ეს მიღწევები არ შეიძლება ავხსნათ, როგორც მარტო სწორი ხელმძღვანელობის შედეგი. პირიქით, ხელმძღვანელობის მხრივ კომუნალურ ბანკში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

პირველყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კომუნალური ბანკი გაიზარდა თბილისის აღმასკომის და მისი მძლავრი მეურნეობის ნიადაგზე.

ამ ბანკს აპარატის იმნაირი სტრუქტურა აქვს, რომელიც სრულიად არ შეეფერება საბჭოთა ბანკს. არის, მაგალითად, აქ დირექტორ-განმკარგულებელის თანამდებობა. კომუნალურ ბანკში ეს თანამდებობა უნდა ჩაითვალოს ძველი წესების ნაშთად.

ამავე ბანკში თავს იყრიან დიდი ხელფასის მაძებარი „სპეცები“. თუ ჩვეულებრივ სპეცს აკმაყოფილებს 200-300 მანეთი თვეში, „ზესპეცი“ უნდა იღებდეს 500 მანეთიდან 1.000 მანეთამდე. ეს არის ზოგიერთი სპეცის უახლოესი მიზანი.

არიან ამხანაგები, რომელთაც თბილისის კომუნალურ ბანკის მუშაობა ვერ წარმოუდგენიათ იქ არსებული სისტემის გარეშე. ამ სისტემის შეცვლა ერთნაირ შიშსაც კი იწვევს, ამბობენ: ბანკს არაფერი დაუშავდეს მუშაობაში.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში არ მოიპოება იმნაირივე წესით მომუშავე ბანკი, როგორც, თბილისის ქალაქის ბანკი. დირექტორ-განმკარგულებელი საბჭოთა ბანკში გაუგონარი რამაა. ყველა ბანკებს ყავს არჩეული ან დანიშნული გამგეობა, რომელიც კოლეგიალურად მართავს საქმეებს. კომუნალურ ბანკსაც ყავს გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარეც, მაგრამ სამწუხაროდ—მხოლოდ ნომინალურად. ბანკს ფაქტიურად განაგებს დირექტორი.

ორში ერთი: ან უნდა იყოს ერთპიროვანი ან კოლეგიალური მართველობა. ხსენებულ ბანკში ერთიც არის და მეორეც. მართალია, ბანკში აუცილებლად საჭიროა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მომუშავენი, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ გვაძლევს საფუძველს უეჭველად მივიღოთ შემდეგი დებულება: ბანკში ყოველივე მომუშავე უნდა იღებდეს „ზეგანაკვეთს“. რატომღაც ასე ფიქრობენ, თითქო სახელწოდება „ბანკი“ უფლებას გვაძლევს ვაძლიოთ გასამრჯელოდ ყველა აქ მომუშავე თანამშრომელს ჩვეულებრივზე ორჯერ ან სამჯერ მეტი ჯამაგირი. ასეა კომუნალურ ბანკში, როგორც „ბანკში“ საზოგადოდ. ასეთ მდგომარეობას, სპეც განაკვეთების უთავბოლოთ დარიგებას ბოლო უნდა მოეღოს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის მართვა-გამგეობის მოწესრიგების საქმეს.

მ. ა—ლი.

უთავო ამშენებლები

(ხაშური)

იმისათვის, რომ ჩვენი ნავთი იაფათ და თავის დროზე იქნეს გადაზიდული ბაქოდან-ბათომამდე, საჭიროა ნავთის საქაჩ საშვალებათა მოწყობა.

ამ საქმისათვის არსებობს „ნავთშენი“ („აზნევთსტროი“) მნიშვნელოვანი დაწესებულება თავისი დანიშნულებით, მაგრამ როგორც ქვემოდ დავინახავთ, ზოგჯერ არა საკმაოდ წინდახედული აღმშენებლობის საქმეში.

საკითხი შეეხება ხაშურის ნავთსაქაჩ ქვესადგურის აგებას. 1927 წელს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავზე, ხაშურის მუშებმა და გლეხებმა აზნავთშენის წარმომადგენლებთან ერთად საძირკველი ჩაუყარეს სადგურს.

გვეგონა, რომ ამით დაწყებული მიეცემოდა ენერგიულ აღმშენებლობას. მაგრამ დაიწყო აღმშენებლობის „ტკივილების“ ისტორია.

საქმე შემდეგშია: 1928 წელს სააღმშენებლო სეზონში აზნავთშენის მთავარი ინჟინერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სადგურისათვის ასაშენებლად მიჩნეული ადგილი მიზანშეუწონელია ამიტომ სადგურის აშენება უნდა იქნეს დაწყებული 3 ვერსით მოშორებით ხაშურიდან.

მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იქნა გამონახული მიზანშეწონილი ადგილი სადგურის ასაგებათ, უნაყოფოდ დაიკარგა აზნავთშენის ხაშურის განყოფილების მთელი წლის შრომა.

დროებით ნაგებობათა, ფუნდამენტისა და მომუშავე აპარატის შესანახად მთელი წლის განმავლობაში უნაყოფოთ დახარჯულია 35.000-მანეთამდე. რა ჰქვია ამას, თუ არა უპასუხისმგებლობა და უყაირათობა.

აღმშენებლობას დიდი დაგვიანებით შეუდგნენ და ნელი ტემპით სწარმოებს ის.

მთელი ზამთრის განმავლობაში და ეხლაც ადმინისტრატიული პერსონალი თითქმის უმოქმედოთ არის. არ არსებობს გარკვეული ხელმძღვანელობა საქმეში.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ არის საქმის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი ადგილობრივ.

ტეხნიკური აპარატი მეტად გაბერილია და დიდი ხარჯები მიდის მის შენახვაზე. თუ კოლექტიურ ხელშეკრულებაში სწერია, რომ ცენტრიდან ადგილზე შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის პირები, აქ „დესიატნიკი“ და კურიერიც კი ზევიდან არის მოვლენილი. ამისათვის არის, რომ თავი შეუყრია ადგილობრივ კანტორაში ყოველგვარ „ყოფილ“ ხალხს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელმძღვანელები—აღმშენებლები, ალბათ იმიტომ, რომ ეშინიათ საკუთარი უთავობის გამოაშკარავების, ყოველმხრივ გაურბიან ადგილობრივ პროფესიონალურ საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერას.

სწორეთ ამიტომ არის, რომ ყოველ ნაბიჯზე გაიძახიან: „რა საქმე აქვს პროფკავშირს ან და საბჭოს“ უნდა ვასწავლოთ ჭკუა „უთავო აღმშენებლებს“.

ხაშურელი.

როგორ მუშაობდა ქიმიო-ტეხნიკოსთა ლაბორატორია

1926 წლის მიწურულში თბილისში დაარსდა ს.მ.უ.ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელადაც თავიდანვე დაინიშნა ქიმიის დოქტორი ა. დევდარიანი. ლაბორატორიის მუშაობის მესამე წელს ს.მ.უ.ს-ში მოდიოდა ცნობები, რომ იქ ყველაფერი არაა რიგზე და ადგილი აქვს მრავალ დეფექტებს. ამის გამო ს.მ.უ.ს. სარევიზიო-საინსპექციო განყოფილებამ პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო ლაბორატორიის საქმიანობის გამოკვლევა.

კომისიამ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ დაადასტურა: 1. ლაბორატორიას არ ჰქონდა 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვა და საწარმოო გეგმა. 2. ლაბორატორიაში იყო გაბერილი შტატი, რომელიც არ შეეფერებოდა ფინანსიურ შესაძლებლობებს. 3. ყოველდღიურ მუშაობაში არ იყო დაცული გეგმიანობა და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა, 4. ლაბორატორიაში ადგილი ჰქონდა უწესრიგობას სანგარიშო დარგში და სხვა.

საინტერესოა ამასთანავე აღინიშნოს, რომ ლაბორატორიასთან ა. დევდარიანის ინიციატივით და დაჟინებით დაარსდა სავაჭრო განყოფილება, რაც არ იყო გათვალისწინებული ლაბორატორიის დებულებით. ა. დევდარიანმა სავაჭრო განყოფილების გახსნა იმით დაასაბუთა, რომ იგი მიაწოდებდა საჭირო რეაქტივებს, ქიმიურ ხელსაწყოებს და პრეპარატებს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს და სკოლებს. [illegible] ბითად კი განყოფილების გახსნის თანავე მოხდა დაუშვებელი სპეკულიატიური გადახ[illegible] სავაჭრო განყოფილებამ დაიქირავა [illegible], დაიჭირა ურთიერთობა თბილისის კერძო ვაჭართა ფირმა „პიკასთან“. იღებულობდა ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატიდან სა[illegible] ძვირფას საქონელს (ვანილინი და სხვა) აძლევდა მას კერძო ვაჭრებს და სხვა.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ფოტო-ქაღალდების დამამზადებელი ფირმის „პიკას“ წარმომადგენელმა მოქ. ი. ხრამროვიცკიმ ლაბორატორიიდან თავის სახელზე დოკუმენტი, რომლითაც მას უნდა გამოეტანა „გოსზნაკიდან“ ე. წ. ბარიტის ქაღალდის დიდი პარტია თითქოს ლაბორატორიის საჭიროებისათვის, ნამდვილათ კი ეს ქაღალდი გადაიოდა „პიკას“ განკარგულებაში ფოტო-ქაღალდების დასამზადებლად.

კომისიამ გამოარკვია აგრეთვე არსებული დეფექტები ლაბორატორიის სხვა განყოფილებების მუშაობაში.

ასე მაგალითად, ლაბორატორიის ბუხჰალტერია არღვევდა ბალანსებს, რომელშიაც შეჰქონდა ყალბი ცნობები. 1926-27 წ. ბალანსში შეტანილ იქნა 9.103 მ. 5 კ., როგორც „მოგება საქონლის გასაღებიდან“.

ნამდვილათ კი ეს თანხა ლაბორატორიას შემოუვიდა სად. მელანში შენახული მილებიდა და სხვადასხვა ინსტრუმენტების რეალიზაციიდან. მელანში ეს ქონება ეკუთვნოდა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას, რომელმაც შემდეგ ეს ქონება ლაბორატორიას გადასცა. 1928 წელს ლაბორატორიამ კვლავ გაყიდა აღნიშნული ქონების მეორე ნაწილი და შემოსავალი თანხა შეიტანა ბალანსის გრაფაში—„სხვადასხვა შემოსავალი“.

ამგვარად ადგენდა ლაბორატორიის ბუხჰალტერია ბალანსებს. ბუხჰალტერიაში სხვა საქმეებიც არ იყო ხეირიანად დაყენებული.

საწარმოო განყოფილებაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დიდ შეცდომებს. მანქანები იდგმებოდა მიზანშეუწონლად ისე, რომ გარეგნულად ეფექტი მოეხდინა მნახველზე. არ იყო დაცული აპარატურის რაციონალურად გამოყენების პრინციპი და არ იყო დაცული უშიშროების ზომები, რაც ყოველთვის ხანძრის გაჩენის საფრთხეში აყენებდა ლაბორატორიას, ამის გამო ხანძრის შემთხვევა უკვე იყო ერთხელ, რითაც ლაბორატორიას საგრძნობი ზარალი მიადგა.

კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში წარდგენილ იქნა კომისიის დასკვნები, მაგრამ მოქ. დევდარიანმა მოახერხა სხვადასხვა ფორმალური მოტივებით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს დაინიშნა მეორე კომისია. ამ დღეებში მეორე, კომისიამაც დაამთავრა მუშაობა და თავისი დასკვნები წარუდგინა სახ. მეურნ. უმ. საბ. პრეზიდიუმს, რომელმაც ლაბორატორიის მუშაობის საკითხი განიხილა და დაადგინა, რომ ლაბორატორიის მუშაობა - საქმიანობაში შემჩნეული ყველა დეფექტებისა და შეცდომების გამოსწორების მიზნით მიღებულ იქნეს შესაფერი სასწრაფო ზომები მათ შორის პირველ რიგში: 1) ლაბორატორიის მუშაობაში ზოგიერთ ძირითად სამეცნიერო საკითხების ირგვლივ წამოჭრილ აზრთა სხვა და სხვაობის მოსაწესრიგებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი ლაბორატორიასთან მოეწყოს სამეცნიერო საბჭო, რომელშიაც მოწვეულ უნდა იქნენ სახ. უნივერსიტეტის შესაფერის კათედრათა ხელმძღვანელები; 2) ლაბორატორიის მუშაობაში უსისტემო ხელმძღვანელობისათვის და უყაირათობისათვის, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა სავაჭრო განყოფილებისა და საწარმოო - პრეპარატიულ განყოფილებების მუშაობაში — ლაბორატორიის გამგე ა. დევდარიანი მოხსნილ იქნეს თანამდებობიდან. 3) მოხსნილ იქნეს თანამდებობიდან აგრეთვე ქიმიკოსი ტატიშვილი. 4) სავაჭრო განყოფილების გამგეს მოქ. შტრომბერგს გამოეცხადოს საყვედური და მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება, რომ აღარ დაიჭიროს კავშირი სპეკულიანტებთან; 5) მოიხსნას თანამდებობიდან ბუჰგალტერი კამკამიძე, როგორც თავის თანამდებობისათვის შეუფერებელი.

6) მიეცეს გაფრთხილება სახ. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას ლაბორატორიის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

7) შესდგეს კომისია, რომელშიაც მოწვეულ იქნენ: ლაბორატორიის ადმინისტრაციის, ქიმიკოსთა პროფკავშირის და სამთო განყოფილების წარმომადგენლები. დაევალოს აღნიშნულ კომისიას ლაბორატორიის შტატების გადასინჯვა.

აღნიშნული დადგენილება და ლაბორატორიის მთელი მოღვაწეობა ეცნობოს ქიმიკოსთა ფართო მასას.

ასეთია ს. მ. უ. ს. სიტყვა ცენტრალურ ქიმიკო - ტეხნიკურ ლაბორატორიის „მუშაობის“ შესახებ.

გრ. მ—ია.

„კვაჭი“ მეფარიშვილი

კვაჭი ჩვენში ცნობილი სიტყვაა. კვაჭებიც საკმაოდ მოიპოება. ერთი ასეთი კვაჭთაგანი არის ვინმე გოგია მეფარიშვილი.

გოგია მეფარიშვილზე ჩვენ ამდენი ლაპარაკიც არ მოგვიხდებოდა, რომ მას ისევე კარგათ იცნობდნენ ყველგან, როგორც იცნობენ გურიაში, ბათომში და ფოთში.

1927 წ. ის მიევლინა გურიის კომპარტიის ორგანიზაციას როგორც ძველი მებრძოლი კომუნისტი და დაინიშნა პასუხისმგებელ პოსტზე ჩოხატაურის რაიონში.

მე მაშინ შემთხვევით ჩაველი ჩოხატაურში და გავიგე, რომ გოგიას აწიოკებული ყავდა ადგილობრივი მცხოვრებნი და ტერორ ქვეშ აყენებდა მათ. ამის გამო მე გავემგზავრე ოზურგეთის პოლიტბიუროში, რათა დამესვა საკითხი მეფარიშვილის მოხსნის შესახებ. ჩაველი თუ არა ოზურგეთში პოლიტ-ბიუროს უფროსთან, ჩოხატაურიდან მოვიდა შემდეგი შინაარსის ტელეფონოგრამა:

„გოგია მეფარიშვილი ორი თუ სამი მილიციონერებით, ცნობილ ბანდიტ პაიჭაძეებთან ერთად თავს დაესხა გლეხ ბერიძეს, სცემა მას, თავი გაუტეხა რევკომის თავმჯდომარე ამხ. შარაშიძეს, მოიტაცა ქალი და გაიქრა ტყეში. ადგილობრივ მთავრობას ძალა არ ყავს, საჭიროა დახმარება“-ო.

მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. გ. მეფარიშვილს აყარეს იარაღი და დაატუსაღეს, შემდეგ ადგილობრივმა ორგანიზაციამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ის მოითხოვდა მეფარიშვილის უმაღლესი სასჯელით დასჯას. ეს დადგენილება დაპატიმრებულ მეფარიშვილთან ერთად გადაიგზავნა ოზურგეთში.

რა მოუვიდა გოგიას შემდეგ, არ ვიცი, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ 1922 წ. ამოჰყო თავი ბათომში, სადაც მიიღო საპასუხისმგებლო თანამდებობა მილიციაში. მან აქაც ჩაიდინა საზიზღარი საქმეები და მიიმალა. ადგილობრივმა მილიციამ დიდხანს ეძება ამნაშავე, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო.

გოგიამ, გურიაში რომ იტყვიან, „ქიცაც იცის და ქიცმაცურიც“. იცის მან თუ სად და ვის მოაჩვენოს თავი ბატკანსავით, ვის რაინდად, ვის უდანაშაულოთ დასჯილად. დადის და არხეინად ატარებს პარტბილეთს. და აი, ის კვლავ ინიშნება ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე.

გოგია ყალბი დოკუმენტების გაკეთებაზედაც დახელოვნებულია. მან ამ საშუალებით „აკვაჭა“ ერთი ხახლი სად. საჯევახოში.

ყოველივე ამის შემდეგ მეფარიშვილს ყოფნის იმდენი გამბედაობა, რომ ის მოდის ჩემთან თბილისში და მთხოვს მივსცე მას დახმარება, როგორც დამსახურებულ კომუნისტს, რომ მან, როგორც ძველ მებრძოლმა, „წითელი ორდენი“ მიიღოს.

მეფარიშვილმა მიიღო „წითელი ორდენი“ კომპარტიის საკონტროლო კომისიაში. მეფარიშვილი გამორიცხეს პარტიიდან და დატუსაღებული გადასცეს სასამართლოს.

1925 წ. ოქტომბრის რიცხვებში მეფარიშვილი საჯაროთ გაასამართლა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ, დაუმტკიცა მას ყველა ბრალდებები და მიუსაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა. ამნისტიის თანახმად სასჯელი შეეცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით. მიუხედავათ ამისა, რამდენიმე ხნის შემდეგ, კვაჭი მეფარიშვილს ისევ ვხედავთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ის პარტიაშიც შემძვრალა. ეს ამბავი საკონტროლო კომისიის ყურამდე მივიდა. მეფარიშვილი კვლავ გამორიცხეს პარტიიდან.

თავისთავად ისმება საკითხი, ვისი პროტექციით არის ის დღეს თავისუფალი, ვინ უწყობს მას ხელს და ვინ არიან ასეთი „გულკეთილი“ რეკომენდატორები, რომლებიც ხელს აფარებენ მეფარიშვილს, როგორ ხდება, რომ ჩვენი დაწესებულება-წარმოებანი ასე ადვილათ ეგებიან კვაჭების ანკესზე? ეს მარტო მეფარიშვილის საკითხი არაა. ეს საზოგადო მნიშვნელობის საკითხია, რომელსაც უთუოდ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ხერგო მეგრელიშვილი.

ანკეტა ლითოგრაფიის ქვის შესახებ

სარკე მარტო შუშის როდია. სარკის მაგივრობას ხშირად სხვადასხვა გალაპლაპებული საგნებიც ეწევიან. ეს გასაგებია. ფიზიკის კანონებით ადვილად შეიძლება ბუნების ამ მოვლენათა ახსნა, მაგრამ არის კიდევ ერთი სახის სარკე, რომელსაც ჩვენი დაწესებულებები ხშირად მიმართავენ თავიანთ მუშაობაში და რომლის სარკისებური თვისებების ახსნაც არ შეიძლება ფიზიკის არავითარი კანონებით.

ჩვენ ანკეტებზე ველაპარაკობთ. ბევრგან ისე საათივითაა აწყობილი საქმე, რომ დაწესებულების ხელმძღვანელისათვის საკმარისია ჩაიხედოს ანკეტაში, და წამსვე ყველაფერი ისე წარმოიდგინოს თავის უწყების ყველა კუნჭულში, როგორც ხელის გულზე. მექანიზაცია და რაციონალიზაციაც ამას ჰქვია. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტს არ სურს ჩამორჩეს სხვას ამ მხრივ და ამიტომ ისიც დიდი ხალისით მიმართავს მუშაობას ანკეტურ წესს.

აბულაღის რაიონში, მაგალითად, ტრესტს აქვს ლიტოგრაფიული ქვის წარმოება. ტრესტის ზოგიერთ მუშაკებს სურს, რომ თბილისში წიგნში ჩახედოს და აბულაღის წარმოების პეიზაჟი თვალწინ გადაეშალოს მთელი თავისი ნიუანსებით. ამიტომ ზის ამ ტრესტში უჩინარი მეთალმუდე და ადგენს ასეთ სასწაულმომქმედ წიგნს აი, რამდენიმე კითხვა ამ წიგნიდან:

„ნედლი ქვის სიდიდე და სისქე“ (ლაპარაკია ახლად მოჭრილ ლიტოგრაფიულ ქვაზე) ვთქვათ, ეს ძალიან ესაჭიროება ტრესტს. მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდება. საჭიროა იცოდეს ისიც, თუ როგორია გათლილი ქვის სიდიდე. ამიტომ ამ კითხვას მისდევს მეორე კითხვა: „გათლილი ქვის სიდიდე“. შემდეგ: „ქვის მდგომარეობა“.

ეს ყველაფერი „გამოარკვია“ ტრესტმა თავის ანკეტით აბულაღში. მაგრამ ქვა თბილისში წამოიღეს. ვინ იცის გზაში ის როგორ მოგზაურობდა, რა ტანჯვა-წვალება გაიარა, რა ცვლილება განიცადა. ამიტომ ტრესტი უკვე თბილისში მას ეგებება ახალ კითხვებით:

„გახეხილი ქვის სიდიდე“, „ქვის მდგომარეობა“. „იმ ფენის ნომერი, რომლიდანაც გამოღებულია ქვა“.

უყურადღებოთ არ არის დატოვებული არც დაზიანებული ქვები. მათ შესახებ ცალკე კითხვებია გამომუშავებული:

1. „დაზიანება გათლამდე (დაზიანების მიზეზი და აქტის №)“, „დაზიანება გათლის შემდეგ (დაზიანების მიზეზი და აქტის №)“, დაზიანებულია გახეხვის შემდეგ (დაზიანების მიზეზი და აქტის №)“.

ეს კითხვები არსებითად წარმოადგენს წინა კითხვების განმეორებას, მაგრამ სამთო ტრესტის მეთალმუდე ამას არ დაგიდევს. ჭეშმარიტება რაც უფრო ხშირად განმეორდება, მით უკეთესი საქმისათვისო, ასე მოგვასწავლა ბრძენმა სოლომონ ზურგიელიძემ.

არა ნაკლებ დამახასიათებელია ტრესტის ანკეტის კითხვები ქვის ყუთში ჩაწყობის და გაგზავნის შესახებ:

„ჩადებულია ყუთში გათლის შემდეგ (თვე და რიცხვი)“, „გაგზავნილია თბილისში (როდის)“, „ჩადებულია ყუთში გახეხვის შემდეგ (თვე და რიცხვი)“, „გაგზავნილია (სად, თვე და რიცხვი)“ და ასე შემდეგ.

ამ კითხვების ნახევარ რიცხვზე მეტი სრულიად უსარგებლო და ზედმეტია. მათ დაწერაზე დაიხარჯა დრო, ენერგია და ფული. ეს კიდევ არაფერი. მათ შევსებას დრო და მუშაობა უნდა თუ არა? და მერე ვისთვის ან რისთვის?

გასაკვირია რატომ არ შეიტანეს ანკეტის ავტორებმა ფურცელში კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენი წლის მუშამ დაამუშავა ქვები, ვინაა ამ მუშის მშობლები და ახლობლები, რა მიირთვა მან ქვაზე მუშაობის დღეს სადილათ და სხვა. ყველაფერი ეს საინტერესოა ისტორიისათვის, ყველაფერი ეს კიდევ უფრო ნათლად არკვევს ლიტოგრაფიის ქვის წარმოებას აბულაღში. მაგრამ ეს წიგნში ხდება ასე. ცხოვრებაში კი სხვა რამეა. აბულაღის ლიტოგრაფიის ქვებს არც სცივათ და არც სცხელათ ამ ანკეტისაგან. იკითხოს მხოლოდ მან, ვისაც მათი განხილვა და შევსება უხდება.

ანდ. შადური.

კომბინატორი ისევ მსახურობს

(მიწსახკომი)

ამ ოთხი თვის წინად, ადმინისტრატიულ ხარჯების 20 პროც. შემოკლების გამო, მიწსახკომში გამოტანილ იქნა დადგენილება სახ. მამულის ტრესტიდან მოქ. უსტიაშვილის და ლევინიაშვილის სამსახურიდან მოხსნის შესახებ. უსტიაშვილი მუშაობდა თივის დამზადების დარგში, ხოლო ლევინიაშვილი საქმეთა მმართველათ. დადგენილება სისრულეში მოსაყვანად გადაეცა სახალხო მამულთა ტრესტის მმართველს ამხ. კობახიძეს.

სხვათა შორის, უსტიაშვილის მოხსნა გამოწვეული იყო უსტიაშვილისვე კომბინატორობით.

რაში გამოიხატებოდა ეს კომბინატორობა? ერთ-ერთ კრებაზე მოქ. უსტიაშვილი აკეთებს მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ. მას აძლევენ შეკითხვას, თუ რატომ ყიდულობს ის თივას მეტ ფასებში. უსტიაშვილი იძლევა შემდეგ ახსნა-განმარტებას: „მართალია, მეტ ფასს ვაძლევ თვეში, მაგრამ თივის მიღების დროს წონაში ვატყუებ გლეხებს და ფუთის მაგივრად ორ ფუთს ვიღებ“-ო.

ამგვარი „ერთგული“ თანამშრომელი მიწსახკომს და საზოგადოთ საბჭოთა დაწესებულებას რაში გამოადგება? უსტიაშვილს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ თავის თავის სასარგებლოდ რამდენს და რა კომბინაციებს აკეთებდა.

როგორ შეასრულა პარტიის და მიწსახკომის დადგენილება სახალხო მამულის ტრესტის მმართველმა, ამხ. კობახიძემ!?

ბრძანება № 159-ით, მოქალაქე უსტიაშვილი მოხსნილია თანამდებობიდან, ხოლო ბრძანება № 165-ით, ის რჩება სამსახურში დამზღვევ სალაროზე გადარიცხვით.

გადის სამი თვე და 20 ივნისის ბრძანება № 310-ში უსტიაშვილი მოხსენებულია როგორც სამსახურში გამოცხადებული დამზღვევ სალაროდან. და განაგრძობს მუშაობას ძველ თანამდებობაზე.

4 ივლისს, კატეგორიული წინადადება ეძლევა მმართველს, ამხ. კობახიძეს, შეასრულოს დადგენილება უსტიაშვილის მოხსნის შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით საკითხი ისევ მოუგვარებელი რჩება, რადგან ტრესტის მმართველმა ინება მოსკოვში გამგზავრება და როდის დაბრუნდება, დანამდვილებით არავინ იცის.

გოგიტო ციმბირელი.

ტყის „მუსუსები“ ფუსფუსობენ

(მანავის თემი, გარე-კახეთი)

გარე-კახეთი მდიდარია ტყეებით. სამაგიეროდ საკმაოდ დიდია მომხმარებელი მოსახლეობის რიცხვიც. აქვეა სატყეო განყოფილებაც, ტყის გამგე, თანაშემწენი, ტყის მცველნი. თავისთავად ცხადია, ესენი ზრუნავენ ტყის დაცვისათვის, მის გამოხშირვისათვის დაბერებულ და უვარგის მცენარეებისაგან და ამასთანავე ზომებსაც იღებენ ტყის კულტურულად გაშენებისათვის. მაგრამ აქ საკვირველია ერთი გარემოება: რადა მთელი ეს მუშაობა ჩამორჩენილ და პატარა თემში, მანავში ტარდება? ნუთუ 2-3 წლის განმავლობაში მანავის, შედარებით პატარა ტყე ვერ გამოიხშირა, ნუთუ დაბერებული და უვარგისი ტყეები მხოლოდ მანავის თემს ხვდა წილად? უკვირთ ეს გარემოება ადგილობრივ ღარიბ გლეხებს და ყველა იმათ, ვისაც სისტემატიურად უხდება ამ 2 წლის განმავლობაში კახეთის მატარებლით გავლა და მანავის ბაქანისაკენ გადახედვა. მთელი ბაქანი თითქმის ყოველთვის რამოდენიმე ასეული საჟენი შეშითაა დაფარული, მთელი წლის განმავლობაში იზიდება ქალაქისკენ მანავის თემის ეს უკანასკნელი სიმდიდრე.

რატომ ვერ ვხედავთ ასეთ სურათს ასეთ მოზრდილ თემებში, როგორიცაა: საგარეჯო, სართიჭალა, მარტყოფი და სხვა? ნუ თუ მანავის თემი ამ თემებზე მდიდარია ტყით? იქ, სადაც მომჭირნე და საქმის ერთგულია ადგილობრივი ხელისუფლება, 2-3 წლობით არ ხდება ტყეების „გამოხშირვა“.

მანავში კი სხვა მდგომარეობაა.

ყველა ცნობილ ტყის მუსუსს, თითქოს აქ მოუყრია თავი. ამ 2—3 წლის წინეთ მათ აატირეს მანავის თემის ყორუღის ტყე, აალაპარაკეს ადგილობრივი გლეხობა. მას შემდეგ ტყის ეს განმანადგურებელი მუშაობა შეუჩერებლად გრძელდება. არიან კერძო მოიჯარადრეები და სხვადასხვა კულაკური ელემენტები და, თქვენ წარმოიდგინეთ შრომის (?) ნადიც კი „ხე-ტყის“ სახელწოდებით. ალბად მკითხველს აქ იქვები გაეფანტება. ნადი, რომელიც წესდებით მუშაობს, სახალხო საქმეს ზარალს არ მიაყენებს. მაგრამ ვინ არის ნადის წევრი და რა ხდება ნადის ირგვლივ? ფაქტები ასეთია: ნადს ხელმძღვანელობენ, ვილაც უცნობი პირები. მათ მთელი თვეობით დასდევენ გლეხები ფულისათვის, არის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და დავიდარაბა. ლაპარაკი ფულების გაფლანგვაზე, გაძევება ერთი ხელმძღვანელის, ახალი ხელმძღვანელის ამორჩევა, აქაც უსიამოვნება, ფულების გაფლანგვა, ჩივილი გლეხების ფულების გაფლანგვაზე, ხელმძღვანელების დაპატიმრება და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ვისგან შესდგება ნადი? ყოფილ ვაჭრებისაგან, ხმის უფლება აყრილ პირებისაგან, შეძლებულ გლეხებისაგან და შიგა და შიგ თითქოს „ღარიბებისაგანაც“.

თუ როგორ „გამოხშირავს“ ეს ხალხი ტყეს, როგორ შეუწყობენ ხელს ისინი ტყის კულტურულად გაშენებას, ეს ყველასათვის ნათელია.

რას აკეთებენ ადგილობრივი თემაღმასკომის მუშაკები? რასა და ათ ოთახიან შენობას. „რას ამბობ კაცო, ეს დალოცვილი მოიჯარადრეები და ნადი რომ არ შეგვეწეოდა, შენობას ხომ ვერ დავიწყებდით“, ამბობენ ისინი ხშირად კმაყოფილებით. „ბარაქიანათ პროცენტებს გვაძლევენ და ჩვენც ხალხში და უმაღლესი ხელისუფლების წინაშე ავტორიტეტს დავიმსახურებთ“-ო, ასე გაიძახის თემ-აღმასკომის თავმჯდომარე სოლომონ სტეფანიშვილი.

რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ აღმასკომი ტყის ამ გაქექილ მუსუსებს თავის დადგენილებაში მუყაითი მუშაობისათვის მადლობასაც-კი უცხადებს. ამჟამად არ ვიცით ტყის „დამამზადებელი“ რომელი პარტია როგორ მუშაობს, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ მანავის ტყის გაკაფვა დღესაც გრძელდება, მანავის ბაქანის მოედანი მოჭრილი შეშით ეხლაც იფარება.

როდის უნდა მოეღოს ბოლო მანავის თემის სიმდიდრის ასე არტელურად და ორგანიზაციულად დატაცებას? პასუხს ამ კითხვაზე დიდი ხანია მოელიან ადგილობრივი გლეხები და მოწინავე ელემენტები.

კოლელი.

ხმაშეწყობილი ტრიო

(ქუთაისი)

საქმე ეხება ბარიტისა და ძაფსახვევი ქარხნის ამშენებელთ, ქუთაისში, ეგრეთწოდებულ „ახალშენს“.

აქ არის „ტრიო“:

მამა—გაუსმანი, ძე—ნაზაროვი და „სული წმინდა“— სიორიძე.

საგენტო ფურცლის მიხედვით კი ესენი არიან:

— სამუშაოთა გამგე, იურისკონსულტი და ბუხჰალტერი.

ყველაფრის ტვინი და გულია ხსენებული სამება.

მათ საქმიანობაც და ქამაც ერთად უყვარსთ.

მართალია, გაუსმანი არა ერთხელ „იუცხოვა“ იმერულმა ღვინომ. მაგრამ გაუსმანმა მშვენივრად მოათვინიერა ეს უკანასკნელი დახშირად მისი ბარიტონიც ბევრს სმენია:

— მრავალ ჟამიერ!.. და სხვ.

მერე, საიდან, რა სახსარით?

აი, აქ იწყება ზღაპარი სინამდვილიდან.

თურმე ყოფილა ერთგვარი თანამშრომელთა კადრი, რომელთაც შეუძლიათ არ იმუშაონ, ხოლო ფული საკმაო მიიღონ. აი, ისე, როგორც ნათქვამია::

— არ ხნავს, არ თესავს, არ თობნის—

იმკის კი ბარაქიანათ.

— ერთი ასეთი მომკალი.

სოფელს ეყოფა ზიანათ!

მაგალითად::

— რა მოხდა, რა გააკეთა მასლენიკოვის ქალმა „ახალშენში“?

თვალით არავის უნახავს, ხელით არაფერს შეხებია, ხოლო ფეხით ახალშენში არც მაშინ მისულა მგონი, როცა.. ამ არ არსებულ თანამშრომელს „შრომის“ ხელფასი უნდა აეღო.

აიღო კი 275 მანეთი.

ეს ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა ამ წლის 3 თებერვალს, ორდერი № 1043.

ცხადია, ცოტაოდენ უხერხულებას დაბადებდა ეს საქმე. ეს უგრძვნიათ ავტორებსაც და ამიტომ ეძებენ „გასამართლებელ“ საბუთებსაც.

აი, ეს საბუთიც:

— მუშაობათა მწარმოებელს ამხ. გაუსმანს, „ჩემის თხოვნის თანახმად, თქვენ ნებადამრთეთ, რათა გაძლიერებული მუშაობა მეწარმოებია ოქტომბერ-იანვრის კვარტალის ანგარი-) შიანობის დასათავებლად და ცენტრში საბუთების გადასაგზავნათ. ამიტომ ჩემს მიერ მოწვეულ იქნა ამხ. მასლენიკოვის ქალი დროებით სამუშევრებზე და აგრეთვე მივეცით მას სამუშაო სახლში. ვფიქრობ, შესაძლოა მივსცეთ მას 3 თვისა და 20 დღის ნამუშევარი—275 მანეთი, ანუ 70 მანეთი თვიურად.

სიორიძე.

გამგე გაუსმანმა კეთილ ინება და „ნება დართო“ მიეცათ მასლენიკოვას ქალისათვის 275 მანეთი.

ასე, ამგვარად გადაყვა ხელს 275 მანეთი. მაგრამ აი, აპატიმრებენ ბუხჰალტერ სიორიძეს მუშათა გალახვისა და სხვა „რაინდობისათვის“, დარჩენილი მოძმენი სცდილობენ მის გამოშვებას, მაგრამ ვერ ახერხებენ.

გზავნიან სიორიძის მოადგილეს, კომუნისტს. მას დაწესებულების კარსაც არავინ უღებს.

ბუხჰალტერის ადგილი დღემდე თავისუფალია, იგი გაუქმებულიცაა.

მაგრამ, მასლენიკოვის ქალზე გამოწერილ ფულის ორდერს დამალვა ხომ უნდა? და აქ ხდება გაწამაწია:

— სანდო არავინაა ბუხჰალტერიაში.

მაშ, დედანი ანგარიშისა გადაგზავნოს ცენტრში, მაგრამ აქ, ადგილობრივ ასლს ხომ გადაღება უნდა? ვის ანდონ ეს საქმე?

რაკი ვერავინ მონახეს, ისევ სკამს აკავებს მასლენიკოვის ქალის ქმარი, „ახალშენის“ იურისკონსულტი ნაზაროვი და თავის ხელის სწერს ასლს.



ეს გახლავთ ერთი ეპიზოდთაგანი, იმ მრავალფეროვანი მოღვაწეობიდან, რომელსაც ადგილი აქვს „ახალშენის“ ტრიოს მხრით.

თორემ ისეთი მოვლენა, როგორიცაა მუშა-მოსამსახურეთა პირად „კაპრიზების“ მიხედვით დათხოვა, შემდეგ განაცდენი დროის ანაზღაურება, რომელმაც უკვე 1,000 მანეთს გადაამეტა, და, საერთოდ, ბრძოლა, რომ „კომუნისტი“ არავინ შეპაროდათ ბუნაგში— ამაზე ხომ წერაც არ ღირს. თუ რამდენად არ მოსწონთ ამ ყმაწვილებს კომუნისტები, ამას ისიც ამტკიცებს რომ ბუხჰალტერიის დასატვირთავად არსებულ თანამშრომელთაც კი ჯამაგირებს უწერენ, ხოლო, როცა თვით დაპატიმრებული ბუხჰალტერის სიორიძის ადგილზე — სხვა გამოგზავნეს, ეხლა ადგილსაც აუქმებენ, რადგან კანდიდატი კომუნისტია; როცა კანცელიარიის გამგეთ კომუნისტი გამოგზავნეს—ეს ადგილიც გააუქმეს, რადგან სჯობს კანცელარიას გამგე არ ყავდეს, ვიდრე მას კომუნისტი განაგებდეს, ხოლო ამავე მიზნითა და მიზეზით ისეთი თანამშრომლებიდან, როგორიცაა კვიცარაძე და სხვა პარტიულები —დიდი ხანია თავი გაინთავისუფლეს.

მაგრამ როგორ გაინთავისუფლებენ თავს მუშგლეხინისაგან, — ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

კაუჭა.



ზაფხულის დადგომის გამო ბევრ დაწესებულებებში გახშირდა მივლინებები სააგარაკო რაიონებისაკენ

იუბილეს მოყვარულნი

იუბილეს ჩვენში მარტო კერძო პირებს არ უხდიან. ხშირად დაწესებულებებიც გამოდიან მცხოვან იუბილიარების როლში. ამას წინად რკინისგზის ტეხნიკუმმა გადაიხადა მისი არსებობის 50 წლის თავი. ამის გამო ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამე ენთო სკოლის სახურავებზე და შენობის ფრონტონზე ილუმინაციები. დღე და ღამე იწვოდა ელექტრონის ენერგია: ვთქვათ, ღამე ელექტრონის შუქი გასაგები ამბავია, რა საჭირო იყო რამოდენიმე ათეული 50—75 სანთლიანი ლამფების ზაფხულის მცხუნვარე მზის სხივებში გაჩირაღდნება? მაგრამ რკინისგზის ტეხნიკუმს თავი დავანებოთ, მან, რაც უნდა იყოს, 50 წლის არსებობის იუბილე გადაიხადა. ამიტომ ამგვარ დაუდევრობას ალბათ ვინმე კიდევ როგორმე შეურიგდება. სულ სხვაა თბილისის მესამე შრომის სკოლა. აქაც ადგილი ჰქონდა დიდ ისტორიულ მოვლენას. მესამე შრომის სკოლის შეუსრულდა 5 წელი მას შემდეგ, რაც ის დამტკიცებულ იქნა შრომის სკოლად. ხუთი წლის წინად სახალხო განათლების ხელმძღვანელ ორგანოების რომელიღაც ოქმში ჩაიწერა, რომ თბილისში არსდება მესამე შრომის სკოლა! ხუმრობა საქმე ხომ არ არის ასეთი ისტორიული ამბავი?

სკოლის პედაგოგიურ საბჭომ სპეციალური მსჯელობა იქონია ამ საგანზე. დაადგინეს აღინიშნოს მესამე შრომის სკოლის დამტკიცების ხუთი წლის თავი საიუბილეო საღამოს მოწყობით. გამოყვეს სპეციალური კომისია იუბილეს ჩასატარებლად. თანვე აღნიშნეს, რომ საღამოზე მოწვეულ სტუმრებს გაუმასპინძლდეთ ჩაითო.

მაგრამ ეს ჩვეულებრივი მასპინძლური თავდაჭერილობა იყო. ხშირად ხდება ხოლმე ოჯახურ ცხოვრებაში, რომ სტუმარს ჩაიზე პატიჟობენ, ხოლო კახურით უმასპინძლდებიან. ამ ტრადიციას ვერც მესამე შრომის სკოლის ხელმძღვანელებმა გადაუხვია.

დაიწყო გაცხოველებული სამზადისი იუბილესათვის. ერთი კვირით ადრე დაიწერა სპეციალური საპატიო ძოსაწვევი ბარათები. განათლების დარგში მომუშავე ან ამ დარგთან ახლო მდგომ ცოტათ თუ ბევრად საპატიო პირებიდან ერთი კაციც კი არ დარჩენილა, რომ დაუპატიჟებელი დარჩენილიყოს. ეტყობოდა ფართე ნატურის ხალხი მოჰყვა საორგანიზაციო კომისიაში. არავინ დაივიწყა მან.

დადგა ნანატრი საიუბილეო დღეც. კოვიდნენ სტუმრები. ჯერ საღამო გაიმართა, შესრულებულ იქნა ოფიციალური ნაწილი, გამგე გამოვიდა ვრცელი შესავალი მოხსენებით. მან გააკეთა შორეული ექსკურსიები სკოლის დაარსების ისტორიაში და მოახდინა განვლილი ხუთი წლის მძიმე მუშაობის მიმოხილვა, რამაც ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. როგორც გამგემ თავის სიტყვაში განაცხადა, მესამე შრომის სკოლა, თურმე წინად ეკუთვნოდა განათლების სახალხო კომისარიატს და არსებობდა, როგორც პროფსკოლა. მერე კი თურმე მოხდა ჩვენი საუკუნის ღირსშესანიშნავი ამბავი, სკოლა გადასცეს თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებას, რომელმაც ის შრომის სკოლად გადააკეთა. და ყოველივე იმის შემდეგ განვლო 5 წელმა. ხუთი წელი სრულდება, რაც ეს ისტორიული ფაქტი მოხდა!

მოდი და ნუ გამართავთ ამის მაგო იუბილეს!..

გამგის მოხსენების გარდა მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები, სთქვეს სიმღერები და ამით გათავდა საღამოს ოფიციალური და ლიტერატურული ნაწილი.— ამის შემდეგ მოხდა დამსწრე საზოგადოების ბუნებრივი „დახვეწა“, გარეშე საზოგადოება, რომელიც მოსული იყო საღამოზე, წავიდა. დარჩენ „შინაურები“ და საგანგებოთ მოწვეული სტუმრები. გაიმართა „ჩაი“ კვარტის ბოთლებით. რას ისურვებდა სული და გული, რომ სუფრაზე არ ყოფილიყო. ახლად დაკლულ სამი სული ცხვრის ტყავი სამზარეულოში ეკიდა, ცხვარს მისი საკაზმი ახლდა ფრინველის ხორცეულით. საცივი, შემწვარი გოჭი, ლიმში ჩაფლული, სულგუნები, ხიზილალა თავის რამე-რუმეთი და სუფრის სხვა მოსართავი მუცლისთვის მეტად შესარგი და სასარგებლო ზომაზე მეტი იყო. მასპინძლები განსაკუთრებით გულუხვი აღმოჩნდნენ მაგარ სასმელების მხრივ. იყო სამ-სამი კვარტი ღვინო და მადის მოსაყვანი კონიაკიც.

ასეთ სუფრას თამადაც შესაფერისი ესაჭიროებოდა. ღირსეული კანდიდატიც მალე მოინახა. ეს გახლდათ თვითონ მესამე შრომის სკოლის მშობელთა წრის თავმჯდომარე. ქეიფი და მოლხენა იშვიათი გაიმართა. ხალხი ყირაზე გადადიოდა. დამსწრენი გათენებამდე ქუდებს ჭერზე ურტყამდნენ... ასე აღინიშნა მესამე შრომის სკოლამ დიდი ისტორიული თარიღი მის ცხოვრებაში.

თავისთავად იბადება კითხვა, ვისი და რა საშუალებით გაიმართა ეს ძვირფასი და თავის შინაარსით უმზგავსო ნადიმი? მართალია, სკოლის ხელმძღვანელები გულკეთილი და დიდი პურმარილის ხალხია, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მათ პირად ხარჯზე იყვეს მოწყობილი. და ეს ასედაც არის. ნადიმის ხარჯები დაფარულ იქნა მშობელთა წრის ფონდიდან. ეს ფონდი იქმნება მოწაფეთა მშობლების მიერ ყოველ თვიურად 50 კაპეიკის გადახდით.

სკოლაში არიან ღარიბი მოწაფეები, პიონერ-კოლექტივს დღემდე ფორმა არა აქვს, არის აუარებელი დაუკმაყოფილებელი საჭიროებანი და ამ დროს საიუბილეო ზეიმის გამართვაზე, უაზრო ქეიფში და ჰარალ-თარალეში იხარჯება ორას მანეთამდე ფული. და ეს ხდება სად? იქ, სადაც უნდა იქმნებოდეს ახალი ყოფა-ცხოვრება, ახალი კულტურა, ეს ხდება შრომის სკოლის კედლებში თვით სკოლის ხელმძღვანელთა და მშობელთა წრის ერთი უპასუხისმგებლო ჯგუფის ენერგიული მონაწილეობით.

ამბობენ, საქმე ამით არ თავდება. მესამე შრომის სკოლის მესვეურებს იმდენად ღრმად ჩარჩათ „გუნებაში“ საიუბილეო ქეიფის გემო, რომ მათ განზრახვა აქვთ ეს დროს-ტარება განიმეორონ. თქვენი და ჩვენი კარგა ყოფნით, მესამე შრომის სკოლის დამტკიცების დღიდან ექვსი წელიწადიც მალე შესრულდება და ეს განზრახვაც სწორედ ამ დროისთვის უნდა განხორციელდეს. სამზადისი, როგორც სჩანს, დიდი მასშტაბისა და გაქანებისაა.

ვნახოთ, გასტანს თუ არა ეს საიუბილეო განწყობილება მესამე შრომის სკოლაში ამ ერთი წლის მანძილზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ უნდა გასტანოს და ალბათ ამაზე დაგვეთანხმება თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების ხელმძღვანელებიც.

ახლოგელი.

გაუგებარი უყურადღებობა

შვებულებაში ვიყავი წასული სოფლად. მოულოდნელად ჩამოვედი თბილისში და მეორე დღეს ისევ სოფელში უნდა დავბრუნებულიყავ. ოთახში შევნიშნე ქურდობის ნიშნები, ფანჯარა გაეტეხათ და ფანჯრის დარაბა ორგან გაეხვრიტათ. აშკარა იყო, რომ ჩემმა მოსვლამ შეუშალა მათ ხელი ბოლომდე მიეყვანათ დაწყებული საქმე.

ისიც აშკარა იყო, რომ ქურდი იმავე ეზოში მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ამ საქმის შესახებ განვუცხადე სისხლის სამართლის მილიციას.

— რომ წაეღოთ, მაშინ ჩვენ მივიღებდით ზომებს და რადგან წაღებული არაფერია, მე-9 უბნის მილიციას მიმართეთ და ის გამოარკვევს საქმესო.

წამოველ მე-9 უბნის მილიციაში.

— რომელ ქუჩაზე სცხოვრობთ?— მკითხა მორიგემ.

— ანდრეევის ქუჩა, № 32.

— 30 ნომრის იქით მე-10 უბანს ეკუთვნის, იქ მიმართეთ.

წაველ მე-10 უბანში. მიველ მორიგესთან, მასაც დაწვრილებით უამბე ყველაფერი. ბოლოს მითხრა: მილიციის უფროსის თანაშემწე ნახე და მას მოახსენეო.

ასეც მოვიქეცი. მასაც ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

— განცხადება უნდა დასწეროთ,— მითხრა მან,—ამ დღეებში ჩვენს თანამშრომელს გამოვგზავნით და გავიგებთ რაშია საქმე.

განცხადების დაწერის დრო არ მქონდა, იმავე საღამოს სოფელში ვბრუნდებოდი და მილიციელი რომ შემდეგ მოსულიყო, ველარაფერს გააწყობდა, ოთახი დაკეტილი დახვდებოდა. ვთხოვე, მაშინვე გამოეყოლებინა მილიციელი. თხოვნა ამისრულა.

მილიციელი მოვიდა, დაათვალიერა და წავიდა. არც ოქმი და არც არავის დაკითხვა.—მეეზოვეს დავიბარებთ და დავკითხავთო. ამ სიტყვებით დამამშვიდა და წავიდა.

საღამომდე ველოდე შედეგს. სოფელში წასვლა მინდა, მაგრამ როგორ წავიდე, სანამ ქურდს არ იპოვნიან და არ დაიჭერენ? ის რომ თავისუფლად დარჩეს, რა თქმა უნდა, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, ოთახს გაქურდავს.

იმ საღამოს ვერ წაველ სოფელში. მეორე დღეს დილით ჩემი ახლობელი კაცი გავგზავნე მილიციაში შედეგის გასაგებათ.

მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა ეს ცდა. ის გარეთ გამოეგდო მილიციის უფროსს.

— ქურდს თუ კი ვერაფრის წაღება მოუსწრია და არაფერი დაგკარგვიათ, რაღას დაეძებთო—ეთქვა მას.

იძულებული გავხდი, ოთახში ყარაული დამეყენებინა და ისე წავსულიყავ სოფელში.

რაშია საქმე? გახშირებული ქურდობა თბილისში მილიციის ასეთი უფროსების და თანამშრომლების უყურადღებობით ხომ არ აიხსნება?

ვ. ა.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის

მოსკოვი, 7 ივლისი. თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებისა, რომლითაც გათვალისწინებულია ფართო პოლიტიკური კამპანიის ჩატარება პარტიის მე-2 ყრილობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას იუბილეს ჩასატარებლად.

როგორც სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება აღნიშნავს, ამ კამპანიას უნდა ექნეს პარტიულ-აღმზრდელობითი ხასიათი მუშათა მასებისათვის, განსაკუთრებით იმ მუშებისათვის, რომლებიც ახლად შემოსული არიან ან ახლად შემოდიან პარტიაში და აგრეთვე კომკავშირის ახალგაზრდობისათვის. კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მუშებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბოლშევიზმის ძირითად საკითხებს და პარტიის როლს მუშათა მოძრაობის განვითარებასა და სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

საიუბილეო კამპანიის დღეებში 20 ივლისიდან 28 აგვისტომდე საჭიროა ჩატარდეს ღია პარტიული კრებები, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს მუშების პარტიაში მიღებას, არალეგალურ მუშაკთა სალამოებს, რომლებზედაც წაკითხული უნდა იქნეს მოგონებები მე-2 ყრილობის ეპოქიდან, და ახალგაზრდობის კრებები. სოფლის რაიონებში ღია პარტიულ კრებებზე მოწვეული უნდა იქნენ მოჯამაგირეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და ღარიბი გლეხები.

საიუბილეო კამპანიის შინაარსი და მისთვის მზადება ადგილობრივ პრესაში გაშუქებული უნდა იქნეს ივლისის განმავლობაში. 30 ივლისის ნომერი მთლიანად უნდა მიეძღვნას ყრილობის 25 წლის იუბილეს. იუბილე გამოყენებულ უნდა იქნეს მასების კიდევ უფრო შესაკავშირებლად პარტიის გარშემო და პარტიულ პროპაგანდისათვის, რათა პარტიის რიგებში ჩაბმულ იქნან აქტიური მოწინავე მუშები. (ადს).

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ამხ. ლაკობას მოხსენება

სოხუმი, 7 ივლისი. დღეს პლენუმმა მოისმინა ამხ. ლაკობას მოხსენება აფხაზეთის სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის ნაკლოვანებათა შესახებ.

„ჩვენ არ ვფარავთ ჩვენს მიღწევებს,—ამბობს ამხ. ლაკობა,—მაგრამ, ამავე დროს, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით უნდა ვიმსჯელოთ ნაკლოვანებათა შესახებ.

დავიწყებ სასოფლო მშენებლობაში არსებულ დეფექტებიდან. ეს დეფექტები მომზადებულ მუშაკთა არასკმარი კადრი სასოფლო საბჭოებში, საქმის წარმოების ცუდათ დაყენება, მასების სუსტი აქტივობა. შემჩნეულია აგრეთვე გადამახინჯებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პოლიტიკაში. ასე, მაგალითად, სოფელ ტყვარჩელის უღარიბესმა გლეხმა ბახტაძემ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ერთი მანეთის მაგიერ გადაიხადა 11 მანეთის რაოდენობით, ხოლო თავადმა ანჩაბაძემ გადაიხადა ამდენივე. იყო დეფექტები აგრეთვე თვითდაბეგვრის საქმეში. თვითდაბეგვრის საშუალებით მოგროვილი თანხები ხშირად იხარჯებოდა საკანცელარიო და ადმინისტრატიულ საჭიროებაზე. თვითდაბეგვრის დროს ხშირად არ იყო დაცული კლასობრივი პოლიტიკის ელემენტარული წესები.

ბევრი ნაკლოვანებები გვაქვს აგრეთვე სატყეო-მამულო პოლიტიკაში. ხშირია მიწას ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები, თვით სოფლის საბჭოების მუშაკთა მონაწილეობით. ადგილი აქვს აგრეთვე გლეხების უგეგმოდ დასახლებას და გადასახლებას, რაც აძლიერებს მიწის ნაკლებობას.

გაგრის მაზ. ალახადზის რაიონში საარჩევნო უფლება დაუტოვეს 18 კულაკს. წებელდის სასოფ. საბჭ. თავმჯდომარეთ იყო ყოფილი ურიადნიკი, რომელსაც აყრილი აქვს მოქალაქის უფლებები, კონსტანტინოვის სასოფლო საბჭოს მდივნად იყო ყოფილი პოლკოვნიკი, სასოფლო საბჭოს მდივნად ბოხუში— ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, რომელიც ემალება საბჭოთა ხელისუფლებას.

სამაზრო აღმასკომები ყოველთვის გადაუხვევლად არ ასრულებენ ცენტრის დირექტივებს: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ვერ იქნა და ვერ მიიღო ცნობები სტიქიურ უბედურებათა შედეგების შესახებ, აღმასკომები არ ღებულობენ ზომებს ტყეში ხანძრის გაჩენის წინააღმდეგ. ცუდათ უვლიან საზოგადოებრივ ტყეებს.

სასამართლოს მუშაკების დანიშვნა ხშირად მათ შეუმოწმებლად ხდება და ამიტომ ხშირია მათი გამოცვლა. პირველი ინსტანციის სასამართლოები მეტად დატვირთულია მუშაობით; საქმეების გარჩევა ხშირად რამოდენიმე თვეობით გვიანდება. სასამართლო საკმაოდ არ არკვევს მხარეების ურთიერთობას, ადგილი აქვს მშრალ ფორმალიზმს.

მშენებლობა მიმდინარეობს უგეგმოდ, არ არის შეთანხმებული ფინანსიურ და სეზონურ შესაძლებლობებთან. შენებას იწყებენ იმ დროს, როცა მუშები და სამშენებლო მასალა არ მოიპოვება. სათანადო სახელმწიფო ორგანოს უქონლობის გამო ხშირად საქმის დაჭერა გვიხდება კერძო მოიჯარადრეებთან. სამშენებლო პროექტების შედგენის საქმე ვერ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში; მაზრებში გზის ოსტატები ადგენენ შენობების პროექტებს. სოხუმის წყალსადენის პროექტი არავის არ დაუმტკიცებია, მაგრამ მუშაობა უკვე დაიწყო. გაგრის წყალთა სამკურნალო აგებულ იქნა უპროექტოდ და უგეგმოდ, ცენტრთან შეუთანხმებლად.

დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების ტარიფი, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებით გათვალისწინებული იყო შემცირება, გადიდებულ იქნა 25 პროცენტით. ამ დარგში რაციონალიზაცია სრულებით არ ტარდება.

მრეწველობის დარგში ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია ხელმძღვანელ პირების ხშირი შეცვლა, შეუფერებლად მოხდა მუშაკების დანიშვნა აფხაზეთის სატყეო ტრესტში. გაგრაში მოაწყვეს ხე-ტყის დასაშრობი ქარხანა ხე-ტყით უზრუნველსაყოფელად. დახარჯეს 100 ათასი მანეთი, მაგრამ მაინც ხშირად საჭირო ხდება ხე-ტყის გადატანა კამერებით. გრუხილავეჯის ფაბრიკის მოწყობაზე დაიხარჯა 20.000 მანეთი, მაგრამ ფაბრიკა არ აუგიათ. დირექტორების ხშირი შეცვლის და სხვა ობიექტიურ მიზეზების გამო. საჭირო შეიქნა თამბაქოს ქარხნის დახურვა (ადს).

მივიწყებული მხარე

(ზეკარის და ციკნაველეთის თ., ქუთ. მაზრა)

ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა ადგილებზე სამუშაოთ დაგზავნა თავისი ინსტრუქტორები, ინსტრუქტორების მუშაობამ მალე გამოამჟღავნა, რომ ბევრ სოფლებსა და თემებში სრულიად არ ყოფილა არც პარტიული უჯრედები და არც საკანდიდატო ჯგუფები. კერძოთ ამგვარი მდგომარეობაა ზეკარისა და ციკნაველეთის თემებში.

რასაკვირველია ასეთ პირობებში პარტიული გავლენისა და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კომკავშირის უჯრედი, რომელიც ამ ადგილებში პარტუჯრედის მაგივრობას უნდა სწევდეს, მივიწყებულია სამაზრო კომიტეტისა და თემკომის მიერ.

მაგალითად ზეკარის ა. ლ. კ. კ. უჯრედს ერთი წლის განმავლობაში არ მიუღია არც ერთი მითითება, არც ერთი ცირკულიარი. ცოცხალ კავშირს ხომ სრულიად არ ჰქონია ადგილი.

ყველა ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ეს უჯრედი იხლართება აუარებელ შეცდომებში, გამოაქვს დადგენილება გლეხკომის გადარჩევის შესახებ, საყვედურს უცხადებს უპარტიო ექიმს (იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი მოწვეული იყო უჯრედის კრებაზე, მაგრამ არ მოვიდა) და სხვ.

ა. ლ. კ. კ. სამაზრკომმა უნდა მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ისეთ სოფლებში, სადაც არ არსებობს პარტიული უჯრედი, სხვა ორგანიზაციების მუშაობასაც აუარებელი დეფექტი აქვს. მაგალითად კოოპერაციის საპაიო კამპანიის ჩატარების დროს, მრავალ შეცდომას ჰქონდა ადგილი, რითაც გლეხობა ძლიერ უკმაყოფილოა.

ს. ხანში გავრცელებულია მეთამბაქეობა, მაგრამ გლეხებს ვერ გაუსაღებიათ თავისი ნაწარმოები, კოოპერაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს.

გლეხობას აღელვებს ის, რომ აკრძალულია ტყის გაჩეხა. მათ ვერ გაუგიათ რა არის ამის გამომწვევი მიზეზი. სატყეო განყოფილების მუშაკები კი ყურსაც არ იბერტყავენ, ისინი არ ღებულობენ ზომებს საკითხის გასაშუქებლად და ყოველგვარი გაუგებრობის მოსასპობათ.

გლეხკომების მუშაობა ორივე თემში მალზე სუსტია. სამაზრო გლეხკომის ინსტრუქტორს ერთხელაც არ დაუთვალიერებია აქაური გლეხკომების საქმიანობა.

ამჟამად ხსენებულ თემებში დაარსდა პარტიის საკანდიდატო ჯგუფები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯგუფები ნაწილობრივ მაინც გამოასწორებენ აღნიშნულ დეფექტებს.

ნ—ი.

ა.-კ. საოლქო კომიტეტში

საშეფო მუშაობის გამოკვლევა

ა.-კ. საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა ახლო მომავალში ჩაატაროს სოფლისა და ქალაქის კავშირის საზ-ბის გამოკვლევა.

გამოკვლევა ჩატარდება მხოლოდ სატახტო ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში (თბილისი, ბაქო, ერივანი, ბათომი, ქუთაისი, ჭიათურა, განჯა; ლენინაკანი; ალავერდი).

გამოკვლევის მიზანია გამოამჟღავნოს, თუ როგორ მუშაობას აწარმოებენ საშეფო საზოგადოებები სოფლად პროლეტარული გავლენის განმტკიცების დარგში, რა დახმარებას უწევენ ისინი სოფლის ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის გარდაქმნას, რამდენად ტარდება პარტიის ძირითადი დირექტივები ამ საზოგადოებების მიერ და სხვ.

გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნულ კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, აგრეთვე ჩატარდება სათანადო კამპანია პრესის საშუალებით.

კომკავშირში

ყურადღება მოჯამაგირე ახალ გაზრდობას

საქ. ლენინური კომკავშირი გადაიქცა მასიურ პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს. 1928 წ. 1 აპრ. კომკავშირში ირიცხება 76.459 კაცი. უკანასკნელ ხანებში, ე. ი. მე-9 ყრილობიდან, ჩვენს ორგანიზაციას ეტყობა ზრდის ტემპის ნაწილობრივი შენელება, რაიც გამოწვეულია ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგებით.

კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები შემდგომ ზრდას უფრო მეტი დაკვირვებით ეკიდებიან, ეს სიფრთხილე გამომდინარეობს პროლეტარულ ბირთვის გაზრდის მოსაზრებიდან. ეს აღნიშნა, როგორც მე-9-რე ყრილობამ, ისე ცეკას ეხლახან დამთავრებულმა პლენუმმა.

კომკავშირის ნაკლოვანებებში უმთავრესია მოჯამაგირეთა შორის მუშაობის სისუსტე.

თუ ქალაქად ჩვენი ლოზუნგია მუშათა ახალგაზრდობის 100 პროცენტით ჩაბმა კავშირში, სოფლად ლოზუნგად უნდა გვქონდეს მოჯამაგირე ახალგაზრდობის დაპყრობა. ეს ლოზუნგი კომკავშირმა უნდა განახორციელოს.

საქართველოში, მიწა-ტყის კავშირის უკანასკნელი ცნობებით, 5.000-ი მოჯამაგირეა. რასაკვირველია ამ რიცხვში შედიან მხოლოდ ის მოჯამაგირეები, რომლებსაც დამქირავებელთან დადებული აქვთ ხელშეკრულება და მიწა-ტყის ადგილობრივ ორგანიზაციების აღრიცხვაზე იმყოფებიან. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ციფრი არ არის ზუსტი. ჩვენში კიდევ ბევრია აღრიცხვაზე აუყვანელი მოჯამაგირე, ბევრ მათგანს დამქირავებელი „შვილობილადაც" კი ნათლავს.

თუ დავეყრდნობით ადგილებიდან მიღებულ ცნობებს, შეიძლება ვსთქვათ, რომ საქართველოში კომკავშირის ასაკის მოჯამაგირე 12.000-მდე იქნება. ჩვენი ორგანიზაციის რიგებში კი მათი რაოდენობას უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული. ამ ფაქტის ნათელსაყოფად საკმარისია ავიღოთ სამი მაზრა: ქუთაისი, გორი და სიღნაღი. ამ მაზრებში მოჯამაგირეთა რაოდენობა დიდია, კომკავშირში კი ირიცხება: ქუთაისში—191 კაცი, სიღნაღში—181, გორში—246 კაცი. სულ საქართველოს მასშტაბით გვყავს 2.472 კომკავშირელი მოჯამაგირე, (ორგანიზაციის 3,4 პროც.).

კომკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მასიურ-ეკონომიური მუშაობის წარმოებას მოჯამაგირეთა შორის. არ არის საკმარისი მოჯამაგირის ათასში ერთხელ მოწვევა კრებაზე, ის უნდა ჩავაბათ სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამასთანავე საჭიროა მოჯამაგირეთა ეკონომიური ინტერესების დაცვა. დამქირავებელთა უკანონოდ მოქმედებას კომკავშირი, ადგილობრივ ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ, სასამართლოს საშუალებით სასტიკად უნდა დაისაჯონ ის კულაკები, რომლებიც ცუდათ ეპყრობიან მოჯამაგირეებს და არღვევენ მათ შრომის პირობებს.

უდავოა, რომ მოჯამაგირეთა დიდი რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარია. მათი სავსებით ჩაბმა სალიკვიდაციო სკოლებში რასაკვირველია, არ არის შესაძლებელი. საჭიროა კომკავშირის უჯრედებმა მიიმაგრონ მოჯამაგირეებზე თავისი წევრები. ამ უკანასკნელთ უნდა დაევალოთ შეასწავლონ მოჯამაგირეებს წერა-კითხვა და სისტემატიურად გააცნონ მათ ჩვენი კავშირის ამოცანები, პარტიის ხაზი, ყოველივე ეს უნდა სწარმოებდეს ელემენტარულ ფორმებში საუბრების სახით. მიმაგრებულმა კომკავშირელმა თვალყური უნდა ადევნოს თუ როგორ ექცევა მოჯამაგირეს დამქირავებელი. ამ მუშაობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ზაფხულში, ჩვენმა ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს ეს პერიოდი.

ვა—და.

საბჭოთა საქართველო

მორიგი მიღწევა სამეურნეო ფრონტზე

ამ დღეებში ქ. ხონში გაიხსნა ამხ. მ. კახიანის სახელობის ძაფსალები ფაბრიკა.

ფაბრიკის გახსნას დაესწრენ ამხ. ფილიპე მახარაძე, ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლვამიჩავა და სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. ა. კეკელია.

ამხ ფილიპემ საზეიმო კრებას მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის სიძნელენი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აუცილებელია სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური დონის აწევა.

„ჩვენ ბევრი გვაქვს ნედლი მასალა— სთქვა ამხ. ფილიპემ, — საჭიროა ეს მასალა ჩვენშივე მუშავდებოდეს. მეაბრეშუმეობაში ასეთი მდგომარეობა თითქმის მიღწეულია.

მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგები ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.

ჩვენ სოფლად უნდა გამოვიყენოთ მანქანა ამ საქმისათვის კი საჭიროა ხელი შევუწყოთ გლეხობის შეკავშირებას კოოპერაციაში, რადგან ცალკე მეურნეობებს არ შეუძლიათ მსხვილი სასოფლო - სამეურნეო მანქანაიარაღების შეძენა.

სოციალისტურ მშენებლობას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლება, ბევრი კონტრ-რევოლიუციონერი სპეციალისტი ბორკილად იყენებს ჩვენს ნდობას. ცდილობს ხელი შეუშალოს საბჭ. კავშირის სამეურნეო ძლიერების ზრდას. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც წინ მივიწევთ. ჩვენ არ დავკმაყოფილდებით მარტო ამ ქარხნის გახსნით, მე იმედი მაქვს ახლო მომავალში ვიზეიმებთ კიდევ ახალი და ახალი წარმოებების აგებას".

ამხ. ფ. მახარაძის შემდეგ მაზრის აღმასკომის სახელით გამოვიდა ამხ. კაკაბაძე. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

სიტყვების დამთავრების შემდეგ წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები.

დასასრულ ამხ. ფილიპე მახარაძე გაემართა ქარხნის დასათვალიერებლად. კარებში მას შეხვდა ფაბრიკის მშენებელი ინჟ. გიორგობიანი და გადასცა მაკრატელი ამხ. ფილიპემ თავისი ხელით გასჭრა წითელი ლენტი, რომელიც გაბმული იყო კარებში და დაწვრილებით დაათვალიერა ქარხნის ყველა განყოფილებები.

უკან დაბრუნებისას მუშა - ქალმა, კვიცარიძემ ამხ. მახარაძეს გადასცა ერთი შეკვრა ძაფი ზეიმის აღსანიშნავად.

ო. ფაღავა.

ხონის ახალი ძაფსალებავი ქარხანა

ვიყენებთ „მკვდარ" ქონებას

(წითელ ქალაქი. გორის მაზრა)

დაბა წითელ ქალაქში არსებობდა ერთი ძველი საყდარი, რომელიც 18 წლის განმავლობაში დაუქმებული იყო. ეკლესიის კედლებიდან ქვები ცვიოდა, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა იქვე გვერდით საავადმყოფოში მოსულ გლეხობისათვის და ოთხ-წლედის მოწაფეებისათვის.

ამ სანაგვედ ქცეულ საყდრის დანგრევას ბევრჯერ ცდილობდა ადგილობრივი გლეხობა, მაგრამ ტეხნიკოსები — 5.000 მან. მოითხოვდენ. აღმასკომს ამდენი არ შეეძლო და ეკლესიის მასალა ისევ ძველებურად რჩებოდა გამოუყენებელი.

მიმდინარე წელს თემ-აღმასკომში გამოცხადდა 6 გლეხი სოფ. გარიყულიდან, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ, ინჟენერის დაუხმარებლად, ეკისრათ ამ ეკლესიის დანგრევა, თუ მათ მისცემდენ ნანგრევ მასალის ნახევარს. თემაღმასკომი დათანხმდა და აღნიშნულ გლეხებთან დასდო შესაფერი ხელშეკრულება.

წითელ ქალაქის ზოგიერთი მორწმუნე მცხოვრებლები გაკვირვებით უცქეროდენ, როცა გლეხები უშიშრად ავიდენ ეკლესიის გუმბათზე. ეგონათ აუცილებლად რაიმე მარცხი იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 5—6 დღის განმავლობაში ეკლესიას ორივე გუმბათი მოშორდა, გლეხები კი უვნებლად გადარჩენ.

საყდრის დანგრევა მალე დასრულდება და გლეხებს საშუალება მიეცემათ გამოიყენონ ეს მასალა სხვადასხვა საჭიროებისათვის.

ო. მ.

ლეჩხუმის გზის შესახებ

(წერილი ხონიდან)

ლეჩხუმის მოსახლეობის ერთი ნაწილი (ზოგ-ოყურეშის რაიონი) საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდა უგზოობის გამო. ამჟამად ხელისუფლებამ გადადგა ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი ნაბიჯი: დაიწყო გზის გაყვანა ბუმბულის ხიდიდან ცაგერამდე. მაგრამ სამწუხარო იქნება, თუ ეს გზა არ იქნა ისე გაყვანილი, როგორც ესაჭიროება მოსახლეობის უმრავლესობას.

ამას წინად „კომუნისტში" გ. ჩიხლაძე სწერდა, რომ გზა თუ გორდისა და კიჩხის თემებს არ გაივლის ს. ბოროწინით არ გადავა ლეჩხუმში ისე მოსახლეობისათვის გამოუსადეგარი იქნებაო.

ეს მტკიცება არ არის სწორი. ლეჩხუმის გლეხობას გზა ესაჭიროება ზამთრობით, როცა ის თავის ნაწარმოებს მოეზიდება ხონსაკენ. ზამთრობით კი ჩიხლაძის ვარიანტით გაყვანილი გზა დაკეტილი იქნება, რადგან ბოროწინის მაღალ მწვერვალზე საჟენზედ ნაკლები თოვლი არ მოდის.

მეორე ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებს გზის გაყვანას მდ. ცხენი-წყლის გასწვრივ, დიდი უპირატესობა აქვს. ზამთარში აქ თოვლი ორ დღესაც ვერ სძლებს. მართალია ეს ვარიანტი ხიდების და ბოგირების აუცილებლობის გამო ცოტა მეტი დაჯდება, მაგრამ სამაგიეროდ გზა მთელი წლობით იმუშავებს.

ამას გარდა ცხენის-წყლის ნაპირებზედ უხვად მოიპოვება საუკეთესო ხარისხის ბარიტით მდიდარი ადგილები. გზის გაყვანა ამ წარმოებასაც გამოაცოცხლებს.

დ. არჯევანიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **ახალი ელსადგური.** ფოთში დამთავრდა ახალი 200 ცხენის ძალიან ელსადგურის აგება. სადგურის მოწყობა დაჯდა 82.726 მანეთი.

— **დახმარება უმწეო ბავშვებს.** თელავის მაზრაღმასკომთან დაარსდა უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია.

— **ბაზრობა.** სოფ. ორპირში (ქუთ. მაზ.) შემოღებულია იქნა ბაზრობა, რომელიც ეწყობა ოთხშაბათობით.

— **რკამიტის ქარხანა.** გორის მაზრის ალის თემში აგებული იქნა კრამიტის ქარხანა.

— **წისქვილი.** ფოთის აღმასკომმა მოაწყო წისქვილი, რომელიც მუშაობს ელექტრონის ძალით.

— თელავის ძაფ-სახვევ ქარხანასთან მოეწყო ძუძუ-მწოვარ ბავშვთა ბაგა.

— **საბეითლო ამბულატორია.** ქ. გორში გაიხსნა საბეითლო ამბულატორია დიაგნოსტიური კაბინეტით.

— **ჭაობების ამოშრობა.** ზუგდიდის აღმასკომმა დაამთავრა მდ. ჩხოუშის ახლო მდებარე ჭაობების ამოშრობა.

— **ჩაის მეურნეთა კოლექტივი.** სენაკის მაზრაში წელს დაარსდა ჩაის მეურნე გლეხების 7 კოლექტივი.

— **სამკითხველო.** სოფ. მანდიკორში (ქუთ. მაზრ.) გაიხსნა სამკითხველო.

— **რადიო.** ზუგდიდში მოეწყო რადიო-მიმღები სადგური.

— **ქალთა კოლექტივი.** დვაბზუს თემში (ოზურ. მაზრ.) დაარსდა გლეხ-ქალთა კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებულია 15 წევრი.

მუშათა ცხოვრება

ყურადღება მივაქციოთ

წარმოებებში მუშაობის გაუმჯობესება და მუშის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, დიდათ არის დამოკიდებული სანიტარულ ჰიგიენის პირობების დაცვაზე. ამ ხრივ ადგილობრივი პროფორგანოები და შრომის დაცვის ინსპექტორები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. ყველა საამქროებში და განყოფილებებში დაცულია ყოველგვარი სანიტარული პირობები; არსებობს ნადუღი წყალი, მოწყობილია პირსაბანები და სხვა.

მაგრამ ზოგიერთ წარმოებაში სანიტარულ პირობების დაცვის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. არ კმარა მარტო პირსაბანების მოწყობა, ხელსაწმენდების ჩამოკიდება და სხვა ასეთი წვრილმანი საკითხების მოწესრიგება. სანიტარულ პირობების დასაცავად უფრო სხვა ცოტათ თუ ბევრად რთული საკითხებია მოსაგვარებელი.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება სანიტარულ პირობების დაცვის საქმეში, ეს არის საამქროებში სამუშაო დაზგების გეგმიანათ მოწყობა; ზოგიერთი ფაბრიკის, ან ქარხნის ამა თუ იმ საამქროში ისეა ერთიმეორეზე მიყრილი დაზგები, რომ ხშირად მუშას თავისუფალი მიბრუნ-მობრუნებაც კი უძნელდება. ასეა, მაგალითად: რკ. გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო საამქროში, არსენალის მექანიკური ქარხნის სხვადასხვა საამქროებში და სხვა. მართალია დაზგების წინ დაგებულია ფიცრის იატაკები, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს არ არის ყველგან და მეორეც დაზგების სიახლოვის გამო. საამქროებში ისეთი მტვერი და ბუღი დგას, რომ ფიცრის იატაკი ბევრს არაფერს შველის. ჰაერის გაწმენდაც, ისეთ დიდ საამქროში, როგორიც არის რკ. გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო საამქრო, ამჟამად არსებულ ვენტილიაციით შეუძლებელია.

ასეთი შემთხვევები დაგზებისა უმთავრესად შენობების სიპატარავით არის გამოწვეული. საჭიროა ამ შენობების გაფართოვება, მაგრამ ეს საერთოდ ჩვენი წარმოების გაფართოებასთან არის დაკავშირებული, რომელსაც სწყვეტენ არა ადგილობრივი ორგანოები, არამედ მრეწველობის უმაღლესი დაწესებულებები. ადგილობრივ შრომის დაცვისა და პროფორგანოებს, შეუძლიათ მხოლოდ მიაღონ ზომები საამქროებში ვენტილიაციის გასაძლიერებლად და დაზგების რაციონალურად მოსაწყობად. დღემდე ამ საკითხს ადგილობრივი ორგანოები ცოტა არ იყოს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სანიტარულ პირობების დასაცავად კი სხვადასხვა წვრილმან საკითხების მოგვარების გარდა აუცილებელი საჭიროა საამქროების ვენტილიაციის გაძლიერება და დაზგების ერთი მეორისაგან საკმაოდ დაშორება.

პროფკავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

რკ. გზელი.

რა გააკეთა ალმასბიურომ

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურო აერთიანებს 7200 სტუდენტს. აქედან 4.000-ზე მეტი ღარიბი სტუდენტია. აღმასბიურომ დღემდე სტიპენდიატთა რიცხვი გაადიდა 500 კაცამდე, ხოლო დანარჩენებს, თითქმის ყოველ დღიურად ეძლევა მატერიალური დახმარება: უფასო სადილი, ფული, წიგნები და სხვ. ყოველდღიურად ღარიბ სტუდენტებს ურიგდებათ 180 უფასო სადილი, 30 მანეთამდე სესხი, აქვთ უფასო მკურნალობა და სხვ. 100 სტუდენტი ჩასახლებულ იქნა ახალ ბინაში. აღმასბიუროს შუამდგომლობით სამსახურში მოწყობილი იქნა 200 სტუდენტი. საანგარიშო პერიოდში აღმასბიურომ „მუშკოოპიდან" მიღებულ 3.599 მანეთით კოოპერატივის წევრად გახადა 550 სტუდენტი სრული პაით—ამასთან ღარიბ სტუდენტობას დაურიგდა 1.500 მეტრი თეთრეული.

რაც შეეხება სტუდენტებისათვის დახმარებას საზაფხულო პერიოდში, აღმასბიურო 40 ავადმყოფ სტუდენტს გზავნის კურორტზე; 14 აბასთუმანში, 21 ცემში და 5 ბორჯომში. მიმდინარე ზაფხულში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, უნივერსიტეტიდან პრაქტიკაზე გაიგზავნა 400 სტუდენტი.

ყველაფერი ეს აღმასბიურომ შესძლო თავისი პატარა სახსრებით, რომელიც სასწ. გადასახადის 10 პროც.-სა და სხვადასხვა შემოწირულებათაგან შესდგება. თბ. აღმასკომმა, საანგარიშო ხნის განმავლობაში აღმასბიუროს გადასცა 5.000 მანეთი. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ — 5.000 მანეთი და მუშკოოპმა 5.500 მანეთი. ამასთან უნივერსიტეტის 10 წ. იუბილესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის გამგეობამ დანიშნა 100 ახალი სტიპენდია.

ასეთია უნივერსიტეტის აღმასბიუროს მუშაობა გასული სასწავლო წლის პერიოდში.

მეთვალყურე.

მეორე თუთუნის ქარხანა არ უნდა დაიკეტოს

წარმოების კონცენტრაციის მიზნით, საქართველოს თამბაქოს ტრესტი საჭიროდ სთვლის მესამე თამბაქოს მეორე ქარხანასთან გაერთიანებას. ამით ქარხანა დაზოგავს წლიწადში 27875 მანეთს, მაგრამ მესამე ქარხნის მესვეურები ამტკიცებენ, რომ უკეთესია მეორე ქარხნის დახურვა, რადგან მათი აზრით მესამე ქარხანა, როგორც ადგილმდებარეობით, ისე ტეხნიკური მოწყობილობითაც უკეთესია. ეს რასაკვირველია არ არის მართალი: მეორე ქარხანა ბევრად უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე მესამე. ამას მოწმობს ის, რომ მეორე ქარხანა ყოველ თვიურად ამზადებს 70 მილიონ პაპიროსს. მესამე კი 30 მილიონს.

გარდა ამისა მესამე ქარხანა ვერ დაიტევს მეორე ქარხნის მუშებს, რისთვისაც საჭირო იქნება აგრეთვე სასადილოს და საბავშვო ბაგის მოწყობა, რასაც დასჭირდება არანაკლებ 50.000 მანეთისა. ამასთანავე ახლად უნდა მოეწყოს ტვირთის ამწევი ორი მანქანა, რომლის ღირებულება უდრის 6.000 მანეთს. უნდა მოეწყოს ახალი ვენტილიაცია, რომელიც დაჯდება 5.000 მან. უნდა გადაკეთდეს ელექტრო - სადგური, რომელსაც მოუნდება აგრეთვე 20.000 მანეთამდე და სხვა. ყველაფერი ეს კი მეორე ქარხანაში უკვე მოწყობილია და შენობაც საკმაოდ დიდია. ასე, რომ მეორე ქარხნის დახურვით არამც თუ შევამცირებთ ხარჯებს, არამედ პირიქით გავადიდებთ კიდეც.

გარდა ამისა ვიდრე მესამე ქარხანა, მოეწყობოდეს ისე, რომ მეორე ქარხნის მუშები მოთავსდნენ, საჭირო იქნება ორი თვე მაინც. ეს კი გამოიწვევს ნაწარმოების ბაზარზე შემცირებას და ამავე დროს ზედმეტ ხარჯებსაც, რადგან ტრესტმა მუშებს უნდა აძლიოს გაცდენილი დღეების ხელფასი არა ნაკლებ 45.000 მანეთის რაოდენობით. მესამე ქარხნის მეორესთან გაერთიანება კი არავითარ ხარჯებს არ გამოიწვევს გარდა იმისა, რომ საჭირო იქნება მხოლოდ ერთი დასაჭრელი მანქანის გადმოტანა, რაც მაინცა და მაინც იმდენ ხარჯებს არ მოითხოვს.

ვფიქრობთ ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილი კომისია მხედველობაში მიიღებს ორივე ქარხნის მოწყობილობას და დახურავს იმ ქარხანას, რომელიც მართლაც შეამცირებს ხარჯებს.

მუშ. ალ. გ—შვილი.

საქმის გაჭიანურება ხელს უშლის მუშაობას

თბ. დეპოს ადგილკომის წევრთა სხდომაზე, დეპოს შემფ. საკონფლიქტო კომისიის და საწარმოო თათბირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზაკომოლდინმა, რომელმაც გააცნო პროფაქტივს საკონფ. კომისიის და საწ. თათბირის მუშაობა და აღნიშნა მუშაობის როგორც ნაკლი, ისე შემფ. საკ. კომი-

მომხსენებლის სიტყვით შემფ. საკ. კომისიას, 6 თვის განმავლობაში ჰქონია 30 სხდომა და გაურჩევია 108 საკითხი. გარჩეულ საკითხებიდან მუშების სასარგებლოდ გადასწყდა მხოლოდ 46. ადმინისტრაციის სასარგებლოდ კი 26. დანარჩენ საკითხებიდან 19 საქმე გადაგზავნილია მომრიგებელ კამერაში და 27 საქმე კი მხარეების მორიგების გამო მოსპობილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციას მიერ კოლექტ. ხელშეკრულების დარღვევას ძალიან ხშირად აქვს ადგილი. ამიტომ ყველა საკითხი, რომელიც კი შეეხებოდა ზედმეტ საათების ჯილდოს და საერთოდ კოლხელშეკრულების დარღვევას, მუშების სასარგებლოდ სწყდებოდა. გარდა ამისა მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მომრიგებელ კამერაში გადაგზავნილ საქმეების განხილვა ძალიან ჭიანურდება. სამი თვის წინად გადაგზავნილი საქმე, ჯერაც არ არის განხილული. ეს კი საგრძნობლად აფერხებს შრ. საკონფ. კომისიის ნაყოფიერ მუშაობას. შრომის ინსპექტორმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

საწარმოო კომისიის და თათბირის მუშაობის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ მუშების მიერ წამოყენებულ 15 საკითხიდან ცხოვრებაში გატარდა მხოლოდ ორი. გარდა ამისა 23 საკითხი კომისიის მიერაა წამოყენებული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გატარებულა. უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაცია თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს საწარმოო თათბირის დადგენილებებს. იგი არ აწარმოებს აღრიცხვას არც საწ. თათბირის წინადადებებისას და არც ამ წინადადებებით გამოწვეულ ეკონომიას.

აქვს ადგილი აგრეთვე მუშების წინადადებების განხილვის გაჭიანურებას; იყო შემთხვევა, როდესაც საწარმოო თათბირის მიერ გადაგზავნილი მუშის წინადადება ადმინისტრაცია, იმის მაგიერ, რომ გადაეცა გამოგონებათა გამოკვლევ საგზაო კომისიისათვის განსახილველად, უკან გამოგზავნა.

ადმინისტრაციის ასეთი უყურადღებობა აფერხებს საწარმოო თათბირის მუშაობას. საგზაო კომიტეტმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ფსორელი.

20-პროცენტიანი შემცირება სუსტად ჩატარდა

სად. ნავთლუღის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე, სალიანდაგო დარგის მე-7-ე უბნის ადმინ. სტრატიულ-ტეხნიკური ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ მოხსენება გააკეთა უბნის უფროსის თანაშემწემ ამხ. ხუნდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარჯები, 20 პროც. მაგიერ შემცირებულ იქმნა მხოლოდ 17 პროც.; ჩატარდა შემცირება ტეხნიკური მომუშავეების, უბნის ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად. მიმდინარე წლის ბიუჯეტი გამოიხატებოდა 45.117 მანეთში, მაგრამ ეს თანხა დახარჯული იქნა მხოლოდ ნახევარ წელიწადში მეორე ნახევარ წლისათვის კი გადახარჯული იქნა ბიუჯეტის 50 პროც. მომხსენებლის სიტყვით კრედიტი, რომელიც გადადებულია უბნისთვის, ძალიან ცოტაა, რის გამო მუშაობა სასურველად ვერ მიმდინარეობს.

ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა მუშგლეხინის წარმომადგენელმა ამხ. ეზიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თითქმის ყველა უბნებში, სადაც კი მან ჩაატარა გამოკვლევები, უნუგეშო მდგომარეობაა. ყველგან ხარჯების შემცირების მაგიერ გადანახარჯები აღმოჩნდა. ასე, რომ რკინის გზა ყოველთვის და ყოველგან დეფიციტს იძლევა. გადანახარჯებს ყველა დარგში აქვს ადგილი, მაგრამ მაინც რამდენიმე წლის განმავლობაში ამ.-კავკ. რკ. გზებზე სრულიად არ გამოცვლილა შპალები, რის გამოც მოძრაობას საშიშ მდგომარეობაში აყენებს. რკ. გზებზე ჯერ კიდევ ბევრნი არიან ისეთი სპეცები, რომელიც საქმეს ზერელედ უყურებენ და მარტო მიწერ-მოწერით კმაყოფილდებიან. ასეთ სპეცებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 მეტმა მუშა-მოსამსახურემ. ორატორები უმთავრესად აღნიშნავდნენ სამუშაო იარაღის ნაკლებობას და ბევრის უქონლობასაც, რის გამო მუშაობა ვერა სდგას სასურველ დონეზე. გარდა ამისა თვით კრიტიკა ძალიან ცუდ პირობებში მიმდინარეობს. კრიტიკოსების წინააღმდეგ ადმინისტრაცია დევნას აწარმოებს. ბევრ შემთხვევაში ადმინისტრაცია ძალიან უგეგმოდ მუშაობს. მაგ. მე-300-ე ვერსზე ლანქერმა და თოვლმა წალეკა რკინის გზა, რის გამო შეწყდა მუშაობაც და მოძრაობაც, რკ. გზამ საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა გზის გასაწმენდათ. ამაში კი დამნაშავე ადმინისტრაციაა, შესაძლებელი იყო წინდაწინვე შესაფერ ზომების მიღება და ამ ზარალის თავიდან აცილება, მაგრამ ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია.

დასასრულ კრებამ სალიანდაგო დარგში ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ხარჯების 20 პროც. შემცირება სცნო სუსტად და მისცა მრავალი პრაქტიკული წინადადებები შემდგომ მუშაობისათვის.

მელ. რჩეულიშვილი.

კმარა კინკლაობა

(მთ. სახელოსნო)

მთავარ სახელოსნოების საიარაღო საამქროს ნაწარმოები, რომ 90 პროც. უვარგისია, ეს ყველამ იცის. ეს საკითხი ყოველ საწარმოო თათბირზე დეტალურად ირჩევა სხვადასხვა იარაღის ცალკე შეფასება და მისი უვარგისობის მხრივ. საიარაღო საამქროს მიერ გამოშვებული იარაღი დამწვარია. უსწორ-მასწორო და დამახინჯებულია. ყველაფერი ეს ხელოსნების დაუდევრობითა და რაც მთავარია საამქროს ადმინისტრაციის უყურადღებობით არის გამოწვეული.

ერთი წლის კვლევა-ძიების შემდეგ დამტკიცდა, რომ საიარაღო საამქრო საგრძნობლად მოიკოჭლებს. სახელოსნოების ცენტრალურმა საწარმოო კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა საიარაღო საგამომცემლო საქმიანობა და დაადგინა, რათა საიარაღო საგამომცემლო, გამოყოფილი იქნეს საამქროდან ერთ ადმინისტრატიულ ერთეულად, რაც ძლიერ ხელს შეუწყობს იარაღის ბრუნვას და მის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ დადგენილებას ეწინააღმდეგება საიარაღო საამქროს გამგე მოქ. გნოევოი თავის ხელოსნებით. მან შექმნა მთელი ჯგუფი და მოამზადა საიარაღო საამქროს მუშები ამ საკითხის მისაჩქმალავად. 4 ივლისს, საამქროს საწარმოო ქვე-კომისიის სხდომაზე, გნოევოი იერიშით გამოვიდა საიარაღო საგამომცემლოს საამქროდან გამოყოფის წინააღმდეგ.

ეხლანდელი დამზადებული იარაღი, მთლიანად უვარგისია. საგამომცემლოდან შესაკეთებლად გაგზავნილი იარაღი, საამქროში ისევ უვარგისად ბრუნდება. მოქ. გნოევოი არ უწევს ანგარიშს იმას, რომ მის მიერ გამოშვებული იარაღი უვარგისია და ერთი ხუთად აწვება წარმოებას. აქედან ნათლად სჩანს, რომ მთავარ სახელოსნოების საიარაღო საამქრო არ დგას თავის სიმაღლეზე. ყველაფერი ეს სწორედ და მიუდგომლად გამოიკვლია საწარმოო კომისიამ და სათანადო დასკვნაც გამოიტანა.

კმარა კინკლაობა. წარმოების გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვენ სად და სწორ იარაღის გამოშვებას. მთავარ სახელოსნოების ცენტრალურმა საწარმოო კომისიამ უნდა მოიყვანოს მისი დადგენილება სისრულეში და იხსნას წარმოება ყოველდღიურ დეფიციტიდან.

ნა—გერ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ატმოსფერულ ელექტრობის დამორჩილება და გამოყენება

(კეჯის გამოგონების და გერმანელ ფიზიკოსთა ცდების გამო)

ელექტრობის არსებობა ატმოსფერაში დამტკიცებული იქნა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ბ. ფრანკლინის, მონიეს, დელიბარის და სხვათა ცდებით და გამოკვლევებით.

ელექტრობის წარმოშობას ატმოსფერაში ხსნიან ჰაერის ნაწილების ერთის მხრივ ურთიერთ შორის და მეორე მხრივ ჰაერის და დედამიწის ზედაპირის შორის წარმოშობილ ხახუნის, მზის ულტრა იისფერ სხივების, რადიოაქტიურ ნივთიერებათა, ჰაერში მყოფ სინესტის ორთქლებისა და შესქელების და სხვა მოვლენათა გავლენით. დიდი რაოდენობით დაგროვილი ატმოსფერული ელექტრობა განლახავს რა ჰაერის ელგამტარებლობის წინააღმდეგობას, თავს იჩენს გრგვინვის, ელვის, ე. წ. ელექტრო ნათების, ჩრდილოეთის ნათების და სხვა სახით. უკანასკნელი დროის გამოკვლევა-გაზომილობანი გვეუბნება, რომ ატმოსფერულ ელექტრობის ძაბვა მატულობს სიმაღლესთან ერთად. ლინკეს გამოანგარიშებით 1500 მეტრის სიმაღლეზე ატმოსფერულ ელექტრობის ძაბვა უდრის 120.000 ვოლტს, 4000 მეტრის სიმაღლეზე — 165.000 ვოლტს. 8000 მეტრის სიმაღლეზე — 190.000 ვოლტს.

ასეთია ატმოსფერულ ელექტრობის ძაბვა ნორმალურ პირობებში. გაცილებით მეტია ის ელვა-ქუხილის დროს.

ატმოსფერული ელექტრობის განსაზღვრული ძაბვის დროს ელდაცლა ღებულობს ნელი, თანდათანობითი ხასიათს, მაშინ საქმე გვაქვს არა ელვა-ქუხილთან, რომელსაც დიდი უბედურება სდევს თან, არამედ ე. წ. ელექტრონის წყნარ დაცლასთან.

ძველათ ატმოსფერულ ელექტრობის მოვლენებს „ღვთის განგებათ" ხსნიდენ მიუხედავათ ამისა, ზოგიერთ ცნობების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ძველათაც არსებულა ჭეშმარიტ შეხედულების ჩანასახი. მხედველობაში გვაქვს ძველათ არსებული მეხამრიდების მაგვარი მოწყობილობანი.

ძველ ეგვიპტელთა ტაძრების შესავალში დადგმული ყოფილა მაღალი კოშკები და უკანასკნელებზე რამდენიმე ათეულ მეტრის სიმაღლე სვეტები. ერთ-ერთი წარწერა ამ კოშკების დანიშნულების შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: „ეს ღმერთ ედფუს დიადი კოშკია გორას (ეგვიპტელების ღმერთი) ბრწყინვალე ტახტის წინ აღმართული. რიყვილ - რიყვილად დადგმული სვეტები იმისათვისაა, რომ მათ ცის სივრცეში გაჰკვეთონ ელვა და მეხი".

მსგავსი მოწყობილობანი ყოფილა არა მარტო ეგვიპტეში არამედ რომშიაც. არის ცნობა, რომ მეხამრიდებით სარგებლობდენ ძველათ ინდოელნიც და დასავლეთ ევროპაში კარლოს დიდის დროს მინდვრებში სჩვეოდნიათ მაღალ სარების დასმა, რაც შემდეგ თვით კარლოსს აუკრძალავს, როგორც „ცრუ მორწმუნეობა".

ფრანკლინის მიერ 1760 წელს მეხამრიდის გამოგონებამდე ატმოსფერულ ელექტრობას ადამიანისათვის დიდი უბედურება მოჰქონდა. ელვა - მეხის გამანადგურებელმა ძალამ ვინ იცის რამდენი ადამიანის და ცხოველის სიცოცხლე შეიწირა, რამდენი მატერიალური ღირებულება გაანადგურა.

1769 წელს ინგლისში მეხის დაცემამ გამოიწვია თოფის წამლის საწყობის აფეთქება. აფეთქების დროს დაიღუპა 3000 კაცი. 1743 წელს იმავე მიზეზით აფეთქდა 90 ზარბაზნიანი ინგლისის სამხედრო გემი. მეხის მსხვერპლი გახდა აგრეთვე პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის თანამშრომელი პროფესორი რიხმანი 1753 წელს.

ფრანკლინის გამოგონებამ დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ ლოსანჟელოსელ ფიზიკოსის **ჯონ კეჯის** მიერ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოგონილი მოწყობილობა კიდევ მეტ მიღწევას წარმოადგენს ბუნების მრისხანე მოვლენის დამორჩილების საქმეში. თუ ფრანკლინის გამოგონების დანიშნულება ისაა, რომ ელვა ასე ვსთქვათ „დაიჭიროს" და ელექტრობა ადამიანისათვის უვნებლათ გადიყვანოს დედამიწაში, **კეჯის გამოგონებით ელვას და მეხს სრულიად აღარ ექნება ადგილი იქ, სადაც დადგმული იქნება კეჯის მოწყობილობა.**

კეჯის მოწყობილობა შესდგება მთელ რიგ ფოლადის სვეტების ანუ კოშკებისაგან, რომლებიც დადგმულია დასაცავ ადგილის ირგვლივ. სვეტებზე დაკიდებული მავთულის ხაზი ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჰქმნის რგოლს. სვეტებს ზემოდან აქვთ გაკეთებული წვეტები, საიდანაც ხდება ელექტრობის ნელი დაცლა ისე, როგორსაც ადგილი აქვს ზემონახსენებ ნელი ელექტრო დაცლა - ნათების დროს, რომელსაც წინად „წმინდა" ელმის ცეცხლებს ეძახდენ ახლა კი ცნობილია „ელექტრო გვირგვინის" სახელწოდებით.

კეჯის მოწყობილობაში დედამიწის უარყოფითი ელექტრო-ტვირთი წვეტების საშუალებით გადადის რა ატმოსფერაში, იწვევს ღრუბლების ნეიტრალიზაციას, რითაც უეცარ და ძლიერ ელექტრო-დაცლას სრულიად აღარ ექნება ადგილი.

კეჯის გამოგონებით ძლიერ დაინტერესდენ და სათანადო ცდების შემდეგ ამერიკის ნავთის ერთ-ერთმა ფირმამ, კეჯის მოწყობილობა გააკეთა ნავთის ვეებერთელა საწყობების დასაცავად. აქვე მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია კეჯის მოწყობილობით დაცული ნავთის ღია ვეებერთელა აუზები კალიფორნიაში.



ნავთსაცავ აუზების დაცვა კეჯის დადგმულობით კალიფორნიაში

თავისთავად ცხადია, რომ ადამიანი არ დაკმაყოფილდა ატმოსფერულ ელექტრობას მხოლოდ შესწავლით და დამორჩილებით. სათბობ მასალის გამოლევის და აქედან გამომდინარე ენერგეტიულ კრიზისის შიშმა ადამიანი ადრე დააფიქრა ენერგიის ახალ წყაროთა გამოძებნის საშუალებაზე. ამ მიზნით არა ერთი და ორი გამომგონებელი ცდილა კაცობრიობის გაბედნიერებას ატმოსფერულ ელექტრობის გამოყენებით, მაგრამ დღემდე ყველა ცდები უშედეგოთ თავდება თანამედროვე ცოდნის და ტეხნიკისათვის დაუძლეველ დაბრკოლებათა გამო. ატმოსფერულ ელექტრობის ენერგიის სამრეწველო მიზნებისათვის გამოყენების საქმეში ყველაზე უფრო აღსანიშნავია გერმანელ **პლაუსონის** ცდები. ატმოსფერულ ელექტრობის გამოყენებას ის აპირებდა ჰაერში სათანადო სიმაღლემდე აშვებულ მთელ რიგ დიდი ზედაპირის მქონე მსუბუქ გაზებით სავსე ლითონის ბურთებით, რომელთა ზედაპირზე ელექტრობის დასაგროვებლათ და შემდეგ სადენის საშუალებით დედა მიწაზე გადასატანათ მოწყობილი იქნებოდა მრავალი წვეტები. პლაუსონის გამოანგარიშებით, მისი დადგმულობით გერმანიის ტერიტორიაზე შეიძლებოდა 700 მილ. ცხენის ძალის ენერგიის მოპოება ატმოსფეროდან, მაგრამ მისი პროექტი განუხორციელებელი დარჩა ატმოსფერულ ელექტრობის ბუნების და ტეხნიკურ სიძნელეთა გამო. ენერგიის დაუშრეტელ წყაროს თანამედროვე მეცნიერება ხედავს აგრეთვე ქიმიურ ელემენტების შინაატომიურ ენერგიის გამოყენებაში, რასაც ადგილი აქვს ატომების დაშლის დროს. ასეთ დაშლის დროს გამოყოფილ ენერგიის ზოგიერთი მკვლევარნი მილიარდ კილოგრამომეტრებში გამოხატავენ. მაგ. ინგლისელ ფიზიკოსის **ჯოზეფ ტომსონის** გამოანგარიშებით 1 გრამი რადიუმი, რომლის დაშლას ვხვდებით ბუნებაში, დაშლის დროს გამოყოფს 100 მილიარდ კილოგრამომეტრ ენერგიას, ე. ი. 1 და ერთი მეთხედ მილიარდ ცხ. ძალას. როგორც ვსთქვით, რადიუმის დაშლა სწარმოებს ბუნებაში, მაგრამ დანარჩენ ნივთიერებათა, რომლებიც ისე როგორც რადიუმი დაჯილდოებული არიან რადიოაქტიურ თვისებით, ხელოვნური დაშლა ჯერ ვერ მოხერხდა. ამ მხრივ დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული **როზერფორდის** და უკანასკნელ წლებში მისი ლაბორატორიის თანამშრომელთა — **როდინგის, შალის** და რუს მეცნიერის **კაპიტას** ცდებით წყალბადის ჰელიუმათ გადაქცევაზე. თეორიულად გამოანგარიშებულია, რომ ერთ ჭიქა წყალში დაგროვილი წყალბადის ჰელიუმათ გადაქცევის დროს გამოიყოფა ენერგია რომელიც საკმაოა ოკეანის უდიდეს გემის წასაყვანათ და უკან დასაბრუნებლად ევროპასა და ამერიკას შუა, ზემოაღნიშნულ ცდების საწარმოებლათ კი სხვა სათანადო პირობებთან ერთად საჭიროა რამდენიმე მილიონ ვოლტის ძაბვის ელექტრო-ველების არსებობა, ლაბორატორიაში *) ტრანსფორმატორების საშუალებით ძლიერ დიდ ძაბვის მიღებას ბევრი რამ უშლის ხელს. და შარშან შემდგომამზე გერმანელ ფიზიკოსთა **ბრაშის, ლანგეს და ურბანის** ცდები მაღალ ძაბვის მისაღებათ სრულიათ ახალი და დიდ შესაძლებლობის წინ აყენებს მატერიის და ენერგიის მიღების საქმეს. აღნიშნულმა მეცნიერებმა დიდი ძაბვის მისაღებათ გამოიყენეს ელვა-ქუხილის ენერგია. ელვა-ქუხილის ძლიერ ძაბვის მისაღებათ მოწყობილი დადგმულობა იმდენათ რთული იყო, რომ შარშან დაწყებული მუშაობა დასრულებული იქნა აგვისტოს დამლევს, ე. ი. მაშინ როდესაც ელვა-ქუხილის სეზონმა გაიარა. მიუხედავათ ამისა პირველ ცდების დროს მიღებული იქნა. 1.777.1000 ვოლტის ძაბვა. წელს ცდები გაგრძელებული იქნება და მკვლევართ იმედი აქვთ, რომ მიიღებენ 6—7 მილიონ ვოლტ ძაბვას. ცდებს აწარმოებდენ იტალია-შვეიცარიის საზღვარზე მონტე-ჯენეროზას მთაზე, ქ. ლუგანოს მახლობლათ.

დადგმულობაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი სურათი.



საცდელი დადგმულობა ატმოსფერულ ელექტრობის დასაგროვებლად მონტე-ჯენეროზას ხეობაში

ელექტრობის დასაგროვებლად მთების მწვერვალებს შუა 760 მეტრის სიგრძეზე და 80 მეტრის სიმაღლეზე გაკიდებული იყო რამდენიმე ასეული მეტრის ზედაპირის მქონე მავთულების ბადე წვეტებით. ბადე დაკიდებული იყო ლითონის თოკით. უკანასკნელი მთელ რიგ იზოლიატორებით განმხოლოებული იყო დედამიწიდან. ლითონის მავთულის საშუალებით ატმოსფეროდან დაგროვილი ელექტრობა მიყავდათ მთის ძირში მდგარ საცდელ სადგურში, სადაც ხდებოდა სათანადო გაზომვა და ცდები.

წარსულ წელს მიღებული შედეგი თავდებაა იმისა, რომ წელს მონტაჟენეროზის მთაზე წარმოებული მუშაობა დაგვირგვინდება ადამიანის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებით ბუნებაზე.

კ. ბ—ძე.

---

*) ასეთი პირველი ლაბორატორია დაარსებული იქნა მოსკოვში სახალხო მეურნეობის ინსტიტუტთან სულ ახლო ხანს. ლაბორატორიის აგება სწარმოებდა პროფ. უგრიუმოვის ხელმძღვანელობით. ამ ლაბორატორიაში მიაღება 1 მილიონი ელექტრო ძაბვა. რასაც [illegible] ექნება კავშირის ელექტრო-აღმშენებლობაში.

ორგანოების გადანერგვა

როჩესტერის უნივერსიტეტის (შეერთებული შტატები) ექიმმა კოპენგავერმა ამერიკის ანატომიური საზოგადოების სხდომაზე გააკეთა მოხსენება მის მიერ წარმატებით შესრულებულ ცდებზე, რომელიც მდგომარეობდა ერთი სახის ცხოველის ორგანოების გადანერგვაში მეორე სახის ცხოველისათვის. ექიმმა კოპენგავერმა წმინდა წყალში მცხოვრებ მექსიკის აქსოლოტლის კიდურები და ისეთი ორგანოც კი, როგორიც არის გული, გადაუნერგა ჩვეულებრივ ევროპიულ ტრიტონს. გადანერგილი ორგანოები სწრაფად შეეზარდა ორგანიზმს. მაგრამ შეინარჩუნა იმ ცხოველის თავისებურებანი, რომელსაც იგი ამოაცალეს. ასე მაგალითად, აქსოლოტლის კიდურებმა რომელიც ახალგაზრდა ტრიტონს გადაუნერგეს შეინარჩუნა აქსოლოტლისათვის დამახასიათებელი ფორმა და სიდიდე. აქსოლოტლის გული ტრიტონის ორგანიზმში ფეთქდა აქსოლოტლისათვის დამახასიათებელი რიტმით.

მიწისძვრების წინასწარმეტყველობა

მიწისძვრები, ეჭვს გარეშეა, ყველაზე კატასტროფიულ მოვლენას წარმოადგენენ სტიქიურ უბედურებათა შორის. მართალია, ვულკანური მოვლენებიც დიდ მსხვერპლს იწირავენ. ასე, მაგალითად, ვეზუვის ამოხეთქამ 79 წელს 25.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქები პომპეა და გერკულანუმი გაქრენ დედამიწის პირიდან. მონპელიეში 1902 წ. მომხდარი მიწისძვრის დროს 40.000 კაცი დაიღუპა. მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად ხდება.

სულ სხვა საქმეა მიწისძვრები. 50.000 კაცი დაიღუპა 1775 წელს ქ. ლისაბონში, სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში. მიწისძვრებმა მესსინაში, კალაბრიაში და სიცილიაში 1908 წ. იმსხვერპლა 200.000 კაცი. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ტრაღედია იაპონიის, რომელმაც უკანასკნელი მიწისძვრის დროს დაჰკარგა რამდენიმე ასეული ათასი კაცი.

მაგრამ კაცობრიობა ძალიან ჩქარა ამუშებს ამგვარ წყლულებს. სან-ფრანცისკო, რომელიც 1906 წ. მიწისძვრის შემდეგ ნანგრევებს წარმოადგენდა, ახლა ერთი უმდიდრესი და უდიდესი ქალაქთაგანია. იაპონია დგება ნანგრევებიდან. მესინა-კი, რომელმაც დაივიწყა საშინელი კატასტროფა, კვლავ იზიდავს ტურისტთა არმიებს. ასეთი კატასტროფები-კი პირველად და უკანასკნელად როდი ხდება.

თითქმის ყოველ ორ საათში ჩვენი ობსერვატორიების მგრძნობიარე აპარატები აღნიშნავენ მიწისძვრას დედამიწის რომელიმე კუთხეში. მაგრამ, საბედნიეროთ, ყველა მიწისძვრებს არა აქვს კატასტროფიული ხასიათი. სიძლიერის მიხედვით მიწისძვრები იყოფა 12 კლასად. პირველი კლასის მიწისძვრებს მხოლოდ არაჩვეულებრივად მგრძნობიარე აპარატები აღნიშნავენ. დაბალი კლასების მიწისძვრებს მოსახლეობა, ჩვეულებრივ, ვერც კი ამჩნევს. მხოლოდ დაწყებული მეექვსე კლასიდან, როცა ნიადაგის შერყევა 100 მილიმეტრს აღწევს წამში, მიწისძვრას ყველანი გრძნობენ, თუმცა ასეთი მიწისძვრა კატასტროფიული არ არის. საშიშია მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მიწისძვრები, რომელთაც ვერ უძლებს ვერაფერი: სახლები, ხიდები, ტელეგრაფის მავთულები, რკინისგზები, — ყველაფერი ნადგურდება. მდინარეები და ტბები გადადის ნაპირებიდან. მოულოდნელად ჩნდება ახალი წყალვარდნილები ახალი ტბები.

სეისმოლოგია — მეცნიერება, რომელიც აწარმოებს მიწისძვრების ბუნების, მიწისძვრების კერის მდებარეობისა და წარმოშობის მიზეზების და მიწისძვრის ტალღების გავრცელების შესწავლას, — გვასწავლის ჩვენ, რომ თუ მიწისძვრები პერიოდულად არ მეორდება, მაინც არსებობენ ისეთი რაიონები, სადაც მიწისძვრები ხშირია. ასეთია, პირველყოვლისა, წყნარ ოკეანეს სანაპიროები, ე. ი. ამერიკის დასავლეთ ნაპირები და იაპონია-ავსტრალიის აღმოსავლეთი ნაპირები, კერძოდ-კი იაპონია, ფორმოზა და ახალი ზელანდია. შემდეგ — ხმელთაშუაზღვის სანაპიროები: იტალია, საბერძნეთი, იაპონიის კუნძულები. დაბოლოს, შედარებით ახლად წარმოშობილ მთაგრეხილების (პირენეი, ალპები, ჰიმალაი) მიდამოები.

სეისმოგრაფები მიწისძვრის ტალღებს აღნიშნავენ მხოლოდ მათი წარმოშობის მომენტში. მაგრამ მოგვეპოება თუ არა ჩვენ რამე ნიშნები, რომელთა მიხედვით შეგვეძლია წინასწარ გავიგოთ მოსალოდნელი უბედურების შესახებ?

მიწისძვრის მიზეზები, როგორც ვიცით, მდგომარეობს დედამიწის დიდი ფენების ნელ გადანაცვლებაში გვერდებიდან მოწოლის გამო. ფენა იხრება, სანამ არ ჩავარდება. ამ მომენტში ხდება კატასტროფა. რამდენიმე ხნით ადრე ამ მომენტამდე, იმ ადგილას, რომელსაც ჩავარდნა მოელის, ფენის დახრილობა სწრაფად იცვლის თავის კუთხეს.

ამ დახრილობის გაზომვა შეიძლება გეოდეზიური საშუალებებით. ამრიგად იმ ადგილებში მოწყობილი სამეთვალყურეო სადგურების ქსელი, სადაც ხშირია მიწის ძვრები, მოგვცემდა საშუალებას მიწისძვრების წინასწარმეტყველებისას იმგვარად, რომ ასეთი წინასწარმეტყველება ახლო ყოფილიყო ჭეშმარიტებასთან.

იაპონიაში, 1927 წ. 7 მარტს, ორი საათით ადრე მიწისძვრამდე, შენიშნულ იქნა ზღვის ნაპირის ამაღლება 0,8 მეტრით. ასეთი მოვლენები—დედამიწის ფენების დახრილობის შედეგი,—შეიძლება შენიშნულ იქნეს სპეციალური აპარატების საშუალებით. ეს მეთოდი ამჟამად ფართე მასშტაბით მუშავდება იაპონიაში, რადგან განსაზღვრულ ადგილებში დადგმულ მსგავს აპარატების ჩვენება მიაჩნიათ ყველაზე საიმედო საშუალებათ მოსალოდნელ მიწისძვრის წინასწარ გასაგებათ.

ბ.

დრეზინა-მაშხალის გამოცდა გერმანიაში

გერმანულ ჟურნალ - გაზეთებში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობები გერმანიის საავტომობილო ფირმის — ოპელის მიერ აგებულ დრეზინა - მაშხალის გამოცდის შესახებ. გამოცდა ჩატარდა ბურგვედელში, განოვერის მიდამოებში, სწორხაზოვან რკინისგზაზე — განნოვერი ცელლე. ცდა სწარმოებდა 7 კილომეტრის მანძილზე. ვინაიდან მოსალოდნელი იყო, რომ დრეზინა - მაშხალა დიდ სისწრაფეს განავითარებდა, დრეზინას გაუკეთეს სპეციალური მუხრუჭები - მაშხალები. მამოძრავებელ მაშხალების მოქმედების დასრულების შემდეგ (მეორე კილომეტრზე), ავტომატიურ მოწყობილობას უნდა აემუშავებია მუხრუჭი - მაშხალები, ურომლისოდაც დრეზინას, ინერციის ძალით, შეეძლო ოცი კილომეტრის გავლა.

საცდელ ხაზზე ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე გაბმული იყო ძაფები. დრეზინა გავლის დროს წყვეტდა ამ ძაფებს და ამით მოძრაობაში მოჰყავდა რკინისგზის ხაზის გასწვრივ მოთავსებული ელექტრონის საათები.

ამ მოწყობილობის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა დრეზინის მოძრაობის უალრესად ზუსტად გამორკვევა რკინისგზის ხაზის ცალკე ნაკვეთებზე.

დრეზინის პირველი გამოცდა მოახდინეს მაშხალების შემცირებული რიცხვით და მას არავინ გაჰყოლია. მიუხედავათ ასაფეთქებელი ნივთიერების სიმცირისა, დრეზინამ განავითარა მეტად დიდი სისწრაფე — 250 კილომეტრზე მეტი საათში. პირველი რეისის წარმატებით დასრულების შემდეგ შეუდგნენ უფრო სერიოზულ გამოცდას. ასაფეთქებელი ნივთიერებისა და მაშხალების რიცხვი 4-ჯერ გაადიდეს. დრეზინისათვის მეორე გამოცდის დროსაც არ გაუყოლებიათ კაცი. რკინისგზის ხაზის მიდამოები გასწმინდეს ხალხისაგან, რომელიც 10.000 კაცის რაოდენობით დიდის ინტერესით ადევნებდა თვალს გამოცდას. მეორე გამოცდა მარცხით დასრულდა. როგორც კი აანთეს მაშხალები, საშინელის ძალით აფეთქდა დრეზინაში მოთავსებული ასაფეთქებელი ნივთიერება. ავარდა ალის სვეტი, აფეთქების ძალამ დრეზინა ჰაერში აისროლა და რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე გადააგდო. დრეზინა დამტვრეული აღმოჩნდა.

მიუხედავათ ამ მარცხისა, ცდის ხელმძღვანელები და მთელი რიგი სპეციალისტები ცდების შედეგებს დადებითად აფასებენ. მართლაც, აფეთქება არის შემთხვევითი მოვლენა და სრულიად არ ამტკიცებს დრეზინის კონსტრუქციისა და მისი მოძრაობის წესების უვარგისობას. სპეციალისტების აზრით, აფეთქება მოხდა ერთი მოვლენის ზეგავლენით, რომელიც ცნობილია დეტონაციის სახელწოდებით. ეს მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ასაფეთქებელი ნივთიერებანი მოულოდნელად ფეთქდებიან, როგორც კი მათ ახლო ააფეთქებენ სხვა რომელიმე ნივთიერებას მცირე რაოდენობასაც კი. ამ შემთხვევაში „დეტონატორის" როლი ითამაშა პირველმა მაშხალის ანთებამ. მაგრამ დეტონაციის მოვლენის აცილება თავიდან ადვილი საქმეა. ამისათვის საკმაოა მხოლოდ შესაფერი ასაფეთქებელი ნივთიერების შერჩევა.

პირიქით, სპეციალისტების აზრით, დრეზინის პირველმა რეისმა სავსებით დაამტკიცა მაშხალის სრული ვარგისობა რელსებზე მოძრაობისათვის.

როგორც გაზეთები იუწყებიან, გამომგონებლებს განზრახული აქვთ შეუდგენ ახალი დრეზინის აგებას. ახალი დრეზინის გამოცდა მიმდინარე ზაფხულში მოხდება.

ა. შ.

მაიმუნი „კახაუ"

გერმანიის ერთ-ერთ ზოოლოგიურ ბაღში კუნძულ ბორნეოდან მიიყვანეს იშვიათი ეკზემპლიარი გრძელცხვირა მაიმუნი კახაუსა, რომლის დაჭერა მეტად ძნელია. ამ მაიმუნს ახასიათებს არაჩვეულებრივად გრძელი ცხვირი, რომელიც მას თავისებურ გამომეტყველებას აძლევს და ამსგავსებს ადამიანს, ცოცხალი თვალები კიდევ უფრო აძლიერებს ამ მსგავსებას. თავის ცხვირს კახაუ ხმარობს, როგორც ხორთუმს: ამოძრავებს ზევით და ქვევით, აფართოებს ნესტოებს და იღებს სასაცილო და ამავე დროს არასასიამოვნო გამომეტყველებას.

უმთავრესად მაღალ ხეებზე მცხოვრებ ამ ველური მაიმუნის ცხოვრებისა და ჩვეულებების შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით.

გრძელცხვირა მაიმუნს ძლიერ მოძრავი და შედარებით ლამაზი ტანი აქვს.

მეტეორების სისწრაფე

უახლესი გამოკვლევებით, სისწრაფე, რომლითაც მეტეორები მოძრაობენ დედამიწის ატმოსფეროში, უდრის 52 კილომეტრს წამში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჰაერის წინააღმდეგობა ასუსტებს მეტეორის მოძრაობას, მაშინ გამოვა, რომ მეტეორის მოძრაობის სისწრაფე უჰაერო სივრცეში უდრის 63 კილომეტრს წამში. ეს ორჯერ მეტია იმ სისწრაფესთან შედარებით, რომლითაც დედამიწა მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო.

ბრძოლა ჩრჩილთან

ჩრჩილთან ბრძოლის ჩვეულებრივი საშუალებები ყოველთვის არ აღწევენ მიზანს. მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემუშავდა ჩრჩილთან ბრძოლის რადიკალური საშუალება. ეს საშუალება მდგომარეობს შალის ქსოვილების დამუშავებაში განსაკუთრებული ხსნარით, რომელიც იცავს მას ჩრჩილისაგან, უკვე დიდი ხანია შენიშნულია, რომ ჩრჩილი სრულიად ვერ უძლებს ზოგიერთ სახის საღებავებს და არ ეკარება ასეთი საღებავებით შეღებილ საგნებს. ამ საღებავების ანალიზმა დაამტკიცა, რომ მათში შედის აზოტის მჟავას შენაერთები. ასეთია გავრცელებული ყვითელი საღებავი—პიკრინის სიმჟავე და ზოგიერთი მსგავსი ყვითელი საღებავები. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ეპოვნათ ისეთი ნივთიერება, რომელიც სრულიად ან თითქმის უფერული იქნებოდა და ამავე დროს იმოქმედებდა. როგორც პიკრინის სიმჟავე. რამოდენიმე წლის ცდების შემდეგ მოხერხდა ამოცანის ბრწყინვალედ გადაჭრა. ერთდროულად იპოვეს რამდენიმე შენაერთი, რომლებმაც საერთო სახელწოდებით „ევლან" უკანასკნელ ხანებში ფართე გავრცელება ჰპოვა დასავლეთში. „ევლანები" უფეროულია, მათ არა აქვთ სუნი და უვნებელნი არიან ადამიანისათვის. ჩრჩილისაგან დასაცავად შეკერილ ტანსაცმელს ასველებენ „ევლანში" და აშრობენ, ამრიგად „ევლანი" ადვილად მოსახმარია ოჯახში. უკანასკნელ ხანებში შალეულის დამამზადებელი მთელი რიგი მსხვილი ფირმები ევროპაში თვით გადავიდენ მატერიების გაჟღენთვაზე „ევლანით". ასეთი მატერია გარეგნობითა და თვისებით არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი მატერიისაგან, მაგრამ ჩრჩილი მას არ გაეკარება.

ხორბლის კულტურის გაუმჯობესებათა იტალიაში

იტალიის მთავრობამ დაიწყო კამპანია ხორბლის კულტურის გაუმჯობესების სასარგებლოდ. იმ მეურნეებს, რომლებიც მიაღწევენ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებას, ფულადი ჯილდო მიეცემა.

ყველაზე საინტერესო ცდები ხორბლის კულტურის გაუმჯობესების დარგში ჩაატარეს ბრეშიას პროვინციაში.

ცდებს ახდენდნენ 400 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე, სადაც ზამთრის განმავლობაში მიწას ანოყიერებდნენ აზოტოვან ნივთიერებებით. მთელ რიგ საცდელ ნაკვეთების წინასწარმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ აზოტოვან ნივთიერებებით გაიოყიერებულ თითეულ კვადრატიულ მეტრ მიწაზე, სადაც დათესილ იქნა სპეციალური ჯიშის ხორბალი, მოაგროვეს 350-500 თავთავი და თითეულ თავთავს 45-60 მარცვალი ჰქონდა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

სამხედრო სასწავლებლებში მიღება

ამა წლის სექტემბერში, კურსანტების მიღების დროს სამხედრო სასწავლებლებში, მიღება იწარმოებს არა მარტო ნორმალური სკოლების მოსამზადებელ კლასში, როგორც ეს შარშან იყო, არამედ შემდეგ კლასებშიაც (ქვეითი ჯარის სკოლების უმცროს და უფროს კლასებში და საარტილერიო სკოლების საშუალო და უფროს კლასებში.

ამ კლასებში შეიძლება მიღებულ იქნენ როგორც ერთწლიანები, თადარიგის მეთაურები და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა მუშურ-გლეხური. წითელი არმიის ნაწილებიდან, ისე მოხალისეთა ყველა დანარჩენი კატეგორიის მოხალისეები.

ამ კლასებში შესვლის დროს კურსანტებს წარედგინებათ უფრო დიდი მოთხოვნილებები. ერთწლიანებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, ტეხნიკუმები, მუშფაკები და მეორე საფეხურის სკოლები (ცხრაწლედები) ქვეითი ჯარის სკოლების უფროს კლასში და საარტილერიო სკოლების საშუალო კლასში შესვლის დროს აბარებენ გამოცდას სამხედრო ტოპოგრაფიაში და პოლიტცოდნაში ნორმალური სკოლის მოსამზადებელი და უმცროსი კლასების კურსის მიხედვით (შესავალი, სასკოლო მუშაობა და სკოლის გარეშე პროპაგანდა); საარტილერიო სკოლების უფროს კლასში შესვლის დროს, გარდა ამ საგნებისა, ისინი გამოცდას აბარებენ მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში საარტილერიო სკოლების სამი კლასის კურსის მიხედვით (თუ ერთწლიანებმა დამთავრეს ისეთი სკოლები, რომლებშიაც საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების სწავლება დაყენებულია უფრო მაღლა, ვიდრე ცხრაწლედებში, მაშინ ისინი თავისუფლდებიან გამოცდისაგან მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში).

ყველა დანარჩენი კატეგორიის მოხალისეებმა, რომელთაც უმცროს, საშუალო და უფროს კლასებში შესვლა სურთ, გამოცდები უნდა ჩააბარონ წინა კლასების ყველა საგანში (ე. ი. თუ კანდიდატს ქვეითი ჯარის სკოლის უმცროს კლასში სურს შესვლა მან უნდა ჩააბაროს გამოცდა მოსამზადებელი კლასის ყველა საგანში). თუ ამხანაგმა ვერ ჩააბარა გამოცდა ამა თუ იმ კლასში, მას უფლება ეძლევა ჩააბაროს გამოცდა უფრო დაბალ კლასში.

ასაკის ვადები ერთწლიანებისათვის არ წესდება, დანარჩენ კატეგორიისათვის შესაბამისად დიდდება: უმცროს კლასში შესვლის მსურველი არ უნდა იყოს 19 წელზე უფრო ახალგაზრდა, საშუალო კლასში შესვლის მსურველი —20 წელზე უფრო ახალგაზრდა და უფროს კლასში შესვლის მსურველი— 21 წელზე უფრო ახალგაზრდა.

საექიმო და პოლიტიკური შემოწმებისაგან არავინ არ თავისუფლდება.

აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვნად უმსუბუქებს სამხედრო განათლების მიღებას იმ ამხანაგებს, რომელთაც შედარებით მაღალი სამხედრო მომზადება და საერთო განათლება აქვთ.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ყოველთვის შეიძლება შემვსებ კომისიაში ან უახლოეს სამხედრო სკოლაში.

გ. ორლოვი.

საქართველოს ცაკთან არსებულ კომისიის დადგენილება

სამხედრო სასწავლებლების შემვსებმა კომისიამ, რომელიც საქართველოს ცაკთან არსებობს, დაადგინა 1 აგვისტოდან ჩატარებულ იქნეს სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნთა და მივლინებულთა შეკრების კამპანია.

კომისიის დადგენილებით ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებთან და სამაზრო აღმასკომებთან მოეწყობა სამხედრო სასწავლებლებში კურსანტთა გამგზავნი კომისიები, ამ კომისიებს ევალება თავიანთ სამოქმედო რაიონში სამხედრო სკოლებში გასაგზავნ და მისავლინებელ კანდიდატების შერჩევა და სიების შედგენა.

მათვე ევალება ადგილებზე მოაწყონ სამხედრო სკოლებში გასაგზავნ კანდიდატთა შეკრების კამპანია. კომისიებმა გასაგზავნ და მისავლინებელ კანდიდატთა სიები ცენტრალურ კომისიაში უნდა გადმოაგზავნონ 1 აგვისტომდე.

სამხედრო სკოლებში ახალგაზრდა მუშათა და პარტიულ ახალგაზრდობის მეტი რიცხვის მოზიდვის მიზნით, ადგილობრივ შემკრებ კომისიებს წინადადება ეძლევა მჭიდრო კავშირი იქონიონ პარტორგანიზაციებთან არსებულ ამ კომისიებთან, რომლებიც აწარმოებენ მუშფაკებში, ტეხნიკუმებში და პარტსკოლებში გასაგზავნ კანდიდატთა შერჩევას.

გარდა ამისა ადგილობრივ კომისიებს ევალება კანდიდატების შერჩევა აწარმოოს სამოქალაქო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორისაც.

სამხედრო სასწავლებლებში შემვსებმა ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა:

გაშუქებული იქნეს პრესაში შეკრების კამპანიის მიზნები; როგორც თბილისში, ისე პროვინციაში და ავტონომიურ ერთეულების მსხვილ წარმოებებში მოეწყოს მოხსენებები სამხედრო სკოლებში სწავლისა და შეკრების მნიშვნელობის შესახებ: დაევალოს ავია-ქიმიის საზ-ბას კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ადგილებს მისცეს შესაფერი დირექტივები და მოაწყოს „კურსანტის დღე".

წინადადება მიეცეს პოლიტ-განყოფილებას „კურსანტის დღისათვის" გამოსცეს შესაფერი ფურცლები.

„კურსანტის დღე" მოეწყოს თბილისში, ბათომში, გორში, ქუთაისში და ფოთში.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო კინომრეწველობას გაგზავნოს ადგილებზე უფასოთ საჩვენებლად სურათი: „ა.-კ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლა".

წინადადება მიეცეს სახელგამს გამოსცეს ქართულ ენაზე წიგნი: „როგორ უნდა გახდეს წითელ მეთაურად მუშა და გლეხი".

ცენტრალური კომისიის დადგენილებით ადგილობრივ კომისიებს ევალება კანდიდატების შერჩევასთან ერთად გამოარკვიონ, თუ რამდენი კანდიდატი გაიგზავნება სამხედრო უწყების ხარჯზე და რამდენი ადგილობრივ აღმასკომების ხარჯზე.

ამიერ - კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში გაგზავნილები და მივლინებულნი თბილისში უნდა იყვნენ მიმდინარე წლის 12 სექტემბრამდე, ხოლო ცხენოსანთა და საარტილერიო სკოლებში მივლინებულნი და გაგზავნილნი — 1 სექტემბრამდე.

სამხედრო სკოლებში გასაგზავნებმა უნდა გაიარონ სამი კომისია: საექიმო, სამანდატო და სასწავლო.

ცენტრალური კომისიის განმარტებით სამხედრო სკოლებში მივლინებულნი იქნებიან სამხედრო უწყების ხარჯზე, ხოლო გაგზავნილნი — ადგილობრივ აღმასკომების ხარჯზე.

აბჰესის სიმძლავრის გადიდება

საქართველოს ს. მ. უ. ს. საბჭოს ელექტროფიკაციის განყოფილების გამგემ—ამხ. ხიზანიშვილმა ა.-კ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს აცნობა, რომ აბაშის ელსადგური რომელიც ამჟამად ერთი აგრეგატით მუშაობს, მოკლე ხანში მიიღებს ლენინგრადიდან მეორე აგრეგატს, რის შემდეგ სადგურის სიმძლავრე ორჯერ გადიდდება.

სადგური ამჟამად ანათებს ფოთს და ახალ სენაკს და ენერგიას აწვდის ამ ქალაქების მთელ რიგ წარმოებებს და აგრეთვე სადგურის ახლო მდებარე რამდენიმე სოფელს.

მეორე აგრეგატის მიღების შემდეგ, აბაშის ელსადგური გაანათებს (რიონჰესის დამთავრებამდე) მთელ ქუთაისს და სინათლეს და ენერგიას მიაწოდებს რიონჰესს.

ამხ. ხიზანიშვილი აღნიშნავს, რომ აბაშის ელსადგური სავსებით უნაკლოდ მუშაობს, რაც მოწმობს სადგურებზე დადგმულ ამ იარაღ-მანქანების კარგ ღირსებას, რომლებიც ლენინგრადშია დამზადებული და აგრეთვე სადგურის პერსონალის კვალიფიციურ მუშაობას.

ლიონ მუშათა რევოლიუციისადმი ღალატის, პროლეტარიატისადმი გამცემლობის ახალი ფაქტები, რომლებითაც აღიბეჭდება მეორე ინტერნაციონალის ეს მორიგი კონგრესი ბელგიის დედაქალაქში.

სულ სხვაა ამ ბურჟუაზიის დამოკიდებულება მესამე ინტერნაციონალისადმი. საკმაოა მათი „დამოკიდებულების" დასახასიათებლად მარტო ერთი ფაქტის მოყვანაც კი. ეს ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი სახელმწიფო თვით ეგრედწოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა „კონცერტიდან" არ დართავდა კომინტერნის კონგრესის შეკრების ნებასაც კი თავის ტერიტორიაზე. მარტო ეს გარემოებაც თვალმომჭრელ შუქს ჰფენს ბურჟუაზიის დამოკიდებულებას ერთი მხრით კომინტერნის, ხოლო მეორე მხრივ ეგრედწოდებულ „მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალისადმი". ასეთი დამოკიდებულება გასაგებია. ერთად ერთი მემკვიდრე მეორე ინტერნაციონალის გმირული ხანის, უკეთესად რომ ვსთქვათ, ერთად ერთი მემკვიდრე მისი მარქსისტული რევოლიუციონური ტრადიციების, ე. წ. „რადიკალების" საუკეთესო ტრადიციების, არის დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი, მატარებელი მარქსიზმის-ლენინიზმის, რომლის ჩირაღდნით აშუქებს ის ჩვენი დროის პროლეტარული ბრძოლის პრაქტიკას, ანაყოფიერებს ამ პრაქტიკას. ასეთი თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისითვე მიუდგება კონგრესი იმ საკითხების გარჩევასა და გადაჭრას, რომლებიც სდგას მის დღის წესრიგში.

კონგრესმა უნდა გაუკეთოს ჯამი თავისი ოთხი წლის ნამუშევარს და შეაფასოს მიმდინარე ისტორიული პერიოდი. მან უნდა განიხილოს საკითხი ომის საფრთხისა და დასახოს პრაქტიკული ზომები მის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა კოლონიალური საკითხი დაიკავებს საკმაოდ დიდ ადგილს მის მუშაობაში და, რაც უმთავრესია, ეს იქნება გარჩევა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა. რომელიც თანამიმდევრობით იდგა მეოთხე, მეხუთე და სდგას მეექვსე კონგრესზეც. დაბოლოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და კომინტერნის ხელმძღვანელ პარტიაში, საკავშირო კომპარტიაში, იქნება დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხი.

[illegible]ლების ბერშტეინიადა[illegible], ამჟამად უკვე მისი ყოფილი „მოწინააღმდეგის" კ. კაუცკის პირით, ზეიმობს თავის გამარჯვებას მეორე ინტერნაციონალში და მის მთავარ პირობებში, როდესაც თითქოს მიწასთან გასწორებული ხდება, კაუცკის აზრით, როგორც ძირითადი სოციოლოგიური, ისე ფილოსოფიური დებულებანი მარქსიზმის, როდესაც მეორე ინტერნაციონალის მთელმა პარტიებმა დასტოვეს ოფიციალურადაც, პროგრამულადაც გზა მუშათა რევოლიუციის და უღალატეს სოციალიზმს—ასეთ პირობებში მიღება კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა, რომელიც ორტოდოქსალური მარქსიზმის, ლენინიზმის პრინციპებში ასახავს პროლეტარული რევოლიუციების ეპოქის, სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის პრაქტიკას, არის უდიდესი ისტორიული აქტი.

დაბოლოს კონგრესი შეეხება საკითხს მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში და საკავშირო კომპარტიაში. კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმს არ ჰქონია დღემდე შემთხვევა თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილება გამოეტანა მთელ რიგ თეორეტიული და პრაქტიკული საკითხების გამო, რომლებიც წამოაყენა სოციალისტურმა მშენებლობამ საბჭოთა კავშირში და რომლების შესახებ უთანხმოების ნიადაგზე თავი წამოჰყო გაერთიანებულმა ოპოზიციამ. საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე და მეხუთმეტე ყრილობის მიერ გადაჭრილი საკითხები ამ **გაერთიანებული ოპოზიციის** შესახებ მხოლოდ მეექვსე კონგრესზე დაისმება მას შემდეგ, რაც ისინი გარჩეულ იქნენ აღმასკომის პლენუმების მიერ. აქ კონგრესს საქმე ექნება მთელ რიგ ახალ ფაქტებთან ოპოზიციის ცხოვრებიდან. ეს ფაქტებია ოპოზიციის განადგურება ყველგან, მათი აშკარა კონტრ - რევოლიუციონური როლი და დაბოლოს მათი ნაშთების გადასვლა მენშევიკების მხარეზე (გერმანია).

ეჭვი არ არის, რომ კომუნიზმის საერთაშორისო პარტია გამოიტანს ამ ფაქტების შესახებ ისეთსავე მკრელ და საბოლოო განაჩენს, როგორიც უკვე გამოიტანა მისმა სექციამ საბჭოთა კავშირში.

ასეთია მოკლეთ საკითხები, რომლებსაც განიხილავს მეექვსე კონგრესი. მისი გადაწყვეტილებები იქნება ახალი ეტაპი მსოფლიო რევოლიუციის აღმავალ გზაზე და მისი გამარჯვების საწინდარი.

მდგომარეობა პურის ბაზარზე

(საუბარი ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარ ამხ. ა. ბეკზადიანთან)

ამ ჟამად პურის ბაზარზე არსებულ გართულების მიზეზების და მათ მოსასპობათ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. ბეკზადიანმა შემდეგი განუცხადა ჩვენს თანამშრომელს.

პურის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში ხორბლეულის დამზადების ტემპის შენელებასთან. ა.-წ. იანვარ-თებერვალში ხორბლეულის დამზადება სწარმოებდა გაცხოველებული ტემპით, ხოლო თებერვლის შემდეგ დამზადებამ საგრძნობლად იკლო. ამის გამო შემცირდა პურეულ პროდუქტების მიწოდება მომხმარებელ რაიონებისათვის და კერძოთ კავკასიისათვის.

ამ გართულებას ხელს უწყობს სპეკულიაცია, რომელსაც საშუალოთ ეწევიან არა მარტო ფქვილით, არამედ გამომცხვარი პურითაც.

ყოველდღიური მოთხოვნილება პურზე თბილისში უდრის 7.800 ფუთს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში პურის მცხობელთ დღიურათ ეძლეოდათ 7.500-დან 8.000 ფუთი და ზოგჯერ 10.000 ფუთიც კი და ამავე დროს პურის საცხობებთან „რიგები" მაინც არ იშლება.

რაშია საქმე, სად მიდის ფქვილი ან გამომცხვარი პური? ვაჭრობის კომისარიატის ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევით დადასტურდა, რომ ადგილი აქვს სპეკულიაციას, ფქვილითაც და გამომცხვარი პურითაც. მე მოვიყვან მხოლოთ ორ დამახასიათებელ მაგალითს:

სოფლიდან ჩამოსული გლეხი ეკითხება თავის ნაცნობს, თუ სად შეუძლია მას შეიძინოს რამოდენიმე ტომარა ფქვილი? როდესაც მას უპასუხეს რომ ფქვილის შეძენა შეუძლებელია, ვინაიდან ფქვილის მთელი რაოდენობა ეძლევათ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოსახლეობას აწვდიან გამომცხვარ პურს, გლეხმა, ღიმილით უპასუხა: რას ამბობთ: გუშინ ჩემმა მეზობელმა მთელი ურემი ფქვილი მოიტანა სოფელში, ალბათ ეს გლეხიც არ წავიდოდა თბილისიდან ხელცარიელი და თან წაიღებდა რამოდენიმე ტომარა ფქვილს. ფქვილის ამ რიგათ გატანა ქალაქიდან მხოლოთ ერთი მოვლენა არ არის. ქალაქიდან ფქვილი გადის დიდი რაოდენობით. მეორე მაგალითი. თათრის მოედანზე ფურნესთან დილა ადრიანვე გაება გრძელი „რიგი". 7 საათზე აღებენ ფურნეს და რიგში მდგომთ უცხადებენ რომ პური ეყოფათ მხოლოთ 40 კაცს.

არც ერთ კოოპერატიულ ფურნეს არ ეძლევა 4 ტომარაზე ნაკლები ფქვილი. ჩნდება კითხვა—სად გაქრა ფქვილი? 40 მომხმარებლისათვის არამც თუ საკმაოა, არამედ მეტიც არის 1 ტომარა ფქვილი. ეს ფქვილის შესახებ, როგორია არის გამომცხვარი პურის საქმე?

თბილისის მახლობელ სოფლებში მიაქვთ თბილისიდან ბევრი გამომცხვარი პური, რომლითაც სპეკულიაციას ეწევიან სოფლად. ამ რიგათ ქალაქიდან ყოველ-დღიურათ ეზიდებიან ფქვილისა და გამომცხვარი პურის დიდ რაოდენობას, რითაც ხელს უწყობენ პურის ბაზრის გართულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პურის ნაკლებობის ძირითად ეკონომიურ მიზეზს თბილისში შეადგენს ის მოთხოვნილება, რომელსაც ქალაქს უდგენენ მახლობელი სოფლების და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, სადაც გასულ წელს მოსავალი ძალიან დაბალი იყო.

აი სწორეთ ამ ნიადაგზე წარმოიშვა თავისებური სპეკულიაცია, როგორც ფქვილით, რომელსაც საჭიროებაზე მეტი რაოდენობით ეძლევა პურის მცხობელებს, აგრეთვე გამომცხვარი პურითაც.

თქვენ მეკითხებით თუ რა ზომებია მიღებული სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ზომები არის მიღებული, მაგრამ კომისარიატის ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ იმდენათ ნაყოფიერი ვერ იქნება, თუ მას არ დაეხმარა მასების კონტროლი. სპეკულიაციის და მასიური ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა შეუძლია მხოლოთ ორგანიზაციულათ მოწყობილ მასების კონტროლს.

შექმნილ მდგომარეობაში უდანაშაულო არ არის კოოპერაციაც. პურის ცხობის საქმის მთლიანათ კოოპერაციისათვის გადაცემა მოხდა დაჩქარებით და ორგანიზაციულათ მოუწყობლათ. ფაქტიურათ გამოიცვალა მხოლოთ აბრები, ხოლო პურით ვაჭრობა დარჩა ისევ კერძო პირების ხელში.

როგორია ამიერ-კავკასიის პურით მომარაგების შემდგომი პერსპექტივები?

— ამ კითხვის პასუხს გვაძლევენ ცნობები მომავალი მოსავლის შესახებ. ოფიციალური ცნობის მიხედვით წელს ნათესების მდგომარეობა საშუალოზე მაღალია და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა წლის მოსავალი უკეთესი პირობებით უნდა ველოდოთ შარშანდელ მოსავალს. შარშანდელი მოსავალი მთელ საბჭოთა კავშირში უდრიდა საშუალო მოსავლის 106 პროცენტს, წელს კი 117 პროცენტს.

კერძოთ ამიერ-კავკასიაში ა.-კ. სტატ-სამმართველოს ცნობით 15 ივნისისათვის ხორბლეულის ნათესები შეფასებულია 3,2 ნიშნით, ქერის ნათესები—3,4 ნიშნით.

ასეთია ცნობები მომავალი მოსავლის შესახებ, რომელიც აგრეთვე იქნება სრულიად და ბაზარზე გამოვა არა უგვიანეს ერთი თვისა. რასაკვირველია ამ პირობებში ბარათების სისტემაზე ლაპარაკი სასაცილოა ამ ქვეყნისთვის, რომელიც ნახევარ მსოფლიოს კვებავს თავისი პურით, რომელსაც აქვს ხორბლით მდიდარი რაიონები, როგორიც უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია და უდიდესი ციმბირის [illegible].

ბარათების სისტემა შეადგენს თვითგვარდიელების ოცნების საგანს, ისინი არამც თუ ოცნებობენ ამაზე, არამედ სწერენ კიდეც, რომ თბილისში უკვე შემოღებულია ბარათების სისტემა პურზე. რასაკვირველია, ისინი ამას ვერ მოესწრებიან.

რომ ჩვენ მარაგით უზრუნველყოფილათ გადავიტანოთ თავი ახალ მოსავლამდე, საჭიროა ერთი მხრით მტკიცე მომჭირნეობა პურის ხარჯვაში და მეორე მხრით სპეკულიაციის მოსპობა.

სათანადო საჭირო ზომები უკვე მიიღო ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა და შეუდგა მათ განხორციელებას, მაგრამ სპეკულიაციასთან, უპატიოსნობასთან და ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად, ამ ზომებთან ერთად საჭიროა, როგორც ვთქვით, ორგანიზაციულათ მოწყობილ მასების დახმარება, ურომლისოთაც უწყებას ვერც ერთი ზომა, როგორი კარგიც არ უნდა იყვეს იგი, ვერ მოგვცემს სრულ ეფექტს.

პურის გაიაფება

გუშინ სადამოს საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა პურის დამამზადებელ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა გამომცხვარი პურის ფასები.

თათბირმა დაადგინა 10 ივლისიდან პურის ფასი შემცირებულ იქნეს ერთ კილოზე ორი კაპეიკით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

საუბარი ამხ. გუსეინოვთან

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. გუსეინოვმა აცნობა, რომ წელს მთელ ამიერ- კავკასიაში სასოფლო- სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებულია 8 მილიონი მანეთის რაოდენობით. შარშან კი სასოფ.- სამეურ. გადასახადი უდრიდა 6.500.000 მანეთს. ამიერ- კავკასიის ყველა რესპუბლიკაში სასოფლო- სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია მეურნეობათა 50 პროცენტი.

მთელი საარიცხვო მუშაობა ადგილებზე ეკისრება სოფლის საარიცხვო კომისიებს, რომლებიც თემაღმასკომების ხელმძღვანელობით მუშაობენ. საარიცხვო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროფესიონალური, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამჟამად საარიცხვო მუშაობა უკვე თავდება. წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ, რომ წელს დაბეგვრის ობიექტი, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით მეტია. იყო დაბეგვრის ობიექტების დაფარვის ცალკე შემთხვევები, რაც გამოაშკარავა სარევიზიო გამოძიებამ. დაბეგვრის ობიექტებს უმთავრესად მალავდენ შეძლებული გლეხები.

ამის გამო ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ— მოაწყონ განსაკუთრებული შემმოწმებელი კომისიები. საარიცხვო მუშაობის დამთავრების შემდეგ ამ კომისიებმა უნდა დაიწყონ ინტენსიური მუშაობა შემოსავლის დაფარული წყაროების გამოსააშკარავებლად. საჭიროა აღინიშნოს, რომ შემოსავლის წყაროების დაფარვა გარდა იმისა, რომ ამცირებს გადასახადის ჯამს, აფერხებს კიდეც გადასახადების სწორად განაწილებას გლეხის მეურნეობათა ცალკე ჯგუფებს შორის. (ადს)

ამერიკელი სენატორი ტომასი საბჭოთა კავშირის შესახებ

ვაშინგტონი, 8 ივლისი. სენატორმა ტომასმა (ოკლაგამის შტატის წარმომადგენელი შეერთებული შტატების სენატში, დემოკრატიული პარტიის წევრი) განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს მიმდინარე ზაფხულში ინახულოს საბჭოთა კავშირი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ტომასმა საჭიროდ სცნო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის და ის აზრი გამოსთქვა, რომ „საბჭოთა კავშირის ცნობა შეერთებული შტატების მიერ მხოლოდ დროს საკითხია".

თავდაცვის კვირეული

8 ივლისიდან 15 ივლისამდე მოსკოვში, ხოლო შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდება თავდაცვის კვირეული.

პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლებელია არ ჰყავდეს საკუთარი არმია რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. წითელი არმია, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ჩამოყალიბდა, რომელმაც ამ ბრძოლის ცეცხლში გამოაწრთო თავისი ძირითადი კადრები, ხოლო მშვიდობიანობის წლებში გამოიყენა საჭირო რეორგანიზაციისათვის და თავისი ტეხნიკური ძალების გასაძლიერებლად, იყო და რჩება პროლეტარული დიქტატურის თავდაცვის უშუალო იარაღად. ეს არმია იმით განსხვავდება იმპერიალისტური ქვეყნების არმიებისაგან, რომ არ უპირისპირდება მშრომელ მასებს, როგორც მისდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალების იარაღი. წითელი არმია მუშების და მშრომელ გლეხთა მასების სისხლი და ხორცია. ის ემსახურება იმავე მიზნებს, რომლებსაც ემსახურება ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობა —ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების მიზნებს.

ჩვენი წითელი არმია, რომლის უმრავლესობა მშრომელ გლეხებისაგან შესდგება, წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირის იდეების გავრცელების ძლიერს საშუალებას და სოფლის მშრომელ მასებზე პროლეტარული გავლენის განმტკიცების გზას. წითელი არმია, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, უდიდეს კულტურულ-პოლიტიკურ როლს თამაშობს ჩვენს ქვეყანაში. ის შეადგენს მთელი ჩვენი მუშურ- გლეხური საზოგადოებრივობის ორგანიულ ნაწილს: რაც უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი არმიის კულტურულ -პოლიტიკურ მუშაობას, მით უფრო დიდ პლიუსს ვღებულობთ ქალაქის პროლეტარიატისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ურთიერთობის საერთო ბალანსში. ამავე დროს, რაც უფრო კულტურული და შეგნებული ხდება მთელი ჩვენი მშრომელი ქვეყანა, მით უფრო იზრდება წითელი არმიის ბრძოლის უნარი. ბრძოლის უნარის მხრივ ჩვენი არმია ახლავე მაღლა სდგას ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბევრ არმიაზე.

თავდაცვის კვირეულის დროს ჩვენ უნდა გავაცნოთ მშრომელებს წითელი არმიის ორგანიზაციის პრინციპები, ტეხნიკური ძალები და ამოცანები. ამასთან ერთად ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელს დაზგაზე და გუთნით მუშაობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცებაში, რისთვისაც უნდა გამოეხმაუროს მასიური გასამხედროების საქმეს (მონაწილეობა თავდაცვა- ავიაქიმიის საზოგადოების მუშაობაში, სამხედრო სასროლო წრეებში, თავდაცვისათვის საჭირო სახსრების შეგროვება და სხვ.). ჩვენ უკვე 3 მილიონი წევრი გვყავს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენში ხომ 150 მილიონი მცხოვრებია. ჩვენ უკვე ნახევარი მილიონი წევრი გვყავს სხვადასხვა სამხედრო წრეებში, მაგრამ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ხომ 3 მილიონი წევრი შედის. ამრიგად, ჩვენს წინაშე კიდევ სდგას ფართო ამოცანები, როგორც შემდგომი რიცხვობრივი ზრდის, ისე მასიური გასამხედროების მუშაობის გაძლიერების საქმეში.

საბჭოთა მთავრობას იმიტომ შეუძლია ასე ფართოდ დააყენოს მშრომელ მასებისათვის სამხედრო ხელოვნების სწავლების საქმე, რომ ის პროლეტარული დიქტატურის მთავრობა, მშრომელ მასების მთავრობა. თოფი მუშისა და გლეხის ხელში— საბჭოთა მთავრობის ძალისა და სიმტკიცის საუკეთესო საწინდარია. მთელი მშრომელი მასის სამხედრო ცოდნა საუკეთესო საფუძველია თავდაცვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები თავს დაგვესხმიან.

შრომის აღრიცხვა და შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობაში ერთი მთავარი მოსაგვარებელი საკითხთაგანია შრომის აღრიცხვა და წლიური მოსავლის სწორად განაწილება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ საკითხის მოუწესრიგებლობა იწვევს ბევრ უკმაყოფილებას კოლმეურნეობის წევრთა შორის.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიწების, მანქანა-იარაღების და მუშა ხელის ანუ შრომის გაერთიანება და მეურნეობის განსაზოგადოებული საშუალებებით წარმოება. აქ ჩვენს წინაშე ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა იქნას მოგვარებული კოლმეურნეობის წევრთა შრომის აღრიცხვა და რა პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად წლიურ შემოსავლის კანონიერად განაწილებას. სამხედრო კომუნიზმის დროს ნაწარმოებთა განაწილებას პრინციპად ედო მჭამელთა რიცხვის რაოდენობა კოლმეურნეობაში, ე. ი. რამდენად მეტი იყო მჭამელი კოლმეურნეობის წევრის ოჯახში, იმდენად მეტს იღებდა ის წლიურ შემოსავლიდან. ასეთი სისტემა ეხლანდელ პირობებში მიუღებელია. ის იწვევს ბევრ დავას და უკმაყოფილებას. ამ სისტემის დროს წევრებს ეკარგება სურვილი ბეჯითად იმუშაონ; ფიქრობენ; სულ ერთია ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით მომცემენ. უცოლშვილო და უოჯახო წევრებს კი მეტი სავსებით არ აინტერესებთ. სხვისი ოჯახების რჩენა. ამ ნიადაგზე მეფდება კოლმეურნეობაში სიზარმაცე, დაუდევრობა და კოლმეურნეობის საქმეები ქვეითდება.

ყველაზედ უფრო მისაღები და ხელსაყრელი კოლმეურნეობის წევრთათვის არის ნაწარმოებთა განაწილება **შრომითი პრინციპის** მიხედვით. ეს პრინციპი გულისხმობს წევრებისთვის საერთო მოსავლის ნაწარმოებთა პროპორციულად განაწილებას—მათ მიერ დახარჯული შრომის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით. ამ შემთხვევაში სრულებით უარყოფილია ოჯახის წევრების და მჭამელთა რიცხვის პრინციპი.

უკანასკნელი სისტემით სარგებლობის დროს აუცილებელია წევრების მიერ გაწეული შრომის აღრიცხვა და ამის მიხედვით ანგარიშის გასწორება. ეს სისტემა შემოღებულია კოლმეურნეობათა სრულ ყოფილ ფორმებში, როგორიცაა კომუნა, არტელი და ნაწილობრივ მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. კომუნებში მოხუცები, შრომის უნარ-მოკლებულნი და ბავშვები იმყოფებიან კომუნის საერთო ხარჯზე, სას. სამ. არტელებსა და სხვა ამხანაგობებში კი მათ ინახავს თვითეული წევრი თავის ხვედრი შემოსავლიდან.

კოლმეურნეობათა სხვადასხვა ფორმებისათვის კოლმეურნეობათა პირველმა საკავშირო ყრილობამ წევრის ნაშრომის ანაზღაურების შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: სასოფლო-სამეურნეო კომუნებსა, არტელებსა და ამხანაგობებში, სადაც საწარმოო საშუალებები განსაზოგადოებულია:

ა) შრომის ანაზღაურება უნდა წარმოებდეს დახარჯულ შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით, ამასთან უპირველესად ხელი უნდა შეეწყოს შრომის სანარდო წესით ხელფასის ანაზღაურების შემოღებას.

ბ) წევრთა შრომის გამოყენება უნდა სწარმოებდეს თანაბრად მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის.

ამგვარად კოლმეურნეობათა სრულ ყოფილ ფორმებში ნაშრომის განაწილების საფუძვლად უდევს შრომითი პრინციპი, რომელიც სათანადოთ უნდა აღირიცხოს. კომუნებში და კოლმეურნეობათა სხვა ფორმებში დასაშვებია წევრის ზედმეტად დაჯილდოება, თუ ის თავისი ენერგიული შრომით განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევს კოლმეურნეობას, რაც შეეხება კოლმეურნეობების მარტივ ფორმებს, აქ ნაწარმოებთა განაწილებას, უდევს ცხადია საფუძვლად შრომითი პრინციპი, მაგრამ რადგან აქ განსაზოგადოებული საწარმოო საშუალებები ერთობ მცირეა, განაწილების სიმძიმე გადატანილია შრომის ნარდათ აღრიცხვაზე და განსაზღვრულ რაოდენობის შრომისათვის წევრებს კოლექტივის შემოსავლიდან ეძლევათ განსაზღვრული რაოდენობა. მუშაობის დაწყების წინ ყოველ წევრს მიეკუთვნება განსაზღვრული სამუშაო იმის მიხედვით, თუ რამდენი მიწა აქვს განსაზოგადოებული, რამდენი აქვს პაის რაოდენობა, რამდენი ჰყავს ოჯახის წევრები და სხვა.

ყრილობამ კატეგორიულად უარყო შრომის ანაზღაურება ქონებრივი პაების მიხედვით, ნაშრომის ასეთი ანაზღაურება ხელსაყრელი და სასარგებლოა, იმდენად, რამდენადაც მეურნეობა შემოსავლიანია. ამის გაგება კი სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ შეიძლება. ყრილობის რეზოლიუცია და კოლმეურნეობის ყველა დებულებები ამ მხრივ ამბობენ შემდეგს: კოლმეურნეობის საერთო წლიური შემოსავლიდან პირველ რიგში განაღდებულ უნდა იქნეს მეურნეობის ვალდებულებები და ხარჯები, როგორიცაა შეძენილი მანქანა-იარაღების ვალები, მუშა-საქონლისათვის და მეურნეობის საწარმოო მიზნობრივ სახსრებისათვის მიღებული თანხები; აგრეთვე კოლმეურნეობის საკუთარი განუყოფელი კაპიტალის დასაგროვებლად, მანქანა-იარაღების სამორტიზაციოდ და სათადარიგო თანხების შესაქმნელად უნდა იქნეს გადარიცხული განსაზღვრული პროცენტი წლიურ შემოსავლიდან, რომ ამით უზრუნველვყოთ კოლექტივის შემდეგი ზრდა-განვითარება. წლიური შემოსავლის დანარჩენი ნაწილი იყოფა წევრებ შორის შრომითი პრინციპის მიხედვით, როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული.

შრომის ანაზღაურების სწორად დაყენებასთან მჭიდროთაა დაკავშირებული მუშა-ხელის სწორად განაწილებაც. აქ მხედველობაშია მისაღები აღრიცხვა დახარჯულ შრომის რაოდენობისა და ხარისხისა, შრომის დაცვა განსაკუთრებით დედაკაცებისა და ბავშვთათვის და შრომის კვალიფიკაციის ამაღლება.

აღნიშნულ მიზნების მისაღწევად კოლმეურნეობათა პირველი საკავშირო ყრილობა ადგენს შემდეგს:

ა) მუშა-ხელის განაწილება უნდა მოხდეს მეურნეობაში გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს კოლმეურნეობის საბჭო. ბ) უზრუნველყოფილ იქნეს ცალკე დარგების მუშაობის ხელმძღვანელობა, რომლისათვისაც გამოიყოს სპეციალური ხელმძღვანელები. გ) შემოღებულ იქნეს დახარჯული შრომის აღრიცხვა ტაბელური სისტემის მიხედვით. დ) შემოღებულ იქნეს ცალკე სამუშაოების შეფასება. ე) უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო დღის შემოკლება მოზარდ თაობისათვის. ვ) უზრუნველყოფილ იქნეს ფეხმძიმე ქალების შვებულება მშობიარობამდე და მის შემდეგ მათი საშუალო ხელფასის შენახვით.

ყოველდღიურად შედგენილი ტაბელებიდან სდგება თვიური ტაბელი, რომელსაც გამოაკრავენ წასაკითხავად, ამ ტაბელში სწორად არის აღნიშნული ყველა ასაკის და სქესის შრომა. წევრი ეცნობა თავის ნამუშევარს. მას უფლება აქვს განსახილველად კოლმეურნეობის საბჭოში, თუ რამე შეცდომას ექნება ადგილი. შემდეგ საწევრო წიგნაკში აღინიშნება ნამუშევარი დღეები.

წლის ბოლომდე კი წევრი იღებს ავანსის სახით თავის გამოსაკვებათ ფულს ან სანოვაგეს წინასწარ, სავარაუდო გამოანგარიშებით 80 პროც.-მდე, რაც იწერება მის ანგარიშში, საბოლოო ანგარიშში კი სწორდება სამეურნეო წლის ბოლოს.

აი,ის სავალდებულო ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელია, რომ სწორად იქნეს აღრიცხული კოლმეურნეობის წევრის შრომა და სწორად განაწილდეს მუშა-ხელი მეურნეობაში. როგორც შრომის აღრიცხვა, აგრეთვე მეურნეობის წინსვლის საქმე კოლმეურნეობაში დამოკიდებულია სწორ აღრიცხვაზედ. ამიტომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში ანგარიშ-წარმოების სწორად დაყენებას. მეტი გეგმიანობა და მეურნეობის შედეგების სწორი აღრიცხვა საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ ჩვენი ნორჩი კოლმეურნეობები და მივსცეთ მათ ნამდვილი სოციალისტური შინაარსი და სახე. რა თქმა უნდა, ამას მივაღწევთ მაშინ, როცა ყველა ზემოდ თქმულთან ერთად, განმტკიცდება კოლმეურნეობის წევრთა მეგობრული და შეთანხმებული მუშაობა, გაძლიერდება საკუთარ საშუალებების დაგროვება კოლმეურნეობაში და როცა დავარწმუნებთ გლეხობას (რაც მთავარია), რომ განსაზოგადოებულ პრინციპებზე შრომის მოწყობა იძლევა გაცილებით მეტ შედეგებს, ვიდრე კერძო, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

ვლ. ცაგარელი.

ახირებული თავის მართლება

(თ. ბებურიშვილის პასუხის პასუხი)

„კომუნისტი"-ს 155 №-ში მოთავსებულია ამხ. თამარ ბებურიშვილის „პასუხი" ჩემს წერილზე, რომელიც ჟურნალ „განათლების მუშაკი"-ს მე 18 №-ში დაიბეჭდა. ეს „პასუხი" იმდენად საცოდავია, რომ მისი უპასუხოდ დატოვება ღირსეული და შესაფერი პასუხი იქნებოდა ჩვენის მხრივ. მაგრამ ის გარემოება, რომ გაზეთ „კომუნისტი"-ს მკითხველები არ იცნობენ არც ჩემი წერილის შინაარსს, არც კომისიის დასკვნებს, ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრივ უმთავრესად ის გარემოება, რომ სკოლისა და მეთოდბიუროს ავკარგიანობის საკითხს უაღრესად საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, გვაიძულებს მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ცნობა მეთოდბიუროს „სწავლულ" მდივნის მოღვაწეობიდან.

ჩვენ ვწერდით: „მოუწყობელი დაწესებულია როდესაც ასეთ (საცდელ-საჩვენებელი) სკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელიც თავის უზომო ნდობით და განსაკუთრებულ მდგომარეობით ბოროტად სარგებლობს, თავის განუსაზღვრელ მადის გამო ჰქმნის სკოლის მუშაობისათვის დაუშვებელ პირობებს". ცოტა ქვემოდ ვამბობდით: „აღნიშნულ კონფლიქტის განხილვამ დაგვანახვა, რომ სკოლის გამგე უაღრესად ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ სკოლას, რომელსაც განაგებს; მას, გარდა შემთხვევითი შეხვედრებისა და ცალკე საუბრებისა სკოლის მუშაკებთან დრო არა აქვს იფიქროს და იზრუნოს ამ სკოლის ყოველდღიურობაზე. სკოლის მუშაკთა შერჩევა მოეწყო იმგვარად, რომ ზოგიერთს ყველა [illegible] ეპატიება, მათთვის წესდება ზედმეტი [illegible]ები. არსდება კუთხე და სხვა, ხოლო დანარჩენები აბუჩად არიან აგდებულნი, შეუძლებლად ხდის სკოლაში შეთანხმებულ, საღიანს, კოლექტიურ მუშაობას. ხელმძღვანელობის სრული უქონლობა პიონერ-მოძრაობის საქმეში, ინდიფერენტიზმი ახკომკავშირის ორგანიზაციისადმი და ბევრი სხვა—დამახასიათებელი მომენტებია ამ სკოლის „უაღრესად ავტორიტეტულ" ხელმძღვანელის საქმიანობისა".

ამხ. ბებურიშვილი ამ ბრალდებას უარყოფს ფორმალურ მხარეზე მითითებით ლაპობს. არსებითად კი მას არავითარი საბუთი არ გააჩნია ამ ბრალდების უარსაყოფად. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისს მაკიჟულ-მოკიბულ ამბებს კვირაში ის ორიოდე საათის გამოყოფის შესახებ, სადაც თურმე ბებურიშვილის უშუალო მონაწილეობით მუშავდებოდა სკოლის საკითხები. ჩვენ ამას შემთხვევითი ხასიათის მუშაობა ვუწოდეთ და კომისიამაც სავსებით დაადასტურა ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც თ. ბებურიშვილის უხეირო, უტაქტო და შემთხვევითი გამგეობის წყალობით დაწესდა მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. მეტიც! ჩვენს წერილში არაფერი გვითქვამს იმ ყოვლად დაუშვებელ შემთხვევებზე, რომლებმაც, გარდა ყოველივე ზემო თქმულისა, ქრონიკული ხასიათი მიიღო ხსენებულ სკოლის ცხოვრებაში. ამის შესახებ კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „კომკავშირისა და პიონერ ორგანიზაციის მუშაობისადმი სრული ინდიფერენტიზმით და არა საკმარისი ხელმძღვანელობით აიხსნება სკოლაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა, როგორიცაა: ა) გამგის წინააღმდეგ მოწაფეების უარყოფითი განწყობილება, ბ) ლენინის სურათის და კედლის გაზეთების დახევა, გ) მასწავლებელ ძნელაძის მიერ ბავშვის ცემა და სხვა. ყველა ამ არანორმალური პირობების აღმოსაფხვრელად თავის დროზე შესაფერისი ზომები მიღებული არ არის".

ნუ თუ ეს არის ხეირიანი ხელმძღვანელობა? უფრო მეტს ვიტყვით თ. ბებურიშვილმა მეთოდბიუროსა და განსახკომში თავისი თანამდებობის სპეკულიანტური გამოყენებით შეიტანა შუღლი და მტრობა მასწავლებელთა შორის, გადაჰკიდა ერთმანეთს ისინი, რამაც, ჩვენდა სამწუხაროდ, სათანადო გამოძახილი ჰპოვა მოწაფეებშიაც.

ახლა აიღეთ თუნდაც მიწის ნაკვეთის დამუშავების საკითხი. ის სწერს: „მიწის დამუშავების შესახებ დასკვნის გამოტანამდე კარგი იყო გეგზნიათ გამოეძია გარეთ და ცოცხალ საქმეს მარტო კითხვა-პასუხით არ გასცნობოდა. იქნებ არაფერი წაზედებილი ეზოში არ ყოფილა". ეს არის პასუხი? მიწის ნაკვეთის დამუშავება მუშაკებსაც შეეძლოთ, მაგრამ ამაზე როდი მოგახსენებდით. ჩვენ გვაინტერესებდა ამ ნაკვეთის დამუშავების პროცესი და არა მისი გარეგნული მხარე. (თუმცა არც ამ მხრივ აქვს ამხ. ბებურიშვილს რამე სასიქადულო) ჩვენ ვეკითხებით მას, სწარმოებდა თუ არა ამ ნაკვეთის კოლექტიური დამუშავება? რისა- კეთილია, არა, ნუ თუ ბებურიშვილს ავიწყდება ყოველივე ის, რაც მან კომისიას მოახსენა ამ საკითხის შესახებ, მან სთქვა: „მართალია, აქ არაფერი გამოვიდა". ერთ-ერთი ჯგუფმა არ მოისურვა დანარჩენებთან ამ მიწის დამუშავება". ეს იმ ხელმძღვანელის ჯგუფმა, რომელიც ამხ. ბებურიშვილს განსაკუთრებულად საპატიო პირობებში ჰყავს. რას ნიშნავს ყოველივე ეს? ეს არის ხეირიანი გამგებლობა, ან თუნდაც მიწის ნაკვეთის კოლექტიური, შეთანხმებული დამუშავება? ასეთი „კოლექტიურ" ატმოსფერაში აღზრდილი ახალგაზრდობა ვის ან რაში გამოადგება?

როგორც ჩვენს პირველ წერილში აღვნიშნეთ, მთავარი მიზეზი კონფლიქტისა, რამაც საამშკარაოზე გამოიტანა მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში გამგის წყალობით დაგუბებული შური, იყო და არის ვაჭრობა გამართული სახელმძღვანელოების შედგენის გარშემო. ჩვენ ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ მეთოდბიუროს „სწავლულმა" მდივანმა, ბებურიშვილმა დაამუშავა თავის სკოლის ორ მასწავლებელთან ერთად სახელმძღვანელო წიგნი, აიღო გასამრჯელო კომისიებში მუშაობისათვის შემდეგ კი მისივე მონაწილეობით და რჩევით მეთოდბიურომ მოიწონა აღნიშნული წიგნი და ამ უკანასკნელის დაბეჭდის შემდეგ სახელგამიდან ბებურიშვილმა მიიღო ჰონორარი 800 მანეთამდე. ამხ. ბებურიშვილი „პასუხშიაც" არ უარყოფს თავის მონაწილეობას ამ სახელმძღვანელოს დამუშავებაში, მაგრამ გასამრჯელოს მიღებაზე მეტად დაბნეულ პასუხს იძლევა. ის სწერს: „ერთმა და მეორემაც—(კომისიები შ. გ.). ამაში გასამრჯელო მიიღოო". და იქვე დასძენს: „როგორც ახლა გამოირკვა, მე პირადათ ეს გასამრჯელო არ მიმიღიაო". ცოტა ქვემოდ ავიწყდება მას ეს თავისი „როგორც ახლა გამოირკვა" და ამბობს: „ამ უკანასკნელ შრომის გასამრჯელო ჩვენ მივიღეთ მხოლოდ სახელგამიდანო". საკითხის ნათელსაყოფად მოგვყავს ამონაწერი თვით კომისიის დადგენილებიდან: „კომისიას დამტკიცებულად მიაჩნია, რომ სკოლის გამგის მიერ (რომელიც ამავე დროს სამეცნიერო პედაგოგიური სექციის მდივნად ითვლებოდა), სკოლაში წიგნის დამუშავებისათვის კომისიის ჩამოყალიბება და ამ კომისიაში არაოფიციალური მონაწილეობა ანგარების ხასიათის მატარებელი ყოფილა. ეს გარემოება მითაც მტკიცდება, რომ კომისიის წევრებმა გამგესთან ერთად მიიღო სათანადო გასამრჯელო როგორც კომისიაში მუშაობისათვის, ისე ჰონორარიც წიგნის გამოცემის შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობისაგან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნების შესახებ სამეცნიერო პედაგოგიური სექციის წევრებს (ან მეთოდბიუროს წევრებს) ოფიციალურად არაფერი არ სცოდნიათ, რამაც გამოიწვია ამავე წიგნის მიღების საკითხის განხილვის დროს კომისიაში გამგის მონაწილეობა".

მესამე მომენტია მასწავლებელ ზაალიშვილის წიგნის დასურათებისათვის განსახკომიდან 200 მანეთის გაცემის საკითხი. ამ საკითხის ნათელსაყოფად საკმაოდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ შემდეგი ამონაწერი იმავე კომისიის დასკვნიდან: „აგრეთვე უკანონოდ უნდა ჩაითვალოს ბებურიშვილის მიერ ზაალიშვილის წიგნის დასურათებისათვის 195 მანეთის გაღება განათლების კომისარიატის სამეცნიერო პედაგოგიური სექციის თანხებიდან".

დაბოლოს, დამახასიათებელია თ. ბებურიშვილის წერილის შემდეგი ადგილი: „მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მის (ზაალიშვილის წიგნის) მაგიერ დაიბეჭდა ძიძიგური და გვახარიას წიგნი დამატებით 40.000 ცალი".

ამხ. ბებურიშვილმა მშვენივრად იცის, რომ ეს წიგნი საერთოდ, და კერძოდ კი დამატებით 40.000 ცალი, დაიბეჭდა განათლების სახალხო კომისრის და მისი მოადგილის განკარგულებით? მაგრამ, ვინაიდან ამ გარემოებამ მართლაც ხელი შეუშალა ბებურიშვილის და ზაალიშვილის წიგნის დაბეჭდვას, ბებურიშვილმა ატეხა ერთი ალიაქოთი.

რაც შეეხება ამხ. ბებურიშვილის სიტყვებს, თითქოს მან მხოლოდ ჩემი წერილიდან გაიგო კომისიის დანიშნის მიზანი—მოვაგონებ მისავე ჩვენებას კომისიაში, რომ მან, ძნელაძეს და ზაალიშვილს კომისიის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჰქონდათ თათბირი იმის შესახებ, თუ რა კითხვაზე როგორია პასუხი გაეცათ.

დასასრულ, რაც შეეხება ჩემს აჩქარებას, უნდა გულის ტკივილით აღვნიშნო, რომ იგი მეტად დაგვიანებული აღმოჩნდა.

შალვა გიგინავა.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ახალი გზა

სათანადო კომისიის მოხსენების თანახმად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა კურორტ წყალტუბოსა და ხონს შორის გაყვანილი იქნეს ახალი გზა.

გზა გაივლის სოფ. გვიშტიბზე და გუბის წყალზე.

გლეხების მოწყობა ახალ მიწებზე

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევის ახლოს მცხოვრებ გლეხების შუამდგომლობა ახალ მიწებზე [illegible] შესახებ.

აღნიშნულ ადგილიდან გლეხები გადასახლებული იქნებიან კოდის წყაროს სახალშენო ფონდის მიწებზე.

პრეზიდიუმის დადგენილებით თვითეულ ოჯახს ახალ მიწებზე დასასახლებლად დახმარების სახით მიეცემა 100 მანეთი.

ჩაის მოსავალი

წელს ჩაის მოსავალი კარგი იქნება.—სულ დამზადებული იქნება 257.490 კილოგრამი ხმელი ჩაი.—გლეხებისაგან შესაძენ ნედლ ჩაიზე ფასები გადიდებულია 9 პროც.—ჩაის ახალი ქარხნები. — „ცენტროსოიუზი" ბაზარზე საქართველოს ჩაის გამოუშვებს „საქართველოს ჩაის" მარკით.—წელს ჩაის პლანტაციების სივრცე გაფართოვდა 2059 ჰექტარით.—„საქართველოს ჩაი" წელს ჩაის მეურნეობაზე დახარჯავს 1.142.000 მანეთს.

საქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ცნობით, ჩაის კრეფა მთელ საქართველოში დაიწყო 1 მაისიდან.

მაისში სულ დამზადებულ იქნა 380.000 კილოგრამი ნედლი ჩაი. აქედან საკუთარ პლანტაციებზე და საბჭოთა მამულებში დამზადებული იქნა 237.000 კილოგრამი, ხოლო ჩაის მეურნე გლეხებისაგან შეძენილ იქნა 143.000 კილოგრამი.

გეგმის მიხედვით, მთელ სეზონში სულ დამზადებული უნდა იქნეს 1.099.500 კილოგრამი ჩაი, მათ შორის გლეხობისაგან შეძენილი იქნება—444.000 კილოგრამი, საკუთარ პლანტაციებში და საბჭოთა მამულებში დამზადდება—655.500 კილოგრამი.

ამ რაოდენობიდან ქარხნებში გამომუშავებული იქნება სულ 257.490 კილოგრამი ხმელი ჩაი, რაც 16 პროცენტით მეტია შარშანდელთან შედარებით.

გლეხურ მეურნეობებისაგან ჩაის შესაძენათ სათანადო რაიონებში მოწყობილია ჩაის მიმღები პუნქტები. ნედლ ჩაიზე წელს შარშანდელთან შედარებით ფასები გადიდებულია 9 პროცენტით.

ჩაის მეურნე გლეხებს თითო კილოგრამ 1-ლი ხარისხის ნედლ ჩაიზე შარშან ეძლეოდათ 44 კაპეიკი, წელს ეძლევათ—48 კაპეიკი. მე-2 ხარისხის კილოგრამ ნედლ ჩაიზე შარშან გლეხებს ეძლეოდათ 33 კაპეიკი, წელს კი ეძლევათ—37 კაპეიკი.

ნედლი ჩაის გადასამუშავებლად „საქართველოს ჩაის" საკუთარი ქარხნები აქვს ჩაქვში, სალიბაურში, ოზურგეთში, აცანაში, და [illegible]. საზოგადოებამ წელს ყველა აღნიშნულ ქარხნების გასაფართოებლად შეიძინა ახალი მანქანები.

გარდა ამისა საზოგადოებამ წელს ბობოყვათში (აჭარისტანში) ააგო ჩაის ახალი ქარხანა, რომელიც წლიურად გადაამუშავებს 1მილიონ გირვანქა ჩაის. საქართველოში დამზადებული ჩაის მთელი რაოდენობა სათანადო ხელშეკრულების თანახმად სარეალიზაციოთ გადაეცემა „ცენტროსოიუზის" ჩაის სამმართველოს.

აღნიშნული ჩაის სამმართველო კილოგრამ ხმელ ჩაიში საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს აძლევს 5 მან. 24 კ. და 5 მ. 20 კ.

იმავე ხელშეკრულების თანახმად „ცენტროსოიუზი" საქართველოს ჩაის ბაზარზე გამოუშვებს „საქართველოს ჩაი"-ს მარკით. გარდა ამისა „ცენტროსოიუზი" წელს ბაზარზე გამოუშვებს ჩაის ახალ მარკით: „საქართველოს ჩაი № 7".

საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ცნობით წელს საქართველოში ჩაის კარგი მოსავალია.

წინასწარი გეგმით წელს საქართველოში ჩაის ახალი პლანტაციები უნდა გაშენებულიყო 1635 ჰექტარზე, ნამდვილათ კი ჩაის მეურნეობის სივრცე გაფართოებული იქნა 2059 ჰექტარით. გეგმა შესრულებული იქნა 126 პროცენტით.

მიმდინარე წელს „საქართველოს ჩაი" ჩაის მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობაზე სულ დახარჯავს 1.142.000 მან.

ნათესების მდგომარეობა და მოსავლის პერსპექტივები

[illegible]

ივნისის ბოლო რიცხვებისათვის ნათესების მდგომარეობა მთელ საქართველოში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოკვლევით, საშუალო იყო.

უკანასკნელ პერიოდში მოსულმა წვიმებმა გაზაფხულის ნათესები ყველგან საგრძნობლად გამოაკეთა. წვიმებმა ხელი შეუწყეს ზამთრის ნათესების მდგომარეობის გამოსწორებასაც. ამჟამად უმეტეს რაიონებში ზამთრის ნათესების მდგომარეობა საშუალოა, ხოლო კახეთში საშუალოზე კარგი.

ვენახების და ხეხილის მდგომარეობა

რაც შეეხება ვენახებსა და ხილის ბაღებს, მათი მოსავალი მოსალოდნელია საშუალოზე გაცილებით კარგი. თესლის და კარტოფილის მოსავალიც საშუალოზე კარგია. ბოსტნების მდგომარეობაც შარშანდელთან შედარებით დამაკმაყოფილებელია.

ახალი მოსავალი

ზამთრის ნათესების მოსავლის მოწევა უკვე დაწყებულია. ამჟამად კახეთში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პურის და ქერის შესაკრებად. მინდვრებში გამოჩნდა სამკალი მანქანები. მოსავლის მოწევა დაწყებულია აგრეთვე თელავის მაზრაშიაც, სადაც მოსავალი საშუალოზე კარგია.

თელავის მაზრაში ზამთრის ნათესების საგრძნობი ნაწილი გაანადგურა სეტყვამ.

ამ დღეებში მოსავლის მოწევას შეუდგებიან დუშეთის მაზრაში. ამ მაზრაში მოსავალი საშუალო იქნება.

ახალი ქერი უკვე შემოვიდა თელავის ბაზარზე.

ბამბის ნათესები

ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში პირველ ხანებში დიდი სიცივეების გამო ბამბის ზრდა 20—25 დღით შეფერხდა. გარდა ამისა ბამბის ნათესებს აღნიშნულ რაიონებში დიდ საფრთხეს უქმნიდა კალია, რომელიც მიღებული ზომებით უკვე მოსპობილია.

ამინდების გამოკეთების წყალობით ბამბის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

კახეთში ბამბით დათესილი მიწების უმეტესობა არ ირწყვება, რის გამო უკანასკნელ ხანებში მოსულმა წვიმებმა მათი მდგომარეობა საგრძნობლად გამოაკეთა.

განსაკუთრებით კარგია ბამბის ნათესების მდგომარეობა საჩვენებელ ნაკვეთებზე.

იმ მიწებზე, რომლებიც წელს განოყიერებული იქნა მინერალური სასუქით, ბამბის ნათესების მდგომარეობა კიდევ უფრო კარგია. საერთოდ აღნიშნულ რაიონებში ბამბის მოსავალი მოსალოდნელია საშუალოზე კარგი.

ეკონომიურ საბჭოში

სახალხო მამულების ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი სახალხო მამულების ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ეკონომიურმა საბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. ს. ჯულელის (თავმჯდომარე), ვ. მკალობლიშვილის, მ. ძამანაშვილის, კ. კაკაბაძის, რახულ-ზადეს, ვ. ხიზანიშვილის, ნ. კალატოზოვის და ფილიპოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სახ. მამულების ტრესტის დეტალური გამოკვლევა, შეისწავლოს მისი როგორც ფინანსიური მდგომარეობა, ისე საორგანიზაციო სტრუქტურა და სათანადო მოხსენება და ტრესტის გაძლიერებისათვის საჭირო კონკრეტიულ ღონისძიებათა პროექტი წარუდგინოს ეკონომსაბჭოს. კომისიამ თავისი დასკვნები უნდა წარადგინოს ერთი თვის განმავლობაში.

კომისიას დაევალა აგრეთვე მიიღოს ზომები ხსენებული ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ეკონომსაბჭომ დაადგინა აღძრული იქნეს შუამდგომლობა ცენტრალური სადირექტივო ორგანოების წინაშე, რათა გადიდებული იქნეს, საქართველოს სახ. მამულების ტრესტის საბრუნავი თანხები.

„თერგ-არაგვის ხევის" რწმუნებულთა ყრილობა

4 ივლისს ყაზბეგში შესდგა მეცხვარეთა კოოპ. ამხანაგობა „თერგ-არაგვის ხევის" რწმუნებულთა მორიგი არაჩვეულებრივი ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ „სოფლის კავშირის" და დუშეთის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლები. დღის წესრიგში იდგა გამგეობის საინფორმაციო მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ და გამგეობის წევრების დამატებითი არჩევნები.

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ გ. დევდარიანმა, რომელმაც აღნიშნა სიძნელენი, რომლებიც აფერხებდენ გამგეობის მუშაობას. ამ სიძნელეთა შორის განსაკუთრებით მწვავეა საზამთრო და საზაფხულო საძოვრების საკითხის მოუწესრიგებლობა. მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ მუშაობის დროს ბოროტგამზრახველებს მოუკლავთ გამგეობის წევრი კაშაური და რწმუნებული კობიაშვილი.

მატყლის დამზადება წელს გაცილებით უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. გამგეობა იმედს გამოსთქვამს, რომ წელს გაზაფხულის მატყლი დამზადებული იქნება დაახლოვებით 17-18 ათასი ფუთის რაოდენობით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსულმა მეცხვარე გლეხებმა უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ საძოვრების საკითხის და პურეულით მომარაგების საქმის მოუგვარებლობას და მოითხოვდენ ამ საკითხების დაჩქარებით გადაჭრას. მეცხვარე გლეხები მოითხოვდნენ აგრეთვე კოოპერატიული დანართის სისტემის შემოღებას, რაც ხელს შეუწყობს მეცხვარეობით დაინტერესების ზრდას და გააფართოებს მატყლის საქონლიანობას.

გამგეობაში დამატებით არჩეულ იქნენ მ. ბარტყულაშვილი, დ. გოგური და ცამალოვი.

გამგეობის აქტიურ წევრებათ გამოყოფილი არიან გ. დევდარიანი და მ. ბარტყულაშვილი.

სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად

ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების გამგემ ექ. ლ. ნაზარეტიანმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა მასალები რესპუბლიკის სანიტარულ მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

— ქვეყნის სანიტარული მდგომარეობის მაჩვენებლად მეცნიერებაში,—განაცხადა ამხ. ნაზარეტიანმა,—მიღებულია სიკვდილიანობის დაბადების და მცხოვრებთა მატების საშუალო რიცხვები, ჯანსახკომში დამუშავებული უკანასკნელი ცნობებით, თვითეულ ათას კაცზე 1927 წ. განმავლობაში მოდიოდა სიკვდილიანობის შემთხვევა—7, დაბადების—23,5 მცხოვრებთა საშუალო ზრდა კი უდრიდა (ათას კაცზე) 16,5.

1913 წელს ათას კაცზე კვდებოდა 15, იბადებოდა 28, მცხოვრებთა საშუალო ზრდა კი უდრიდა 12,7. ამგვარად, მეცნიერულად დამუშავებული სტატისტიკა ადასტურებს, რომ შესამჩნევად იზრდება დაბადებათა რიცხვი, კლებულობს სიკვდილიანობა და იზრდება მცხოვრებთა საშუალო რიცხვი. აშკარაა, რომ სახელმწიფოს სანიტარული მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. თუ საქართველოში დამუშავებულ ცნობებს შევადარებთ ევროპის სახელმწიფოებში გამოქვეყნებულ ასეთივე ხასიათის ცნობებს—დავინახავთ, რომ სანიტარული კეთილდღეობის თვალსაზრისით საქართველო უთანასწორდება ბევრ ქვეყნებს.

სიკვდილიანობის შემთხვევები უფრო მეტია სოფლად. ამის გამო ჯანსახკომმა 5-წლიანი პერსპექტიული გეგმა დაამუშავა სწორედ იმ მიმართულებით, რომ მთელი ახალი აღმშენებლობა გადატანილ იქნეს პროვინციაში.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, განზრახულია სოფლად გადამდები სნეულებიანი ავადმყოფთა ბარაკების აგება, სადეზინფექციო კამერების მოწყობა, სამალარიო სადგურებისა და ცოფიანთა სამკურნალო ამბულატორიების გახსნა, ტუბერკულოზისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერების მოწყობა და სხვა.

სულ უახლოესი 5 წლის განმავლობაში ახალ აღმშენებლობაზე დაიხარჯება 5 მილიონი მანეთი.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აბრეშუმის თესლი

ქუთაისის საგრენაჟო სადგურები უკვე შეუდგენ თესლის თავის მოყრას საჯიშე თესლის მისაღებად. მიკროსკოპიული ანალიზის შედეგები ადასტურებს, რომ შეკრებილი პარკი და მისგან მიღებული პეპლები სავსებით ჯანსაღ თესლს იძლევა და წარსულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთესი ღირსებისაა. აღნიშნულ მუშაობაში ამჟამად 600 ქალია ჩაბმული.

პარკის მოსავალი

ქუთაისის პარკის მიმღებმა ფარდულმა უკვე მიიღო პარკის იმდენი რაოდენობა, რაც შარშან მთელ სეზონში იყო მიღებული. პარკის მიღება გრძელდება.

ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია

პირველ ივლისიდან ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ადგილობრივი კომიტეტი გაუქმებულია. მისი ანგარიშიანობა და საქმეები გადაეცა ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს.

სამაზრო აღმასკომი უკვე შეუთანხმდა რეჟისორ მარჯანიშვილს 1928—29 წლის სეზონში მუშაობის შესახებ, ქუთაისი დახმარების სახით იძლევა 45 ათას მანეთს, ხოლო ბათომი—22.500 მან. დასი კვირაში სამ წარმოდგენას გამართავს ქუთაისში და სამს— ბათომში. დასი ერთი თვით გასტროლებზე წავა თბილისში.

შემთხვევები

— 6 ივლისს ებრაელთა დამწვარ უბანში ნანგრევების გაწმენდის დროს კედლიდან ჩამოვარდნილი ქვა დაეცა ებრაელ კომკავშირელ ელიაშვილს, რომელიც მძიმედ დასახიჩრდა. ოპერაციის დროს იგი გარდაიცვალა.

— იმავე უბანში იმავე სამუშაოზე მომუშავე ელისონ ხახანაშვილს დაეცა რეიკა და მძიმედ დასახიჩრდა.

— სოფელ ოფშკვითში 7 წლედის მასწავლებელმა გიორგი ნიკოლაიშვილმა მოკლა თავისი მამა ივანე ნიკოლაიშვილი, მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

— 6 ივლისს [illegible] პირველი დისტანციის საწყობის ეზოში ბარგის ავტომობილიდან გადმოვარდა [illegible] და დაეცა [illegible] მუშას. [illegible]

ბრძოლა კალიასთან

როგორც აღნიშნული გვქონდა, აღმოსავლეთ საქართველოში გაჩნდა კალია. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ ველის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის კომისიამ ცნობის მიღებისთანავე მიიღო სასწრაფო ზომები. იმ რაიონებში სადაც კალია იყო მიღებული გაიგზავნა სპეციალური რაზმები.

რაზმებმა დღემდე კალიასთან ბრძოლა ჩაატარეს სიღნაღის მაზრაში, განსაკუთრებით შირაქის ველზე და მწვანე-მინდორის რაიონში. ამ ადგილებში კალიასთან ბრძოლა ჩატარებული იქნა 110.000 ჰექტარის სივრცეზე.

თავის დროზე მიღებული ზომებით ნათესებისათვის მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა, სულ დაზარალდა 50 ჰექტარი სხვადასხვა ნათესები.

სიღნაღის მაზრაში კალიასთან ბრძოლაზე დაიხარჯა 8 ტონა შხამი, 65 ტონა ქატო და ნახერხი.

თბილისის და ბორჩალოს მაზრებში კალიასთან ბრძოლა დამთავრდება ამ დღეებში. კალიასთან ბრძოლა ამჟამად სწარმოებს ბორჩალოს მაზრის გეურავის და სურვანის რაიონებში და თბილისის მაზრის შემდეგ რაიონებში: დიღომში, ავჭალაში, პატარა და დიდ ლილოში, ვაზიანში და სხვ.

ახლო ხანში დაიწყება წინასწარი მუშაობა ზაფხულში კალიის ახალი შემოსევის თავიდან ასაცილებლად.

მიწსახკომი შეუდგა სათადარიგო ზომებს მიღებას აღმოსავლეთ საქართველოში კალიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩასატარებლად. ამ მიზნით დაწყებულია კალიის წინააღმდეგ მებრძოლ ახალ რაზმების შედგენა, ქიმიურ წამლეულობის დიდი რაოდენობით დამზადება და სხვა.

კალიის წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლის ჩასატარებლად მიწსახკომმა სახალხო კომისართა საბჭოსგან გამოითხოვა 90.000 მანეთი.

საქ. რემედასში

ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ

რემედასის ფინანსიურად გაძლიერების მიზნით, საქ. რემედასის ცეკამ გადასწყვიტა მიმდინარე წლის მეორე სანგარიშო პერიოდში მოაწყოს რემედასის სამდღიური; ამას გარდა მოეწყობა ლატარიები ცალკე უჯრედებში და ცხოვრებაში გატარებული იქნება რემედასის საკავშირო ცეკას დადგენილება იმის შესახებ, რომ 150 მ. მეტი ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურეებისათვის გადიდებული იქნეს საწევრო გადასახადი.

დიასახლისები და ახალგაზრდობა რემედასში

რემედასის თბილისის კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილებით, ყველა მსხვილ საბინაო-საიჯარო და მუშათა საამშენებლო ამხანაგობებში ჩამოყალიბდება რემედასის უჯრედები: აღნიშნულ უჯრედებში ჩაბმული იქნებიან დიასახლისები, ახალგაზრდა მუშები, უმუშევრები და სხვა, ე. ი. ისეთი პირები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული წარმოება-დაწესებულებებთან და ამავე დროს თავისუფალი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

სალამოები რემედასის სასარგებლოთ

რემედასის ცენტრ. კომიტეტი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს კავშირების კულტგანყოფილებებთან, რათა საზაფხულო კლუბებში მოწყობილ იქნას რამოდენიმე სალამო რემედასის სასარგებლოთ.

რკინისგზეზე

დაზგების გადაცემა

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველომ თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს თავის საჭიროებისათვის გადასცა 6 ახალი დაზგა სათანადო იარაღებით.

მასიური ექსკურსია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო დღეს აწყობს მასიურ ექსკურსიას მცხეთაში. ექსკურსანტებისათვის დანიშნულია სპეციალური მატარებელი, რომელიც თბილისიდან გავა დღეს დილის 9 საათ. 50 წ.

დამატებითი მატარებელი

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს განკარგულებით, თბილის-ბაქოს შორის 6 ივლისიდან დაინიშნა დამატებითი მატარებელი № 13-14.

საერთაშორისო ვაგონები

აქამდე საერთაშორისო ვაგონების მიმოსვლა სწარმოებდა ლენინგრად-თბილისსა და მოსკოვ-თბილისს შორის. ა.-კ. რკინის გზის სამმართველომ რკ. გზ. ცენტრალურ სამმართველოს შეუთანხმა საკითხი ამ ვაგონების ბათომამდე მოძრაობის შესახებ.

ვაგონების მოძრაობა იწარმოებს თბილის-ბათომს შორის ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით.

თბილისი—გორი

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს განკარგულებით, თბილისიდან გორამდე დაინიშნა სპეციალური მატარებელი № 24-25, რომელიც თბილისიდან გადის 2 საათ. 45 წ.

ბორჯომი—ცემი

დღეს ბორჯომს და ცემს შორის ინიშნება დამატებითი მატარებელი, რომელიც გავა ბორჯომიდან ნაშუადღევის 2 საათზე. მატარებლის დანიშვნა გამოწვეულია მგზავრთა სიმრავლით.

5 შემთხვევა

გუშინწინ მთელს ა.-კ. რკინის გზაზე ადგილი ჰქონდა მატარებლების გაჩერების 5 შემთხვევას.

ხელშეკრულების გაუქმება

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ გააუქმა [illegible] ქიმიურ კომბინატთან დადებული ხელშეკრულება აგურის დამზადების შესახებ. ხელშეკრულების გაუქმება გამოწვეულია იმით, რომ დამზადებული აგური არ აკმაყოფილებს ტეხნიკურ მოთხოვნილებებს.

ქრონიკა

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დარბაზში გაიხსნება საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი. დღის წესრიგშია: საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში (მომხ. ამხ. გ. ყურულაშვილი), შრომის სასამართლოების მუშაობა (მომხს. ამხ. ა. ვარძიელი).

თავდაცვის კვირეული

თავდაცვის კვირეულის ჩასატარებლად ამიერ-კავკასიაში დაარსდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ელიავა (თავმჯდომარე), ფაბრიციუსი, იაკუბოვი, ეფკოვი, ალაფუზო და სხვ.

საქ. პოლიტ. სამმართველოს საოლქო სპარტაკიადა

7 ივლისს დილით ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარის შეჯიბრების [illegible] მე-4 საოლქო სპარტაკიადაზე გაიმართა ყველა მონაწილეთა აღლუმი. აღლუმის გათავების შემდეგ დაიწყო შეჯიბრება.

სანავთსადგურო მშენებლობა

ნავთსადგურების სამმართველო ამთავრებს იმ ნავთსადგურის პროექტის შედგენას, რომელიც უნდა მოეწყოს კრასნოვოდსკში კასპიის ზღვაზე. ნავთსადგურის მოწყობა დაიწყება წელს.

გამოკვლევითი მუშაობა ბათომისა და ფოთის ნავთსადგურების გასაფართოებლად უკვე დამთავრდა.

საკავშირო თათბირი სუბტროპიკულ კულტურების შესახებ

მიმდინარე წლის 25 სექტემბერს ბათომში შესდგება საკავშირო თათბირი საბჭოთა კავშირში სუბტროპიკულ კულტურების გავრცელების შესახებ.

1 აგვისტოს თბილისში შესდგება თათბირის საორგანიზაციო ბიუროს სხდომა.

თათბირზე მონაწილეობას მიიღებს 30 უწყება. თათბირის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა იკისრა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა.

საქართველოს ცხენების გამარჯვება

6 ივლისს, მოსკოვში გამართულ დოღში პირველ ჯგუფის ცხენებს შორის პრიზი მოიგო საქართველოს ცხენთსაშენის ცხენმა „დარდიმანდმა", რომელმაც აჯობა საუკეთესო წმინდა-სისხლის ცხენებს. ამავე დოღში დიდი განდიკაპი მოიგო „ბერგენმა".

თბილისის აღმასკომში

◆ სახლების გამოკვლევა. თბ. აღმასკომმა დაამთავრა სახლების გამოკვლევა. დღემდე სულ გამოკვლეულია 3108 სახლი, რომელთა შესახებ საქმე გადაეცა სასამართლოს.

◆ კრწანისის მორწყვა. თბ. აღმასკომმა დაადგინა მიმდინარე წელს შეუდგეს კრწანისის ბაღების მორწყვას.

განათლების კომისარიატში

◆ მოძრავი ბიბლიოთეკები. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრებში გახსნას ცენტრალური მოძრავი საბავშვო ბიბლიოთეკები.

◆ სახ. უნივერსიტეტის მინერალოგიურ კაბინეტთან გაიხსნა ფლოტაციის შემსწავლელი ლაბორატორია.

მიწსახკომში

◆ თივის მარაგი. მიწსახკომმა გადასწყვიტა დაამზადოს თივის მარაგი ზამთარში მაზრებისათვის მისაწოდებლად.

◆ სახელოსნო. მიწსახკომი შეუდგა სასოფლო - სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ცენტრალურ სადგურის გაფართოებას.

სხვადასხვა

◆ საქმიანი კლუბის დასაარსებლად. 9 ივლისს ს. მ. უ. საბჭოში მოწვეულია თბილისის წარმოებებისა და ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელთა და პასუხისმგებელ მუშაკთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეული იქნება საკითხი თბილისში საქმიანი კლუბის მოწყობის შესახებ.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ნიგოითიდან—მგელაძეს, გურჯაანიდან—ხმალაძეს, ესენტუკიდან—გურგენიძეს, ბათომიდან—მიშინასს.

ხელოვნება

საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მიღების წესები

მიმდინარე 1928 წელში საქ. სამხატვრო აკადემიაში სტუდენტთა მიღების ჩასატარებლად აკადემიაში ეწყობა ცენტრალური მიმღები კომისია.

სამხატვრო აკადემიაში ახლად მისაღებ სტუდენტთა საერთო რიცხვი განსაზღვრულია 56, აქედან ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის გამოყოფილია—9, აჭარისტანს—3, აფხაზეთს—3, სამხრეთ-ოსეთს—3.

აკადემიაში შესვლის მსურველნი სტუდენტებად ჩაირიცხებიან მხოლოდ დაწესებულ გამოცდების სათანადოთ ჩაბარების შემდეგ იმ საგნების და პროგრამების ფარგლებში, რომელიც გამომუშავებულია ხელოვნების განყოფილების მიერ. გარდა ამისა, გამოცდების შემდეგ მიმღები კომისია შეუდგება მისაღებ პირთა კლასობრივ გადარჩევას.

სამხატვრო აკადემიაში შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა.

განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს აკადემიის მიმღებ კომისიაში 1-დან 10 სექტემბრამდე. 10 სექტემბრის შემდეგ შემოსული განცხადება არ იქნება განხილული.

გამოცდები დაიწყება 15 სექტემბრიდან და დამთავრდება 25 სექტემბერს.

მისაღები გამოცდები სწარმოებს შემდეგ საგნებში: ხუროთმოძღვრების ფაკულტეტისათვის—მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკა, საზოგადოებათმეცნიერება, ქართული წერა (თემა), რუსული ზეპირი და ფიგურიდან ხატვა, ხატვის, ქანდაკების და ფერებით წერის ფაკულტეტებისათვის: საზოგადოებათმეცნიერება, ქართული წერა (თემა), რუსული ზეპირი და ფიგურიდან ხატვა, ფერების წერის ფაკულტეტზე შესვლის მსურველებმა გამოცდა უნდა ჩააბარონ ფერებით წერაში, საქანდაკოზე—ძერწვაში.

საქანდაკო ფაკულტეტის კერამიკულ განყოფილებისათვის—მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკა, ქიმია (ცხრა წლედის კურსი), საზოგადოებათმეცნიერება, ქართული წერა (თემა), რუსული ზეპირი და ფიგურიდან ხატვა.

ის პირები, რომლებიც ჩაიჭრებიან ხატვაში, სხვა გამოცდებზე არ იქნებიან დაშვებულნი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან—25 სექტემბრამდე.

აკადემიაში მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

რუსთაველის თეატრი

(მზადება მომავალ სეზონისათვის)

რუსთაველის თეატრი უკვე შეუდგა სამზადისს მომავალ სეზონისათვის. ამჟამად მზადდება ორი პიესა. სეზონი გაიხსნება ვს. ივანოვის პიესით „ჯავშანი", პიესა გადმოკეთებულია ს. შანშიაშვილის მიერ. პიესას სდგამს ალ. ახმეტელი, მხატვარი—მ. შავიშვილი, მუსიკა—ი. ტუსკიასი. მთავარ როლებში: ვ. დავითაშვილი, ა. ხორავა, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გოძიაშვილი, თ. წულუკიძე, ს. თაყაიშვილი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი და სხვა.

მეორე პრემიერად წავა კირშონის პიესა „რელსები გუგუნებენ", თარგმანი ალ. ბოკერიასი. დადგამს ახალგაზრდა რეჟისორი შოთა ახსაბაძის, მხატვარი ირ. გამრეკელი, მუსიკა ჩხიკვაძის, მთავარ როლებში: აკ. ვასაძე, ვ. დავითაშვილი, აკ. ხორავა, პ. კორიშელი, მ. ლორთქიფანიძე, მ. სარაული, ვ. გოძიაშვილი; ნ. ვ. მესხიშვილი; ნ. დავითაშვილი, ს. თაყაიშვილი, ნ. ჯავახიშვილ, ხ. ბეჟანიშვილი, ბ. შავიშვილი და სხვა.

ამას გარდა განზრახულია დაიდგას გრ. რობაქიძის ახალი ორიგინალური პიესა, რომელსაც ახლო ხანში დაამთავრებს ავტორი.

რუსი და უცხოელი დრამატურგებმა თეატრს აღუთქვეს თავიანთ ნაწარმოების მიწოდება არა უგვიანეს 1 აგვისტოსი. ამ ნაწარმოებთა შორის არის: კირშონის „ნეფტ"—ბაქოს 26 კომისართა ცხოვრებიდან (აღნიშნული პიესა წავა მხოლოდ მოსკოვის პროფსაბჭოს თეატრში და რუსთაველის თეატრში), ფაიკოს ახალი კომედია, ონეილის პიესა „დიანა", ჰაზენკლევერის კომედია „რა გნებავთ ბატონო", გლებოვის „ინგა" და სხვა.

სეზონის განმავლობაში ცალკე დადგმები ექნებათ რეჟისორ კ. პატარიძეს და ა. ვასაძეს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ პიროგოვის უკანასკნელი გასტროლი. გაიმართება დღეს, რუსთაველის თეატრში.

◆ სამხატვრო აკადემია აწყობს სტუდენტთა ექსკურსიას მოსკოვსა და ლენინგრადში.

◆ ხელოვნების სასახლეში დღეს, საღამოს 8 ს., შესდგება სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ჭაჭდენ კალაძე: „ნინოშვილი და გორკი".

ექსკურსიები

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების კინო-სალექციო-საექსკურსიო ბიუროს თაოსნობით ეწყობა მთელი რიგი ექსკურსიები თბილისის გარეთ. ექსკურსიებში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი მეტად დიდია.

ექსკურსია უფლისციხეში

აღნიშნულ ბიუროს თაოსნობით, გუშინ მოეწყო მორიგი ექსკურსია უფლისციხეში (გორის მაზრა). ექსკურსიაში მონაწილეობას იღებენ მექადავთა და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრები, რიცხვით 50 კაცი. უფლისციხეში ექსკურსანტები დაათვალიერებენ ადგილობრივ ღირსშესანიშნავ ადგილებს და ისტორიულ ძეგლებს.

100 კაცი—ბათომში

გუშინ, თბილისიდან ბათომში ექსკურსიით გაემგზავრა კომუნალურ მუშაკთა და მელითონეთა კავშირის წევრები, რიცხვით 100 კაცი. ექსკურსანტები ბათომში დაათვალიერებენ ბოტანიკურ ბაღს, ნავთსადგურს და ბიდონის ქარხანას. ექსკურსანტები ჩავლენ აგრეთვე ჩაქვში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად.

ზაჰესში

დღეს, 8 ივლისს, ბიურო აწყობს განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა ექსკურსიას ზაჰესში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 80 კაცი.

მასიური ექსკურსია მცხეთაში

დღეს ეწყობა აგრეთვე მორიგი მასიური ექსკურსია მცხეთაში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ მედსანშრომის მუშაკთა კავშირის წევრები რიცხვით 250 კაცი. ექსკურსანტები დაათვალიერებენ ჯვარის მონასტერს და სხვა ისტორიულ ძეგლებს.

ექსპედიციები სვანეთში

სვანეთში გაემგზავრა სახ. კონსერვატორიის ექსპედიცია, რომელიც ჩაწერს სვანურ ხალხურ სიმღერებს.

ამ დღეებში რუსეთიდან ჩამოვა და სვანეთში გაემგზავრება ექსპედიცია 18 კაცის შემადგენლობით. ამ ექსპედიციის მიზანია მეცნიერულად შეისწავლოს სვანეთის ყოფა-ცხოვრება და ბუნება.

სასამართლო

„პატიოსანი" მდივანი

თბილისის მე-5-ე უბნის სახალხო სასამართლოს თავი მოჰქონდა ერთ დროს მით, რომ არტემ ნიკოლოზისძე სარუხნოვის საიმედო! ხელში იყო მთელი საქმეების წარმოება და სასამართლოს შემოსავალ-გასავალი.

ეხლაც არ სჯერა მე-5-ე უბნის მოსამართლეს მამალაძეს, რომ ყველაფერი, რაზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, ჩაიდინა მისმა „ბეჯითმა" „მუყაითმა" და „თავაზიანმა" მდივანმა.

რატომ?

იმიტომ, რომ პირველ ხანებში სარუხნოვი მართლაც იშვიათი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ყველა ლაპარაკობდა სარუხნოვის შრომის მოყვარეობაზე, დაუზარებლობაზე, განსაკუთრებულ ზრდილობიან მოპყრობაზე ყველასადმი.

1925 წელში ჩატარებულმა რევიზიამ კიდევ უფრო განამტკიცა ნდობა სარუხნოვისადმი. არავითარი დანაკლისი არ აღმოუჩენია რევიზიას.

მაგრამ ეს იყო 1925 წელს. წავიდა რევიზია და „პატიოსანი" მდივანი მაშინვე მოუცვდა სალაროს.

სხვათა შორის, რაკი ისეთი განსაკუთრებული სიმპატია დაიმსახურა სარუხნოვმა ყველას თვალში თავისი პატიოსნებით (!), სასამართლოს მთელი შემოსავალ-გასავალი სალარო დავთრები სასამართლოს ხელმძღვანელმა მას ჩააბარა.

ასე გავიდა სამი წელი, რომ „პატიოსან" მდივნისათვის არავის გაუბედნია ანგარიშების მოთხოვა.

სარუხნოვმა ცოტ-ცოტაობით დაიწყო „ხელის მონაცვლება". ჯერ მხოლოდ დააგვიანა სასამართლოში შემოსულ თანხების შეტანა ხაზინაში. შემდეგ სამეურნეო ხარჯებისათვის მიღებულ ავანსს შეალია 400 მანეთამდე.

ამა წლის დამდეგს სარუხნოვს მოულოდნელად კარს მიადგა რევიზია.

რევიზიამ ჯერ ამ წლის ანგარიშები გადასინჯა და 123 მანეთამდე აღმოაჩინა დანაკლისი.

ეს თანხა იმ წამსვე გააჩინა საიდანღაც სარუხნოვმა იმ იმედით, რომ რევიზია აღარ გამოჰქექავდა წარსული წლების ცოდვებს.

ამ ფულის შემოტანისათვის მადლობა უთხრეს მდივანს და გადაშალეს 26-27 წლების დავთრები.

გაჭამა სირცხვილი „პატიოსანმა" მდივანმა.

არ ყოფილა სასამართლოში ისეთი სახის შემოსავალი, რომ სარუხნოვს მისი გემო არ გაესინჯოს.

„ჩაიგდეს ყველაფერი ჩოთქში" და ამ საქებო მდივანს ოთხი ათას მანეთამდე აღმოაჩნდა გაფლანგული.

— რა მექნა! ჯამაგირი არ მყოფნიდა. ოჯახში კი სახარჯავი ბევრი იყო,—თავს იმართლა სარუხნოვმა.

სარუხნოვს უჯრაში უნახეს აგრეთვე 95 სამოქალაქო სარჩელის შესახებ შემოსული განცხადებები, რომლებსაც ობი მოსდებოდა უმოძრაობისაგან.

— რატომ არ მიეცით მსვლელობა ამ საქმეებს?—ეკითხებიან „ბეჯით" მდივანს.

— როგორ უნდა მიმეცა მსვლელობა, როცა განცხადებებზე დასაკრავ საღერბო მარკების ფულები წინდაწინ „შემომეხარჯა". უმარკოთ სად უნდა გადამეგზავნა?

ყოველ შემთხვევაში, გულახდილობა მაინც შერჩა „პატიოსან" მდივანს.

მის საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

ვერ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

მჭედლიშვილს (ნიაღვრის შეს. № 3), გურგენიძეს (წერეთლის ქ. № 10), ფალავანდიშვილს (ბარონის ქ. № 54), ანანიაშვილს (ნიაღვრის შეს. № 6), გურგენოვებს (წერეთლის და სოლოლაკის ქ. № 1—2), პოლუმორდვინოვებს (ნიაღვრის შეს. № 7), ბალუაშვილს (გოგებაშვილის ქ. № 16), სადარაძეს (ლაბორატორიის შეს. № 7), რუხაძეს (არაგვის შეს. № 23), სოლოგუბოვს (მელიქიშვილის და კობის ქ. № 18—1), ჯანპოლადოვს (სამილიცო და მუხრანის ქ. № 26—17), კაცობაშვილს და სხვ. (სამილიცო ქ. № 19), ონიკოვას (სამილიცო ქ. № 23), ჩანჩაშვილს (მუხრანის ქ. № 7), კაცოშვილს და გორელაშვილს (აკიმოვის ქ. № 8), გორელაშვილს (პუშკინის ქ. № 23), მარსაგიშვილს (გორის ქ. № 24), ივანეზოვს (სამილიცო ქ. № 13), მირველოვებს (სამილიცო ქ. № 25), გახპაროვას (ფომინის ქ. № 8), ვიტენზენს (ვერცხლის ქ. № 56), ალიმბეტოვს (გორის ქ. № 22), ტიხინგაუზენს (ყიფიანის ქ. № 5), მაკაროვს (სუპონინის ქ. № 13), ბალალექიანს (ფომინის ქ. № 4), შუშიაშვილს (გორის ქ. № 21), აკოპოვს (სამილიცო ქ. № 15—16), გოტიეს (გორის ქ. № 15ა), ბათიაშვილს (ლენინის ქ. № 15), მალიანცს (სამიჯნო ქ. № 18—20), ლაფანაშვილს (არსენალის გზატკეცილი № 25), მაზანაშვილს (ღვინის რიგი № 51), უშვერიძეს (არსენალის ქ. № 16—3), ივანიშვილს (წყალ-აქაისე ქ. № 12), ბერიძეს და სხვ. (განჩარის ქ. № 58), აკოპოვს (არსენალის ქ. № 31), გაბაშვილს (სამიჯნო ქ. № 14), კაზარიანს (არსენალის შეს. № 11), ლობგოვს (ყიფიანის ქ. № 11), სანტურიანცს (მოედნის შეს. № 5), როდინოვს (ეკატერინეს ქ. № 14), მგალობლიშვილს (არსენალის ქ. № 23), გაზალოვას (თუმანიანის ქ. № 5), დანდუროვს (იერუსალიმის ქ., 5), ამბაკუმოვს (ბათარეის ქ. № 6), გვიშიანის (მეტეხის შეს. № 27), ობეიანს (სამილიცო ქ. № 4), ბოშიაშვილს (სამილიცო ქ. 8), გიორგობიანს (ყაზბეგის ქ. № 13), ნუნუკჯანოვს (ავლაბრის ქ. № 6), ხოჯაევს (ვერცხლის ქ. № 49).

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

მოქ. ნიკოლოზ ნიკიტინის (მცხ. წერეთლის ქუჩა, № 15), ვაჟი (4 წლის) 6 ივლისს საღამოთი ხელში ათამაშებდა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერს. უეცრად რევოლვერი გავარდა და ტყვია მოხვდა ნიკიტინის დედას ალექსანდრა ვასილის ასულ ტიტოროვას, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ქურდობა

ტრამვაით მოგზაურობის დროს მოქ. გიორგი ექვთიმესძე სულაქველიძეს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე და საბუთები. ჯიბგირი ვლადიმერ ისააკისძე ამიცკი დაპატიმრებულია.

— სიონის ქუჩაზე, № 13, გაქურდეს ლიუბა ნიკოლოზის ასულ ჩხაიძის ბინა, მოპარულია 300 მან. ნივთები.

— გაქურდეს მოქალაქე ალექსი იაკობისძე ლეიმანის ბინა, მოპარულია 200 მან. ნივთები.

— ალი მამედ-ზადეს ბინიდან (კამოს ქუჩა, № 52), ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 60 მ. ნივთები.

ლიბერტინის ქურდი

„ტექსტილტორგის" მაღაზიაში (სომხის ბაზარი) მოქ. მიხეილ ისაკისძე გოკიელოვმა მოიპარა 325 მანეთად ღირებული აბრეშუმის (ლიბერტინი) ნაჭერი. გოკიელოვი დააპატიმრეს.

ბავშვის დაკარგვა

15 ივნისს, სოფ. ცოდნაში (სიღნაღის მაზრა) მცხოვრები მოსე გიგასძე ბულაშვილი (14 წლის) გავიდა თავის სახლიდან და მის შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მისი ნიშნები: საშუალო სიმაღლის შავგვრემანი, შავთვალა, ტანზე აცვია ლურჯი ხალათი, ფეხზე აცვია წითელი ფეხსაცმელი, თავზე ახურავს ლურჯი კეპკა. მნახველს სთხოვენ აცნობოს სიღნაღის სამაზრო მილიციას.

ნარევი

„P-33"-ის აღსასრული

პულგემში (ინგლისი) დაშალეს დირიჟაბლი „P-33", ინგლისის ცნობილი საჰაერო გემი, რომელიც ერთად-ერთი დირიჟაბლი იყო, დარჩენილი ომის შემდეგ.

1926 წლის ნოემბრიდან დირიჟაბლს ერთხელაც არ უფრენია. „P-33" ცნობილია თავისი დიდი გადაფრენებით. ერთხელ ძლიერმა ქარმა დირიჟაბლი მოგლიჯა მისაბმელ ანძას და რაზმთან ერთად გაიტაცა ჰოლანდიის ნაპირებისაკენ, საიდანაც იგი, მიუხედავათ იმისა, რომ წინა ნაწილი საშინლად დაზიანებული ჰქონდა, მიწაზე დაუშვებლად დაბრუნდა ინგლისში.

ამ 36 საათის ფრენამ საშინელ გრიგალში დირიჟაბლს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. რომ „P-33" დაღუპულიყო, სამუდამოთ დაიკარგებოდა მშვენიერი კონსტრუქცია, რომელთაც ძლიერ ცოტა სპეციალისტები იყვნენ გაცნობილი..

არც ერთი დირიჟაბლი ასე ფართედ არ გამოუყენებიათ ექსპერიმენტალურ ავიაციაში, როგორც „P-33".

ის გამოყენებულ იქნა ახალი მისაბმელი ანძების გამოსაცდელათ, მიწაზე დასაშვებათ, აეროდრომების გასანათებლად ღამით, ჰიდროპლანების დასაშვებად ზღვაში, ქარის ძალის გასაზომავად და სხ.

როცა ინგლისის მთავრობამ განაახლა დირიჟაბლების მშენებლობა, „P-33" გამოყენებულ იქნა მთელ რიგ აერო-დინამიურ ცდებისათვის. ინგლისის ავიაციამ ამ დირიჟაბლის საშუალებით შეიძინა დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ფართედ გამოიყენეს უდიდეს დირიჟაბლების „P-100"-ის და „P-101"-ის აგების დროს.

„P-33" წარმოადგენდა ასლს იმ ცეპელინისას, რომელიც ომის დროს იქნა აგებული. მისი აშენება დაიწყეს 1917 წ. სექტემბერში და დაასრულეს 1919 წ. ივნისში.

რადიო-გადაცემა

კვირა, 8 ივლისი

დღეს, 8 ივლისს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიოს სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: სასოფლო-სამ. კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში—მოხს. ქართულ ენაზე; კოოპერაცია და კერძო კაპიტალი—მოხს. ქართულ ენაზე; საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; რადიო-ინსცენიროვკა—ქართულ ენაზე; კონცერტი რადიო-სტუდიიდან.

საღამოთი—რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე; სვანების ეკონომიური მდგომარეობა—მოხს. ქართულ ენაზე; საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე; პოლიარული ქვეყნები—მოხს. ქართულ ენაზე; ტრიპერის მიმდინარეობა და მისი წამლობა—მოხს. ქართულ ენაზე; დასახლებულ ადგილების საჰაერო ქიმიური თავდაცვა და თავდაცვა-ავიაქიმის რაზმების მუშაობა—მოხსენება რუსულ ენაზე; ტეხნიკური კონსულტაცია; მოსახლეობის მონაწილეობა ბავშვებთან სკოლის გარეშე მუშაობის საქმეში—მოხს. რუსულ ენაზე, საფოსტო ყუთი; კონცერტი ან ტრანსლიაცია; მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

ორშაბათი, 9 ივლისი

ალკოჰოლიზმის სოციალური მავნებლობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა—მოხს. ქართულ ენაზე; სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—ფინსახკომის მოხსენება ქართულ ენაზე; ამუნდსენის წინამორბედნი—მოხს. ქართულ ენაზე; დასახლებულ ადგილების საჰაერო ქიმიური თავდაცვა და თავდაცვა-ავიაქიმის რაზმების მუშაობა—მოხს. ქართულ ენაზე; კომკავშირული რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე; საბჭოების მასიური მუშაობა და საბჭოთა დემოკრატია—მოხსენება რუსულ ენაზე; მოაწყვეთ მასიური კრიტიკა ქვევიდან—მოხს. სომხურ ენაზე; როგორ უნდა გამოვიყენოთ საზაფხულო დასვენება ჯანმრთელობის აღდგენისათვის—მოხს. თურქულ ენაზე; საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—მოხს. ქართულ და რუსულ ენებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი ან ტრანსლიაცია,—მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 9 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ივანე ლორთქიფანიძე, ილია ნოსკოვი, დავით არხალოვი, არტაშეს ტოგანიანი, აშოტ ბოსტანჯოვი, სტეფანე ნონიევი, ა. მნაცაკანიანი, ვლადიმერ შალი, ელისაბედ კუზმინა, მარიამ ჩერნიკოვა, გრიგოლ სვანიძე, ვასილ შახუტაკიანი, ილია სალაშვილი და მარიამ პიტალევა.

მედსექციიდან: სოფიო ვულფოვიჩი, ბელტოვა - ტურკესტოვა, გ. შაპელნიკოვა, ალიოშა მატიუკოვი, ავეტის სარქისოვი, ალიოშა ადაშვილი, ლუკა ნატრაძე და ირაკლი გიგაური.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: გიორგი ასლანიდი, ანასტასია კარსალიდი, ივანე კრუტიტასი და გიორგი ერონიდი.

8.000 მან. უმუშევართა კოლექტივს

შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით, უმუშევართა გაერთიანებულ კოლექტივს მოკლე ვადიანი სესხის სახით მიეცა 8.000 მან.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეთორმეტე ტური

აბრამიანი—მაკაგონოვი. ლაზიერის პაიკების დებიუტში მაკაგონოვმა გამოიყენა კემბრიჯ-სპრინგსკის ვარიანტი. აბრამიანმა კარგათ დაიცვა თავი. მაესტრო ყოველმხრივ ცდილობდა მიეღო უპირატესობა, მაგრამ აბრამიანი სწორი თამაშით იცავდა თავის პოზიციას. ორთავეს მხრივ პარტიის ცეიტნოტში გადასვლის გამო, მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ თამაშის ყაიმით დამთავრებაზე.

მატეოსიანი—გოგლიძე. (სიცილიური). თეთრების მიერ დებიუტის სუსტად გათამაშების გამო, გოგლიძემ მალე მოიგო ხარისხი, რის შემდეგ მოწინააღმდეგე ჩავარდა ცუდ მდგომარეობაში. დასასრულ, უკანასკნელი ფიგურის დაკარგვის შიშით მატეოსიანი დანებდა.

ილინ-ჟენევსკი—ტოტევიანი. (ისპანიური). დებიუტში ტოტევიანმა მრავალი შეცდომა დაუშვა. თეთრებმა კარგათ ისარგებლა მოწინააღმდეგის სუსტი სვლებით, შესწირა ხარისხი და ძალიან მალე მოიგო პარტია.

ებრალიძე—როსტოვცევი. (ოთხივე მხედრის დებიუტი). ებრალიძემ დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა შავებზე. ის მალე მოიგებდა პარტიას, რომ პაიკით არ გაეკეთებინა შემცდარი სვლა. შემდეგაც ჰქონდა მას უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ ბოლოს სრულიად მოულოდნელად დაკარგა ეტლი და დანებდა როსტოვცევს.

ბადაი—ამენიტოვი. (ფრანგული). მთელი რიგი ფიგურების გაცვლის შემდეგ პარტია განვითარდა ცუდათ და დამთავრდა ყაიმით.

კარჩიკიანი—სმიროდსკი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). თამაშის დასაწყისში სმიროდსკიმ მოიგო პაიკი, მაგრამ მოხვდა მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშების ქვეშ. თეთრების შეტევის შესუსტების მიზნით, ის იძულებული გახდა უკანვე დაებრუნებია მოგებული პაიკი. კარჩიკიანის წინადადებით პარტია დამთავრდა ყაიმით.

მალუნცევი—სოროკინი. დებიუტში სოროკინმა აშკარა უპირატესობა მოიპოვა ცენტრში, გადავიდა ძლიერ შეტევაზე და აიძულა მალუნცევი დანებებულიყო.

ავეტისოვი—ტალვიკი. (რეტის დებიუტი). ტალვიკმა გამოიყენა ორიგინალური დაცვა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ავეტისოვის ყველა ფიგურები და პარტია მოიგო.

მეთორმეტე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: **ილინ-ჟენევსკი**+10, **მაკაგონოვი** და **გოგლიძე**+9 ნახ., **როსტოვცევი**+7 ნახ., **აბრამიანი**+7 და ერთი დაუმთავრებელი, **ებრალიძე** და **სმიროდსკი**+7, **ტალვიკი**+5 ნახ. და ორი დაუმთავრებელი, **ბადაი** და **სოროკინი**+5 და თითო დაუმთავრებ., **მალუნცევი** და **ავეტისოვი**+4 ნახ., **ამენიტოვი**+3 და ერთი დაუმთავრებელი, **კარჩიკიანი**+3, **მატეოსიანი**+2, **ტოტევიანი**+1.

ამრიგად, ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩა სამი ტური.

ილინ-ჟენევსკიმ უნდა ითამაშოს მაკაგონოვთან, გოგლიძესთან და სმიროდსკისთან. **მაკაგონოვმა** უნდა ითამაშოს—ილინ-ჟენევსკისთან, მალუნცევთან და სოროკინთან. **გოგლიძემ** უნდა ითამაშოს აბრამიანთან

სტროფიულ მოვლენას წარმოადგენენ იქიურ უბედურებათა შორის. მართალია, ლკანიური მოვლენებიც დიდ მსხვერპლს ირავენ. ასე, მაგალითად, ვეზუვის ამოთქმამ 79 წელს 25.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქები პომპეა და გერკულანუმი გაქრენ დედამიწის პირიდან. მონპელეში 1902 წ. მომხდარი მიწისძვრის დროს 0.000 კაცი დაიღუპა. მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად ხდება.

სულ სხვა საქმეა მიწისძვრები. 50.000 კაცი დაიღუპა 1775 წელს ქ. ლისაბონში, სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში. მიწისძვრებმა მესსინაში, კალაბრიაში და სიცილიაში 908 წ. იმსხვერპლა 200.000 კაცი. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ტრაგედია იაპონიის, რომელმაც უკანასკნელი მიწისძვრის დროს აჰკარგა რამდენიმე ასეული ათასი კაცი.

მაგრამ კაცობრიობა ძალიან ჩქარა ამუშავებს ამგვარ წყლულებს. სან-ფრანცისკო, რომელიც 1906 წ. მიწისძვრის შემდეგ ნანგრევებს წარმოადგენდა, ახლა ერთი უმდიდრესი და უდიდესი ქალაქთაგანია. იაპონია დგება ნანგრევებიდან. მესინა-კი, რომელმაც აივიწყა საშინელი კატასტროფა, კვლავ იზიდავს ტურისტთა არმიებს. ასეთი კატასტროფები-კი პირველად და უკანასკნელად როდი ხდება.

თითქმის ყოველ ორ საათში ჩვენი ობსერვატორიების მგრძნობიარე აპარატები აღნიშნავენ მიწისძვრას დედამიწის რომელიმე კუთხეში. მაგრამ, საბედნიეროთ, ყველა მიწისძვრებს არა აქვს კატასტროფიული ხასიათი. სიძლიერის მიხედვით მიწისძვრები იყოფა 12 კლასად. პირველი კლასის მიწისძვრებს მხოლოდ არაჩვეულებრივად მგრძნობიარე აპარატები აღნიშნავენ. დაბალი კლასების მიწისძვრებს მოსახლეობა, ჩვეულებრივ, ვერც კი ამჩნევს. მხოლოდ დაწყებული მეექვსე კლასიდან, როცა ნიადაგის შერყევა 100 მილიმეტრს აღწევს წამში, მიწისძვრას ყველანი გრძნობენ, თუმცა ასეთი მიწისძვრა კატასტროფიული არ არის. საშიშია მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მიწისძვრები, რომელთაც ვერ უძლებს ვერაფერი: სახლები, ხიდები,, ტელეგრაფის მავთულები, რკინისგზები, — ყველაფერი ნადგურდება. მდინარეები და ტბები გადადის ნაპირებიდან. მოულოდნელად ჩნდება ახალი წყალვარდნილები ახალი ტბები.

აწარმოებს მიწისძვრების [illegible] ძვრების კერის მდებარეობისა და წარმოშობის მიზეზების და მიწისძვრის ტალღების გავრცელების შესწავლას, — გვასწავლის ჩვენ, რომ თუ მიწისძვრები პერიოდულათ არ მეორდება, მაინც არსებობენ ისეთი რაიონები, სადაც მიწისძვრები ხშირია. ასეთია, პირველყოვლისა, წყნარ ოკეანეს სანაპიროები, ე. ი. ამერიკის დასავლეთი ნაპირები და იაპონია-ავსტრალიის აღმოსავლეთი ნაპირები, კერძოდ-კი იაპონია, ფორმოზა და ახალი ზელანდია. შემდეგ — ხმელთაშუაზღვის სანაპიროები: იტალია, საბერძნეთი, იაპონიის კუნძულები. დაბოლოს, შედარებით ახლად წარმოშობილ მთაგრეხილების (პირენეი, ალპები, ჰიმალაი) მიდამოები.

სეისმოგრაფები მიწისძვრის ტალღებს აღნიშნავენ მხოლოდ მათი წარმოშობის მომენტში. მაგრამ მოგვეპოვება თუ არა ჩვენ რამე ნიშნები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია წინასწარ გავიგოთ მოსალოდნელი უბედურების შესახებ?

მიწისძვრის მიზეზები, როგორც ვიცით, მდგომარეობს დედამიწის დიდი ფენების ნელ გადანაცვლებაში გვერდებიდან მოწოლის გამო. ფენა იხრება, სანამ არ ჩავარდება. ამ მომენტში ხდება კატასტროფა. რამდენიმე ხნით ადრე ამ მომენტამდე, იმ ადგილას, რომელსაც ჩავარდნა მოელის, ფენის დახრილობა სწრაფად იცვლის თავის კუთხეს.

ამ დახრილობის გაზომვა შეიძლება გეოდეზიური საშუალებებით. ამრიგად იმ ადგილებში მოწყობილი სამეთვალყურეო სადგურების ქსელი, სადაც ხშირია მიწის ძვრები, მოგვცემდა საშუალებას მიწისძვრების წინასწარმეტყველებისას იმგვარად, რომ ასეთი წინასწარმეტყველება ახლო ყოფილიყო ჭეშმარიტებასთან.

იაპონიაში, 1927 წ. 7 მარტს, ორი საათით ადრე მიწისძვრამდე, შენიშნულ იქნა ზღვის ნაპირის ამაღლება 0,8 მეტრით. ასეთი მოვლენები—დედამიწის ფენების დახრილობის შედეგი,—შეიძლება შენიშნულ იქნეს სპეციალური აპარატების საშუალებით. ეს მეთოდი ამჟამად ფართე მასშტაბით მუშავდება იაპონიაში, რადგან განსაზღვრულ ადგილებში დადგმულ მსგავს აპარატების ჩვენება მიაჩნიათ ყველაზე საიმედო საშუალებათ მოსალოდნელ მიწისძვრის წინასწარ გასაგებათ.

გ.

დრეზინა-მაშხალის გამოცდა გერმანიაში

გერმანულ ჟურნალ - გაზეთებში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობები გერმანიის საავტომობილო ფირმის — ოპელის მიერ აგებულ დრეზინა - მაშხალის გამოცდის შესახებ. გამოცდა ჩატარდა ბურგბედელში, განოვერის მიდამოებში, სწორხაზოვან რკინისგზაზე — განნოვერი ცელლე. ცდა სწარმოებდა 7 კილომეტრის მანძილზე. ვინაიდან მოსალოდნელი იყო, რომ დრეზინა - მაშხალა დიდ სისწრაფეს განავითარებდა, დრეზინას გაუკეთეს სპეციალური მუხრუჭები - მაშხალები. მამოძრავებელ მაშხალების მოქმედების დასრულების შემდეგ (მეორე კილომეტრზე), ავტომატიურ მოწყობილობას უნდა აემუშავებია მუხრუჭი - მაშხალები, ურომლისოდაც დრეზინას, ინერციის ძალით, შეეძლო ოცი კილომეტრის გავლა.

საცდელ ხაზზე ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე გაბმული იყო ძაფები. დრეზინა გავლის დროს წყვეტდა ამ ძაფებს და ამით მოძრაობაში მოჰყავდა რკინისგზის ხაზის გასწვრივ მოთავსებული ელექტრონის საათები.

ამ მოწყობილობის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა დრეზინის მოძრაობის უაღრესად ზუსტად გამორკვევა რკინისგზის ხაზის ცალკე ნაკვეთებზე.

დრეზინის პირველი გამოცდა მოახდინეს მაშხალების შემცირებული რიცხვით და მას არავინ გაჰყოლია. მიუხედავათ ასაფეთქებელი ნივთიერების სიმცირისა, დრეზინამ განავითარა მეტად დიდი სისწრაფე — 250 კილომეტრზე მეტი საათში. პირველი რეისის წარმატებით დასრულების შემდეგ შეუდგნენ უფრო სერიოზულ გამოცდას. ასაფეთქებელი ნივთიერებისა და მაშხალების რიცხვი 4-ჯერ გაადიდეს. დრეზინისათვის მეორე გამოცდის დროსაც არ გაჰყოლებიათ კაცი. რკინისგზის ხაზის მიდამოები გასწმინდეს ხალხისაგან, რომელიც 10.000 კაცის რაოდენობით დიდის ინტერესით ადევნებდა თვალს გამოცდას. მეორე გამოცდა მარცხით დასრულდა. როგორც კი აანთეს მაშხალები, საშინელის ძალით აფეთქდა დრეზინაში მოთავსებული ასაფეთქებელი ნივთიერება. ავარდა ალის სვეტი,

ნელები და მთელი რიგი სპეციალისტები ცდების შედეგებს დადებითად აფასებენ. მართლაც, აფეთქება არის შემთხვევითი მოვლენა და სრულიად არ ამტკიცებს დრეზინის კონსტრუქციისა და მისი მოძრაობის წესების უვარგისობას. სპეციალისტების აზრით, აფეთქება მოხდა ერთი მოვლენის ზეგავლენით, რომელიც ცნობილია დეტონაციის სახელწოდებით. ეს მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ასაფეთქებელი ნივთიერებანი მოულოდნელად ფეთქდებიან, როგორც კი მათ ახლო აფეთქებენ სხვა რომელიმე ნივთიერებას

სათვის [illegible] მხოლოდ შესაფერი ასაფეთქებელი ნივთიერების შერჩევა.

პირიქით, სპეციალისტების აზრით, დრეზინის პირველმა რეისმა სავსებით დაამტკიცა მაშხალის სრული ვარგისობა რელსებზე მოძრაობისათვის.

როგორც გაზეთები იუწყებიან, გამომგონებლებს განზრახული აქვთ შეუდგენ ახალი დრეზინის აგებას. ახალი დრეზინის გამოცდა მიმდინარე ზაფხულში მოხდება.

ა. ფ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქებში შენობების ხელახალი შეფასების შესახებ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს მოახდინონ ყველა ქალაქში (გარდა თბილისისა), 1928 წ. ოქტომბრის 1-მდე შენობების ხელახალი შეფასება.
2. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად შენობების კუბატურის ღირებულების საშუალო ნორმები, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საშენი — მასალისა და მუშა-ძალის რეალური ფასები.
3. შენობების ხელახალი შეფასებით გამოწვეული ხარჯები დაიფაროს 1928-29 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.
4. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ამა დადგენილების განსავითარებლად სათანადო ინსტრუქცია.
5. მიენდოს აფხაზეთის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს, აჭარისტანის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბ. თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი**
საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. სტეფანოვი.

1928 წ. ივნისის 26
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსრების გამოყოფის შესახებ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერებისათვის სესხის გასაცემად

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს სამაზ. და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ სახსარი საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის სესხის მისაცემად — მათი ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერების მიზნით.

ამ საჭიროებისათვის გამოსაყოფი წლიური თანხის რაოდენობას, მაზრის ეკონომიური მდგომარეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ძალღონების მიხედვით, განსაზღვრავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბ. თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი**
საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. სტეფანოვი.

1928 წ. ივნისის 26
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს კომპარტიის წევრ-კანდიდატებს, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ლოცენოვთან (ოთახი № 43).

ალექსანდრე ნაკაიძე, კორნელი ბახტაძე, გალაქტიონ მარდალეიშვილი, იოსებ ნადირაშვილი, სიმონ კიკაბიძე, გიორგი ჯახიძე, ნინო ძაღანიძე, ნინო ჯარკავა, ეკატერინე გოგუაძე.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დასახელებული ამხანაგი თბილისში არ იმყოფება შეატყობინოს მისამართი.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე თბილისის აღმასკომის დიდ დარბაზში შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოვებული პლენუმი.

პლენუმზე წევრ-კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა, აგრეთვე უჯრედთა ბიუროების წევრთა და მდივანთა დასწრება აუცილებელია.

დამწუხრებულნი მშობლები: პელაგი და ივანე დავითის ძე კილაძე, და თამარი, ძმები: შალვა, ბიძინა, გივი; ბიძები: სიმონ და გიორგი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს

დათიკო ივანეს ძე კილაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ივლისის 8, კვირას, შუადღის 12 საათ. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 ს. (ჭავჭავაძის ქ. № 47)
2—1 2952

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან არსებული ახალშენებათა სამმართველო იუწყება, რომ 6 ივლისს გარდაიცვალა ყველასაგან პატივცემული ცემენტის ქარხნის მშენებლობის მთავარი ინჟენერი

ალფონსი იულის-ძე ვეისი

გამოსვენება კვირას ნაშუადღევის 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოს პროზექტურიდან, კამოს ქ. № 113.
2957

კასპის ცემენტის ქარხნის მუშები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 6 ივლისს, გარდაიცვალა ღრმად პატივცემული ცემენტის ქარხნის აღმშენებლობის მთავარი ინჟენერი

ალფონსი იულის-ძე ვეისი

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება კვირას ნაშუადღევის 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოს პროზექტურიდან, კამოს ქ. № 113.
2956

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან არსებული ახალშენებათა სამმართველოს ღრმად დამწუხრებულნი თანამშრომელნი იუწყებიან, რომ 6 ივლისს გარდაიცვალა ყველასათვის პატივცემული, მჭიდას ქარხნის მშენებლობის მთავარი ინჟენერი

ალფონსი იულის-ძე ვეისი

გამოსვენება კვირას ნაშუადღევის 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოს პროზექტურიდან, კამოს ქ. № 113.
2955

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის

ბაგრატ ეგორის-ძე ენიკოლოპოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 8 ივნისს, შუადღის 12 საათზე საკუთარ ბინიდან ლურჯ-მინასის ქ. № 8. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.
1373

მაიმუნი „კახაუ"

გერმანიის ერთ-ერთ ზოოლოგიურ ბაღში კუნძულ ბორნეოდან მიიყვანეს იშვიათი ეგზემპლიარი გრძელცხვირა მაიმუნი კახაუსა, რომლის დაჭერა მეტად ძნელია. ამ მაიმუნს ახასიათებს არაჩვეულებრივად გრძელი ცხვირა, რომელიც მას თავისებურ გამომეტყველებას აძლევს და ამსგავსებს ადამიანს, ცოცხალი თვალები კიდევ უფრო აძლიერებს ამ მსგავსებას. თავის ცხვირს კახაუ ხმარობს, როგორც ხორთუმს: ამოძრავებს ზევით და ქვევით, აფართოებს ნესტოებს და იღებს სასაცილო და ამავე დროს არასასიამოვნო გამომეტყველებას.

უმთავრესად მაღალ ხეებზე მცხოვრებ ამ ველური მაიმუნის ცხოვრებისა და ჩვეულებების შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით.

გრძელცხვირა მაიმუნს ძლიერ მოძრავი და შედარებით ლამაზი ტანი აქვს.

—:—

მეტეორების სისწრაფე

უახლესი გამოკვლევებით, სისწრაფე, რომლითაც მეტეორები მოძრაობენ დედამიწის ატმოსფეროში, უდრის 52 კილომეტრს წამში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჰაერის წინააღმდეგობა ასუსტებს მეტეორის მოძრაობას, მაშინ გამოვა, რომ მეტეორის მოძრაობის სისწრაფე უჰაერო სივრცეში უდრის 63 კილომეტრს წამში. ეს ორჯერ მეტია იმ სისწრაფესთან შედარებით, რომლითაც დედამიწა მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო.

ბრძოლა ჩრჩილთან

ჩრჩილთან ბრძოლის ჩვეულებრივი საშუალებები ყოველთვის არ აღწევენ მიზანს. მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემუშავდა ჩრჩილთან ბრძოლის რადიკალური საშუალება. ეს საშუალება მდგომარეობს შალის ქსოვილების დამუშავებაში განსაკუთრებული ხსნარით, რომელიც იცავს მას ჩრჩილისაგან, უკვე დიდი ხანია შენიშნულია, რომ ჩრჩილი სრულიად ვერ უძლებს ზოგიერთ სახის საღებავებს და არ ეკარება ასეთი საღებავებით შეღებილ საგნებს. ამ საღებავების ანალიზმა დაამტკიცა, რომ მათში შედის აზოტის მჟავას შენაერთები. ასეთია გავრცელებული ყვითელი საღებავი—პიკრინის სიმჟავე და ზოგიერთი მსგავსი ყვითელი საღებავები. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ეპოვნათ ისეთი ნივთიერება, რომელიც სრულიად ან თითქმის უფერული იქნებოდა და ამავე დროს იმოქმედებდა, როგორც პიკრინის სიმჟავე. რამოდენიმე წლის ცდების შემდეგ მოხერხდა ამოცანის ბრწყინვალედ გადაჭრა. ერთდროულად იპოვეს რამდენიმე შენაერთი, რომლებმაც საერთო სახელწოდებით „ევლან" უკანასკნელ ხანებში ფართე გავრცელება ჰპოვა დასავლეთში. „ევლანები" უფერულია, მათ არა აქვთ სუნი და უვნებელნი არიან ადამიანისათვის. ჩრჩილისაგან დასაცავად შეკერილ ტანსაცმელს ასველებენ „ევლანში" და აშრობენ, ამრიგად „ევლანი" ადვილად მოსახმარია ოჯახში. უკანასკნელ ხანებში შალეულის დამამზადებელი მთელი რიგი მსხვილი ფირმები ევროპაში თვით გადავიდნენ მატერიების გაჟღენთვაზე „ევლანით". ასეთი მატერია გარეგნობითა და თვისებით არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი მატერიისაგან, მაგრამ ჩრჩილი მას არ ეკარება.

—:—

ხორბლის კულტურის გაუმჯობესებათა იტალიაში

იტალიის მთავრობამ დაიწყო კამპანია ხორბლის კულტურის გაუმჯობესების სასარგებლოდ. იმ მეურნეებს, რომლებიც მიაღწევენ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებას, ფულადი ჯილდო მიეცემა.

ყველაზე საინტერესო ცდები ხორბლის კულტურის გაუმჯობესების დარგში ჩაატარეს ბრეშიას პროვინციაში.

ცდებს ახდენდნენ 400 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე, სადაც ზამთრის განმავლობაში მიწას ანოყიერებდნენ აზოტოვან ნივთიერებებით. მთელ რიგ საცდელ ნაკვეთების წინასწარმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ აზოტოვან ნივთიერებებით განოყიერებულ თითეულ კვადრატულ მეტრ მიწაზე, სადაც დათესილ იქნა სპეციალური ჯიშის ხორბალი, მოაგროვეს 350-500 თავთავი და თითეულ თავთავს 45-60 მარცვალი ჰქონდა.

ლილიან გიშ
და
რიჩარდ ბარტელმეს
სურათში
გადატეხილი ზამბახი

მალე
:2:
ახალი სურათი

ოსი ოსვალდ
სურათში
ნინიშ

ნ. 1374

სახქინმრეწვის კინოები

განთიადი — თანამედროვე დრამა ცოლი
საზაფხულო ეთერი, საზაფხულო პალასი — საუკეთესო სურათი ნარვალები
საზაფხულო დარბაზი — ბულატ ბატირ ეკატერინე მეორის ეპოქიდან
მინიონი — ზღვის გმირი 1 და 2 სერია
პროლეტარი ავლაბარი — თავზე ხელაღებული 3, 4, 5 და 6 სერია ერთად

[illegible]
არა ჩვეულებრივი ფილმი ნარვალები
საუკეთესო სურათი ებრაელთა ცხოვრებიდან მაგულ
უცხოეთის ფილმი კლოდ დიუვალი
მეორე კვირა ბულატ ბატირ
მეორე კვირა 1 და 2 სერია
სურათი დონ დიეგო და პელაგეა

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „გადატეხილი ზამბახი და „ნინიშ" 0—33

მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბი
დღეს, 8 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. გ. ვენაძის მონაწილეობ.
პროგრამაში: ბალანჩივაძე, ზაქ. ფალიაშვილი, ვ. დოლიძე, ტუსკია, კილაძე.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემოღებულია სტუდენტ. და მოწაფეთა ბილეთები
სამშაბათს, 10 ივლისს, კონცერტი მუშათა ახალ კლუბში. ნ. 1371

სახელმწიფო გამ
მოითხოვეთ ახალი წი

ნ. ბუხარინი და ი. სტალინი — კ
კავშირის მიმდინარე ამოცანების შესახ
გვ. 88. ფ. 40 კ.
მაქსიმ გორკი — ჩემი უნივერსიტ
ტები (თარგმ. ი.ალიბაძის) გვ. 200. ფასი
მან. 20 კ.
მ. გორბაჩე და ბარხევოვი —
ნერით თამაშობანი. გვ. 112 ფასი 80 კ.

შორაპნის მაზრაში
გაზეთ „კომუნისტი"-ს კონტრაგენტათ
1 ივნისიდან დანიშნულია
ვასილ ჯალაღანია
სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში
3—1 მთ. კანტორა.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით უქიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს.
ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ხიდრიაშვილის შესახვევი
პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტი